რამდენიმე დღის წინ, ერთი ფილმი ვნახე – „თავისუფლების მწერლები“. ფილმში ნაჩვენებია ინგლისური **ენის** მასწავლებლის რთული ყოველდღიური ცხოვრება, რომელიც კალიფორნიის ქალაქ ლონგ-ბიჩის ერთ-ერთ სკოლაში ხდება, სადაც ის ლიტერატურას ასწავლის. ფილმი, რეალურ ისტორიაზე აგებული და ძალიან კარგად გვაჩვენებს, სინამდვილეში რა შეუძლია მასწავლებლის მიერ მიღებულ სწორ გადაწყვეტილებას და არჩევანს.

რამდენიმე დღის წინ, ინტერნეტგაზეთში, ერთი ბრიტანელი მასწავლებლის შესახებ ვწერდით, რომელსაც მასწავლებლობის მხოლოდ ორწლიანი გამოცდილება ჰქონდა და მას მისმა საუკეთესო მოსწავლემ შესჩივლა, რომ მამამისი მძიმედ ავად გახდა და, სამწუხაროდ, სკოლის დატოვება ორი თვით მოუწევდა. „როგორ შემიძლია სწავლას არ ჩამოვრჩე? ალბათ, მხოლოდ წიგნები რომ მომცეთ, საკმარისი არ იქნება, არა?“ – ეკითხებოდა მოსწავლე კოლინსს. მასწავლებელმა, რომელსაც არ უნდოდა მისი საუკეთესო მოსწავლე სწავლას ჩამორჩენოდა, გუგლის მეშვეობით ინტერნეტში ვიდეოების ატვირთვა ისწავლა, სპეციალურად იყიდა პლანშეტი, რომ დაფაზე დაწერილი მასალა ეკრანზე გადაეტანა, გაკვეთილების ჩაწერა დაიწყო და მარტივად დამზადებულ ვიდეოებს მოსწავლეს Youtube-ზე უტვირთავდა.

რამდენიმე თვეში ახალგაზრდა მასწავლებელმა Youtube-ზე მთელი სილაბუსი ატვირთა და აღმოაჩინა, რომ მისი გაკვეთილები არა მხოლოდ იმ კონკრეტული მოსწავლისთვის, არამედ მთელი კლასისთვის ძალიან სასარგებლო იყო. კოლინსი განმარტავს, რომ ვიდეოებით ახსნილი მათემატიკა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს დააპაუზონ, გაიმეორონ, არაერთხელ უყურონ და მოუსმინონ მასალას.თუ მათ შინ კომპიუტერი არ აქვთ, შეუძლიათ სკოლის ტექნიკა გამოიყენონ. ეს გასამართლებელი მიზეზი არ არის, – ამბობდა კოლინსი.

სულ რაღაც ერთი კვირის წინ, 34 წლის ჰეგარტსს მასწავლებელთა გლობალური ჯილდო გადაეცა, მსოფლიოს 10 საუკეთესო მასწავლებლის სიაში მოხვდა და 1 მილიონი დოლარით დაჯილდოვდა, რომელსაც მას მარტში გადასცემენ. ამჟამად ჰეგარტი სპეციალური ვებპორტალის შექმნაზე მუშაობს, რომელიც ბრიტანეთში მცხოვრები ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი იქნება და მათ მათემატიკას შეაყვარებს.

მინდა მჯეროდეს, რომ ასეთი მასწავლებლები ჩვენ ქვეყანაშიც ცხოვრობს ისინი ყოველდღიურად ფიქრობენ გახდენ კომპასი მოსწავლეებისთვის. სახელმწიფოს კი, სურვილი ექნება მათ შრომა დაუფასდეს.

ყველასათვის კარგად ნაცნობმა პაკისტანელმა გოგონამ მალალამ, გაეროს მთავარ ოფისში სიტყვით გამოსვლისას თქვა, რომ „ერთ ბავშვს, ერთ მასწავლებელს, ერთ წიგნს და ერთ კალამს შეუძლია შეცვალოს მსოფლიო. განათლება ერთადერთი გამოსავალია. განათლება პირველია“.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N1(38), 2015

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 / 8-374

მთავარი რედაქტორი: ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** მანანა ბოჭორიშვილი | **რედკოლეგია:** გიორგი მაჩაბელი, მანანა რატიანი, მარიკა სიხარულიძე, ნათია ნაცვლიშვილი | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: მაია ჯალიაშვილი, მაია ფირჩხაძე, ეკატერინე ყიფიანი, მაია ინასარიძე, თამთა კობახიძე, თამარ მოსიაშვილი, ქეთევან ოსიაშვილი, ანა ჯანელიძე, რევაზ ხოფერია, ცვატა ბერძენიშვილი, ნინო ლომიძე, მარიო რადომსკი, გიორგი ნოზაძე, მარიამ გოდუაძე, ნინო ჭიაბრიშვილი.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge



ექსპერტი

19 | **გიორგი ნოზაძე**
მასწავლებლის ტიპური შეცდომები გაკვეთილის დაგეგმვის დროს

გაკვეთილების დაგეგმვის უნარ-ჩვევა ფუნდამენტურია ყველა მასწავლებლისთვის და ყოველი მასწავლებელი გაწაფული უნდა იყოს მასში, თუმცა დაოსტატებას საკმაოდ დიდი დრო, ძალისხმევა და პრაქტიკა სჭირდება.

23 | **მაია ფირჩხაძე**
როგორ ვასწავლოთ მოსწავლეს ნაწარმოების მიმოხილვის დაწერა

ასეთი ტიპის დავალებები ეხმარება მოსწავლეს ძირითადი სასწავლო პროგრამის ათვისებაში, უვითარებს წარმოსახვის, მსჯელობის, მიზეზშედეგობრივი კავშირების, ანალიზის, ფაქტებისა და მოვლენების დახარისხების, შეფასების უნარ-ჩვევებს და ზოგადად, სააზროვნო პროცესებს, ამიტომ მათი გამოყენება სასწავლო პროცესში სასურველი და მისაღებია.

26 | **თამარ მოსიაშვილი**
სასკოლო უსაფრთხოება და სკოლის მიტოვების რისკები

უსაფრთხო სკოლის შექმნის პროცესი უწყვეტია. არ შეიძლება ითქვას, რომ უსაფრთხო სასკოლო გარემო შეიქმნა და პროცესი დასრულებულია. სკოლა მხარდაჭერის გარეშე უსაფრთხოების პრობლემას ვერ გაუმკლავდება.

ზლობალური განათლება

11 | **მარიო რადომსკი**
როგორ შევვიძლია პროფესიულ განათლებაში სწავლის უზრუნველყოფა. კონსტრუქტივიზმი და ზრდასრულთა განათლება

მასწავლებლის როლი ცვალებადია. სხვა დანარჩენთან ერთად, მისი ამოცანაა დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს დახმარების გაწევა და მეთოდოლოგიური კომპეტენციების გადაცემა, ასევე ჯგუფურ-დინამიკური პროცესების გაცნობიერება და რეფლექსიის ხელშეწყობა. ამ შემთხვევაში მასწავლებელი გახდება „შესაძლებლობის მიმნიჭებელი“.

რესურსი

16 | **მაია ინასარიძე**
როგორ დავწეროთ სასწავლო-მეთოდური სტატია

სასწავლო-მეთოდური სტატიის ხარისხი უპირველესად განისაზღვრება იმით, რამდენად გამოადგებათ მასწავლებლებს თქვენ მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები იმისათვის, რომ გააუმჯობესონ საკუთარი სწავლებისა და მოსწავლეების სწავლის პროცესი.

35 | **მარიამ გოდუაძე**
წერის ათვისებისათვის ინკლუზიურ საკლასო ოთახში. მარია მონტესორის მეთოდი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას წერის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული ტიპის სირთულეები იკვეთება.

54 | **ნინო ლომიძე**
დისკუსიის ტექნიკა

სასწავლო დისკუსია, როგორც ერთობლივი სწავლების მეთოდი, ეხმარება მოსწავლეს უკეთ გაიაზროს შესასწავლი საკითხი, ჩამოაყალიბოს განსხვავებული მოსაზრებები, იმსჯელოს ყველა შესაძლო ვარიანტზე, ახლებურად გაიაზროს მასალა.

განათლების სამართალი

8 | **რევაზ ხოფერია**
დოკუმენტები, რომლებსაც მასწავლებელი უნდა იცნობდეს

ზოგადი განათლების სფეროს ბევრი სხვა სამართლებრივი აქტი ეხება, თუმცა, ზემოაღნიშნული ძირითადი დოკუმენტების გაცნობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თქვენს ცოდნას სასწავლო პროცესში ჩართული მხარეების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

მოსაზრება

ანა ჯანელიძე

43 | **წესები და პროცედურები კლასში**

საშუალო კლასებში მასწავლებლებს ასობით მოსწავლესთან აქვთ ურთიერთობა. ამ ასაკის მოსწავლეები უდიდეს მასალას გადიან; ხშირად ეჭვქვეშ აყენებენ მასწავლებლის ავტორიტეტს. წარმატებული მენეჯერები გეგმავენ პროცედურებს, აყალიბებენ წესებს, რათა ასეთ სიტუაციებს გაუმკლავდნენ.

მოსაზრება

მაია ჯალიაშვილი

4 | **აქტიური სწავლების სტრატეგიები**

აქტიური მეთოდების გამოყენება აძლიერებს სწავლის მოტივაციას და მოსწავლის საუკეთესო თვისებების განვითარებას უწყობს ხელს. თუმცა ყოველი მეთოდის გამოყენების წინ მასწავლებელი უნდა დაფიქრდეს და კარგად გაიაზროს, შეესაბამება თუ არა არჩეული მეთოდი კონკრეტულ გაკვეთილს და წინასწარვე წარმოიდგინოს სავარაუდო შედეგი.

თამთა კობახიძე

46 | **შეფასება — მიდგომები და ზოგადი სტრატეგია**

არსებობს შეფასების ტრადიციული და ალტერნატიული მეთოდები და შეფასების საგანი მხოლოდ ნიშნის დაწერა არ არის – ის მოიცავს პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებას, საგაკვეთილო შეფასებას, საშინაო დავალებას და მშობლებთან კომუნიკაციას.

მეგობრობა

ცვატა ბერძენიშვილი

39 | **საკლასო მენეჯმენტი**

საკლასო მენეჯმენტის ცოდნა და მისი სათანადოდ გამოყენება მნიშვნელოვანი ფაქტორებია მასწავლებლის საქმიანობის დასაუფლებლად. მენეჯმენტთან დაკავშირებული პრობლემებით გამოწვეული სტრესი და გადაღლილობა გამოფიტვის წინაპირობაა მოსწავლისთვის.

ქეთევან ოსიაშვილი

50 | **როგორ დავეხმაროთ ბავშვს ძლიერი ნებისყოფის ჩამოყალიბებაში**

ნებისყოფის როლი და მნიშვნელობა როგორც სწავლის, ასევე პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში განუზომელია. ამდენად, ნებისმიერი აღმზრდელისთვის საინტერესო იქნება იმის ცოდნა, თუ რა გზას გადის ბავშვის ნებელობითი განვითარება და როგორ შეიძლება დავეხმაროთ აღსაზრდელს ძლიერი ნებისყოფის ჩამოყალიბებაში.

მაია ჯალიაშვილი

აქტიური სწავლების სტრატეგიები

პედაგოგიკის მეთოდიკის სპეციალისტები დიდ ყურადღებას აქცევენ აქტიური სწავლების სტრატეგიებს, რომლებსაც განსაკუთრებული შედეგის მოტანა შეუძლია სწავლების ყველა საფეხურზე და ყველა საგანში. ევროპის ბევრ ქვეყანაში იყენებენ ამ სტრატეგიას, რომელიც გულისხმობს სწავლების პროცესში ჯგუფურ ჩართვას და გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებას. ეს საშუალებას აძლევს მასწავლებელს, განავითაროს ყველა მოსწავლის ინდივიდუალური მონაცემები, ხელი შეუწყოს მათი განსაკუთრებული ინტერესების გამოვლენას, თვითშეფასების ამაღლებას, საკომუნიკაციო უნარების განვითარებას.

ამერიკელმა სოციოლოგებმა საგულისხმო და საინტერესო კვლევა ჩაატარეს იმის გამოსავლენად, თუ რა ტიპის წყაროებიდან რა მოცულობით იმახსოვრებს ადამიანი ინფორმაციას. პროექტში მონაწილეობის მისაღებად მათ სხვადასხვა ქვეყნიდან მოიწვიეს ახალგაზრდები, რომელთაც სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდათ. მათ შესთავაზეს ათი კითხვა მეცნიერების სხვადასხვა სფეროდან. გამოკითხულთა მხოლოდ 10%-მა უპასუხა ყველა კითხვას.

ამ ექსპერიმენტმა მკვლევრები მიიყვანა შემდეგ დასკვნამდე: მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაშია სკოლა, ის წარმატებით ასწავლის მხოლოდ ერთს ათიდან. როგორც უნდა ვეცადოთ, სკოლაში კარგად სწავლობს მხოლოდ 10%. რატომ? კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანი მხოლოდ 10%-ს იმახსოვრებს წაკითხულიდან, 20%-ს – მოსმენილიდან, ხოლო 30%-ს – ნანახიდან.

გამოკვლევამ წარმოაჩინა, რომ 50% გვამახსოვრდება იქიდან, რასაც ვხედავთ და ვისმენთ, მაგალითად, როდესაც ვნახულობთ ფილმებს, ვათვალიერებთ გამოფენას, მივდივართ ექსკურსიაზე.

საგულისხმოა, რომ 70% გვამახსოვრდება იქიდან, რასაც ვლაპარაკობთ, მაგალითად, როცა გამოვთქვამთ ვარაუდებს, თვალსაზრისებს დისკუსიის დროს. მხოლოდ მაშინ გვამახსოვრდება 90%, როდესაც ვსაუბრობთ და ვმონაწილეობთ რეალურ პროცესში, თვითონ ვიღებთ გადაწყვეტილებებს, ვაკეთებთ დასკვნებს, ვგეგმავთ სამომავლო მოქმედებებს.

მოსწავლე იმახსოვრებს:

10%	წაკითხულიდან	წიგნი, სახელმძღვანელო, ბეჭდური მედია
20%	მოსმენილიდან	ლექცია, ზეპირი ახსნა
30%	ნანახიდან	ილუსტრაცია, სლაიდები
50%	ნანახიდან და მოსმენილიდან	ფილმი, გამოფენა, ექსკურსია
70%	საუბრიდან	დისკუსია
90%	საუბრიდან, მოქმედებიდან	რეალური მოქმედებების იმიტაცია

მკვლევართა აზრით, ამის ახსნა ძალიან მარტივია: ადამიანთა მხოლოდ 10%-ს აქვს უნარი, ისწავლოს წიგნის კითხვით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეთა მხოლოდ 10%-ს მიესადაგება სწავლების ტრადიციული მეთოდები. დანარჩენ 90%-საც შეუძლია სწავლა, მაგრამ არა წიგნის კითხვით, არამედ სხვა გზით, თავისი მცდელობებით, რეალური გამოცდილებით, გრძნობის ყველა ორგანოს მონაწილეობით. ასე რომ,

ყველა ადამიანს შემეცნებისა და განვითარების სხვადასხვა საშუალება აქვს.

ამ ყოველივეს გათვალისწინება აუცილებელია, რათა პედაგოგის ძალისხმევამ შედეგი გამოიღოს. მან უნდა იზრუნოს და გაამრავალფეროვნოს სწავლების პრაქტიკა, რომ მოსწავლეებს სხვადასხვა გზა შესთავაზოს ახალი ინფორმაციის აღსაქმელად, გასაგებად, გასაანალიზებლად, ძველისა და ახალი მასალის დასაკავშირებლად, შესაბამისი დასკვნების გამოსატანად, გონივრული გადაწყვეტილებების მისაღებად.

სწავლების აქტიური მეთოდები მოსწავლეს ახალ პოზიციაში აყენებს, როდესაც ის აღარ არის, მეტაფორულად თუ ვიტყვით, „პასიური ჭურჭელი“, რომელსაც ცოდნით ვავსებთ. ის აქტიურდება და საგანმანათლებლო პროცესში იღებს მონაწილეობას. ადრინდელი სასწავლო გამოცდილების მიხედვით, მოსწავლე მთლიანად ექვემდებარებოდა მასწავლებელს, დღეს კი პედაგოგი მისგან მოელის აქტიურ მოქმედებას, დამოუკიდებელ აზროვნებას, აღიარებულ მოსაზრებებში დაეჭვებას, ვარაუდების გამოთქმას, იდეების მოწოდებას, შემოქმედებითობას.

სწავლების აქტიური მეთოდების მიხედვით, უპირატესობა ენიჭება ჯგუფური მუშაობის ფორმას. აქტიური მეთოდების ტექნოლოგია ეფუძნება ერთობლივ მოქმედებას და მიმართულია იმისკენ, რომ:

- ჯგუფის მონაწილეებმა ერთმანეთი შეავსონ და გაამდიდრონ თავიანთი ცოდნითა და გამოცდილებით;
- მოახერხონ ერთობლივი მოქმედებების ორგანიზება, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო-შემეცნებითი პროცესების გააქტიურებას;
- შეძლონ კომუნიკაცია, ურთიერთობა, რის გარეშეც წარმოუდგენელია შესასრულებელ დავალებათა განაწილება, თვალსაზრისთა გაზიარება და ურთიერთგაგება;
- შეძლონ პრობლემის გადასაწყვეტად მოქმედების ხერხების გაზიარება;
- შეძლონ ურთიერთგაგება, რაც განსაზღვრავს მოსწავლეთა ჩართულობას ჯგუფში და ინდივიდუალური უნარების მაქსიმალურ გამოვლენას;
- შეძლონ რეფლექსია, რომლის საშუალებითაც წარმოჩნდება მონაწილის პასუხისმგებლობა საკუთარ მოქმედებაზე, შეცდომის შემთხვევაში კი – მოქმედების შესწორების უნარი.

აქტიური მეთოდები გულისხმობს სასწავლო პროცესში თამაშის ელემენტების გამოყენებას. თამაშის პედაგოგიკა კრებს იდეებს, რომლებიც ხელს უწყობს ჯგუფში ურთიერთობის ჩამოყალიბებას, თვალსაზრისთა ურთიერთგაცვლას, კონკრეტული პრობლემების გაგებას და მათი გადაწყვეტის გზების ძიებას. როგორც აღიარებულია, თამაშს დამხმარე ფუნქცია აქვს სწავლების პროცესში.

თამაშის პედაგოგიკის ამოცანაა, წარმოადგინოს მეთოდიკა, რომელიც ჯგუფურ მუშაობას ეხმარება და ქმნის ატმოსფეროს, რომლის წყალობითაც მონაწილეები თავს გრძნობენ კომფორტულად და დაცულად. ყოველ მათგანს აქვს შეგრძნება, რომ მის თვალსაზრისს, იდეას პატივს სცემენ; შეიძლება შენიშვნა მისცენ, გააკრიტიკონ, არ მიიღონ, მაგრამ ამას ისე გააკეთებენ, რომ აზრის გამომთქმელს არ დაამცირებენ, არ დასცინებენ, ღირსებას არ შეულახავენ.

თამაშის პედაგოგიკა მასწავლებელს და მოსწავლეებს ეხმარება სხვადასხვა უნარის გამოვლენაში, შესაძლებლობების რეალიზაციაში. მონაწილეებმა თავისუფლად უნდა გამოხატონ განცდები, ემოციები, დაიხმარონ ჟესტ-მიმიკა და ყველა გზითა და ხერხით გამოავლინონ საკუთარი თავი ისე, რომ არ ჰქონდეთ სიმორცხვისა და გაუბედაობის განცდა. მათ უნდა დაძლიონ სხვებთან ურთიერთობის შიში, იყვნენ ლაღნი და კეთილგანწყობილნი ჯგუფის ყველა წევრის მიმართ. ნდობით მოეკიდონ ყოველ ახალ მონაწილეს და საშუალება მისცენ, თავი იგრძნოს ჯგუფის სრულყოფილ წევრად.

ამგვარი მუშაობა დაარღვევს ბევრ უსარგებლო და სწავლების შემაფერხებელ სტერეოტიპს, რომლებიც მოსწავლეთა ცნობიერებაშია ჩამოყალიბებული. მოსწავლეს აუმაღლდება თვითშეფასება, გახდება უფრო თავდაჯერებული, თამამი, გამბედავი და გაუჩნდება სიხარულის განცდა, რომელიც მოაქვს თვითგამოხატვის შესაძლებლობას, საზოგადოებაში თვითდამკვიდრების განცდას.

თამაშის პედაგოგიკის პრინციპებია:

აქტიური მეთოდების გამოყენება აძლიერებს სწავლის მოტივაციას და მოსწავლის საუკეთესო თვისებების განვითარებას უწყობს ხელს. თუმცა ყოველი მეთოდის გამოყენების წინ მასწავლებელი უნდა დაფიქრდეს და კარგად გაიაზროს, შეესაბამება თუ არა არჩეული მეთოდი კონკრეტულ გაკვეთილს და წინასწარვე წარმოიდგინოს საერაუდო შედეგი.

1. საკუთარი ნებით მონაწილეობა;
2. შეჯიბრებისთვის თავის არიდება და დადებითი ემოციების გამოვლენის შესაძლებლობა;
3. გამოყენებული ფორმის მრავალფეროვნება;
4. ყურადღების გამახვილება კომუნიკაციის ყველა დონეზე.

აქტიური მეთოდიკის სტრატეგიებზე დღეს ბევრი თეორეტიკოსი თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი ფიქრობს. მათ შორისაა სპეციალისტების ჯგუფი, რომელსაც ამერიკელი პროფესორი დევიდ კოლბი ხელმძღვანელობს. მკვლევართა აზრით, ადამიანი შეიძლება შევადაროთ აისბერგს, რომლის მხოლოდ 1/8 ჩანს წყლის ზედაპირზე, 7/8 კი წყლითაა დაფარული. ხომალდების უმეტესობა ოკეანეებში აისბერგის სწორედ ამ უხილავი ნაწილის მსხვერპლი ხდება. პედაგოგთა წარუმატებლობის დიდი წილი მოდის იმაზე, რომ სასწავლო პროცესში ისინი ხშირად ივიწყებენ მოსწავლის გრძნობებსა და ემოციებს.

სწავლების აქტიური მეთოდები მოსწავლეს ახალ პოზიციაში აყენებს, როდესაც ის აღარ არის, მეტაფორულად თუ ვიტყვით, „პასიური ჭურჭელი“, რომელსაც ცოდნით ვავსებთ. ის აქტიურდება და საგანმანათლებლო პროცესში იღებს მონაწილეობას.

სწავლების აქტიურ მეთოდებს შორის ცნობილია თამაშის ორგანიზების შემდეგი ფორმები: „ყინულმჭრელი“, „გადაწყვეტილებათა ხე“, „ცარიელი სავარძელი“, „6 x 6 x 6“, „იდეების ხალიჩა“ და სხვ.

მეთოდი „ყინულმჭრელი“ ხშირად გამოიყენება თითქმის უცნობ ადამიანთა დასაახლოებლად (წარდგენა, ინტერვიუ). კლასში, სადაც მოსწავლეები კარგად იცნობენ ერთმანეთს, ეს მეთოდი გამოიყენება ემოციური განწყობის ასამაღლებლად.

აქტიური მეთოდიკა გულისხმობს სწავლებას ჯგუფებში, რომელთა შემადგენლობა ყოველ ჯერზე იცვლება. ჯგუფებად დაყოფის მეთოდიკა კი გულისხმობს იმას, რომ მასწავლებელი თავიდანვე აყალიბებს ჯგუფის შედგენის პრინციპებს. მასში არ უნდა იყოს 9 მოსწავლეზე მეტი. პედაგოგმა ეს მეთოდიკაც უნდა გაამრავალფეროვნოს და საინტერესო გახადოს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა განაწილდნენ მოსწავლეები „საუკეთესოებად“ და „უარესებად“. ასევე, ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ჯგუფს ყოველთვის ერთი და იგივე ლიდერი არ ჰყავდეს.

ყოველ გაკვეთილზე ახალი შემადგენლობის ჯგუფები უნდა შეიქმნას. მიზანი ისაა, რომ მოსწავლეები შეეჩვიონ საკუთარი იდეების გაზიარებას, შეიძინონ საერთო თვალსაზრისის შექმნის უნარი, შეძლონ ურთიერთობა იმ ადამიანთანაც, რომლის მიმართ არ არიან კეთილგანწყობილნი, ან რაიმე უთანხმოება აქვთ; მოახერხონ ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობა ახალი იდეების მოსაფიქრებლად.

მეთოდიკა „გადაწყვეტილებების ხე“ – ამ მეთოდიკას იყენებენ არაერთმნიშვნელოვანი და რთული სიტუაციების დროს. მასწავლებელი მუშაობის დაწყებამდე წარმოაჩენს პრობლემას, რომელსაც შემდეგ ჯგუფებში განიხილავენ. იგი წინასწარ ამზადებს ცხრილებს ყოველი ჯგუფისთვის. მოსწავლეებს წინა გაკვეთილზე ავალებენ, რომ გაეცნონ იმ საკითხებს, კონკრეტულ ფაქტებს, რომლებიც მოცემული პრობლემის გადასაჭრელად დასჭირდებათ. გაკვეთილზე კი ისინი ყოველმხრივ განიხილავენ პრობლემას, დაწვრილებით აანალიზებენ მისი გადაჭრის გზებს, ყოველი გადაწყვეტილების პლუსებს და მინუსებს გამოავლენენ და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ საერთო გადაწყვეტილებას. ყოველი ჯგუფი დავალების შესრულებისას ავსებს ცხრილს, რომელიც კარგად წარმოაჩენს ჯგუფის მუშაობის პროცესს:

პრობლემა

+ უპირატესობა	- ნაკლი
1.	1.
2.	2.
3.	3.

საერთო გადაწყვეტილება

მეთოდიკა 6X6X6 („ექვსჯერ ექვსი") – ამ დროს მუშაობა ორ ეტაპად მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე ყოველი ჯგუფი დამოუკიდებლად ასრულებს დავალებას. მუშაობის პროცესში მონაწილეები იღებენ ახალ ცოდნასა და გამოცდილებას, ამასთანავე, ყოველი მათგანი ემზადება იმისთვის, რომ შეძენილი ცოდნა და გამოცდილება ახალ ჯგუფში სხვებს გაუზიაროს.

მეორე ეტაპზე ახალი ჯგუფები იქმნება და პირველი ეტაპის მონაწილე ყველა ჯგუფშია. თავიდან ყოველი მონაწილე წარმოადგენს წინა ჯგუფში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას, შემდეგ კი ჯგუფი ახალ დავალებას ასრულებს. ეს საშუალებას აძლევს პედაგოგს, რომ ერთი საკითხი სხვადასხვა რაკურსით გააანალიზებინოს მოსწავლეებს და მიღებული დასკვნები გააზიარებინოს.

სადისკუსიო მეთოდიკას განეკუთვნება „ცარიელი სავარძელი". მისი მიზანია, მოსწავლეებმა გადაწყვეტილება მოსაზრებათა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე მიიღონ. ეს მეთოდი მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების უნარს უვითარებს, ასწავლის დასაბუთებას, ზუსტი და შესაბამისი არგუმენტების მოხმობას, დამაჯერებელ დასაბუთებას, კითხვების დასმის ხელოვნებას, დისკუსიის კულტურას, ააქტიურებს მონაწილეთა დიდ რაოდენობას.

წამოჭრილ პრობლემასთან დაკავშირებული, ფურცელზე დაწერილი რამდენიმე თვალსაზრისი გაანაწილეთ 3-4 სკამზე, ერთ ფურცელზე კი დაწერეთ მხოლოდ კითხვის ნიშანი. მონაწილენი გაეცნობიან ამ ყველაფერს. ვისაც მოცემულისგან განსხვავებული შეხედულება ექნება, დადგება კითხვისნიშნიან სკამთან. ასევე განაწილდებიან სხვა სკამებთან და შეიქმნება ჯგუფები. შემდეგ ჯგუფში განიხილავენ საკითხს და აირჩევენ ლიდერს, რომელიც მათ თვალსაზრისს წარმოადგენს და დაიცავს დისკუსიის დროს. მონაწილენი დასხდებიან წრეზე. დისკუსიას იწყებენ იმ ჯგუფის წევრები, რომლებიც პირისპირ სხედან. მასწავლებელი დგამს კიდევ ერთ სკამს მისთვის, ვისაც გაუჩნდება აზრის გამოთქმის სურვილი. ამას ჰქვია ცარიელი სავარძელი, რომელზეც ჯდომა მხოლოდ ერთ წუთს შეიძლება. მასწავლებელი, რომელიც დისკუსიას უძღვება, დისკუსიას ამთავრებს მაშინ, როცა ყველაზე მნიშვნელოვან დასაბუთებას მოისმენს.

„იდეების ხალიჩა" პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც სამ ეტაპად ხორციელდება. თავდაპირველად მონაწილენი 3-4 ჯგუფად იყოფიან. პირველ ეტაპზე ხდება პრობლემის გააზრება. მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ კითხვას: რატომ არსებობს ეს პრობლემა? ყოველ ჯგუფს ურიგდება ფერადი მისაწებებელი ფურცლები. მოსწავლეები უპასუხებენ შეთავაზებულ კითხვას, მაგალითად: რატომ არის სკოლაში სწავლა ძნელი? ჯგუფი პასუხს წერს ფერად ქაღალდზე და აკრავს „იდეების ხალიჩაზე".

მეორე ეტაპი გულისხმობს გზების ძიებას გადაწყვეტილების მისაღებად. რა შეიძლება შეიცვალოს? ყოველი ჯგუფი დაწერს საკუთარ პასუხს ფერად ფურცელზე და გააკრავს დაფაზე. მესამე ეტაპზე მონაწილეები ინდივიდუალურად მოქმედებენ. მათ უნდა უპასუხონ კითხვას: რას გავაკეთებ მე არსებული სიტუაციის შესაცვლელად? მეოთხე ეტაპი გულისხმობს წარმოდგენილი იდეების შეფასებას და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას. მონაწილემ უნდა აარჩიოს პრობლემის გადაწყვეტის ის გზა, რომელიც ყველაზე ოპტიმალურად მიაჩნია.

აქტიური მეთოდების გამოყენება აძლიერებს სწავლის მოტივაციას და მოსწავლის საუკეთესო თვისებების განვითარებას უწყობს ხელს. თუმცა ყოველი მეთოდის გამოყენების წინ მასწავლებელი უნდა დაფიქრდეს და კარგად გაიაზროს, შეესაბამება თუ არა არჩეული მეთოდი კონკრეტულ გაკვეთილს და წინასწარვე წარმოიდგინოს სავარაუდო შედეგი.

რევაზ ხოფერია

დოკუმენტები, რომლებსაც მასწავლებელი უნდა იცნობდეს

თუ თქვენ მასწავლებელი ხართ, ასწავლით საჯარო ან კერძო სკოლაში, იცოდეთ, რომ გამოგადგებათ შემდეგი სამართლებრივი აქტების გაცნობა:

1. საქართველოს კონსტიტუცია

კონსტიტუცია ქვეყნის ძირითადი კანონია, რომელიც პარლამენტმა 1995 წელს მიიღო. კონსტიტუციაში მოცემულია ძირითადი სამართლებრივი საკითხები, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებული წესები, პარლამენტის, აგრეთვე პრეზიდენტის არჩევის წესი და მათი უფლებამოვალეობები, მთავრობის დაკომპლექტების წესი, სასამართლო ხელისუფლების შესახებ რეგულაციები, აგრეთვე სახელმწიფო ფინანსებსა და კონტროლთან, სახელმწიფოს თავდაცვასთან დაკავშირებული საკითხები. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ძირითადი რეგულირებებიც კონსტიტუციაშია მითითებული.

ყველა კანონი თუ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.

გირჩევთ, 1921 წლის კონსტიტუციასაც გაეცნოთ, რადგან ამ აქტში ჩანს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი საქართველო და რა უფლებები უნდა ჰქონოდათ მოქალაქეებს. 1921 წლის კონსტიტუციის მოქმედება მიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, საქართველოს საბჭოთა ოკუპაციისთანავე შეწყდა.

2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

1948 წელს გაერომ მიიღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. დეკლარაციაში გამოცხადებულია ძირითადი უფლებები: სიცოცხლის, თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობის, მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და თავშესაფრის, დემოკრატიული არჩევნების გზით სახელმწიფო მართვაში მონაწილეობის, შრომის, თანაბარი შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების მიღების, დასვენების, განათლების და ა.შ. უფლებები. რელიგიისა და მრწამსის, კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებაც გარანტირებულია დეკლარაციით. აკრძალულია მონობა, მონებით ვაჭრობა. დეკლარაციაში აგრეთვე მითითებულია სისხლის სამართლის, სისხლის საპროცესო სამართლისა და საოჯახო სამართლის ძირითადი პრინციპები.

3. ბავშვის უფლებათა კონვენცია

კონვენცია მიღებულია 1989 წელს გაეროს მიერ. კონვენციის მიზნებისთვის ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ადამიანი. ბავშვის უფლებები მოიცავს ორივე მშობელთან ასოცირების უფლებას, ასევე ინდივიდუალურობის შენარჩუნებას, ფიზიკურ უსაფრთხოებას, საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფას, ასაკისა და განვითარების შესაბამის სისხლის სამართლის კანონმდებლობას, თანასწორ მოპყრობას. დაუშვებელია ბავშვის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა მისი რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რაიმე ვითარების მიხედვით.

4. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი

ეს კანონი 2005 წელს მიიღო პარლამენტმა. კანონი აწესრიგებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ზოგადი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს სკოლების სტატუსს, მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის წესს, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესს.

5. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

დოკუმენტი დამტკიცებულია 2004 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით და მასში განსაზღვრულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.

სკოლაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება; ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა; ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი; დამოუკიდებლად ცხოვრება და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება; იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე; საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც; კომუნიკაცია ინდივიდებსა და ჯგუფებთან; იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.

6. ეროვნული სასწავლო გეგმა

ეროვნული სასწავლო გეგმა დამტკიცებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2011 წელს. ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს.

ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი ამოცანაა, შექმნას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები. ამ მიზნიდან გამომდინარე, იგი ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას. ამ კონცეფციის აღმავლობას თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ხელი შეუწყო 70-იანი წლებიდან სხვადასხვა სამეცნიერო დარგში მიმდინარე ინტენსიურმა კვლევებმა, რომლებმაც მეცნიერულად დაასაბუთა მისი უპირატესობა მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებისათვის, შესაბამისად, ისეთი მოქალაქის აღზრდისათვის, რომელიც თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებს უპასუხებს.

7. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

დოკუმენტი დამტკიცებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2008 წელს და განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და ვალდებულებებს. სტანდარტ-

ზოგადი განათლების სფეროს ბევრი სხვა სამართლებრივი აქტი ეხება, თუმცა, ზემოაღნიშნული ძირითადი დოკუმენტების გაცნობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თქვენს ცოდნას სასწავლო პროცესში ჩართული მხარეების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

გაითვალისწინეთ, რომ სამართლებრივი აქტები ხშირად იცვლება, დოკუმენტის საბოლოო ვერსიის გაცნობა კი აუცილებელია სწორი სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბებისთვის. მოქმედი ნორმატიული აქტების საბოლოო ვერსიებს შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ ვებგვერდზე: www.matsne.gov.ge



ში მითითებული მოთხოვნები საერთოა ყველა მასწავლებლისათვის და მისი ძირითადი მიზანია ზოგადი განათლების ხარისხის განვითარება.

8. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი

დოკუმენტი დამტკიცებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2008 წელს და ადგენს მასწავლებლის პროფესიული ქცევის წესებს, რომლებითაც ფასდება მასწავლებლის პროფესიული კომპეტენტურობის ხარისხი და რომელთა დაცვა მასწავლებელს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების მიმართ მოეთხოვება.

9. მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესი

დოკუმენტი დამტკიცებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2014 წელს და ადგენს საჯარო სკოლის მასწავლებელთა დისციპლინური გადაცდომების ნუსხას, დისციპლინური სახდელის სახეებს და დისციპლინური წარმოების წესს.

კერძო სკოლის მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესს განსაზღვრავს კერძო სკოლა.

10. საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა და პირობები

დოკუმენტი დამტკიცებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2015 წელს. არეგულირებს მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობას და პირობებს. დოკუმენტი მხოლოდ საჯარო სკოლის მასწავლებლებს ეხება.

11. საქართველოს შრომის კოდექსი

ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს ანუ თქვენს შრომით ურთიერთობას სკოლასთან. კოდექსში მოცემულია შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რეგულაცია შრომითი ურთიერთობის წარმოშობიდან მისი შეწყვეტის ჩათვლით. უნდა გაითვალისწინოთ, რომ შრომის კოდექსი არ არეგულირებს ყველა საკითხს, რაც სკოლასთან თქვენს შრომით ურთიერთობას შეიძლება ეხებოდეს, ამიტომ კოდექსთან ერთად მნიშვნელოვანია იცოდეთ სკოლის შიდა აქტებითა და სკოლასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი უფლებები და მოვალეობები.

ზოგადი განათლების სფეროს ბევრი სხვა სამართლებრივი აქტი ეხება, თუმცა, ზემოაღნიშნული ძირითადი დოკუმენტების გაცნობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თქვენს ცოდნას სასწავლო პროცესში ჩართული მხარეების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

გაითვალისწინეთ, რომ სამართლებრივი აქტები ხშირად იცვლება, დოკუმენტის საბოლოო ვერსიის გაცნობა კი აუცილებელია სწორი სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბებისთვის. მოქმედი ნორმატიული აქტების საბოლოო ვერსიებს შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ ვებგვერდზე: www.matsne.gov.ge.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ

ᲛᲐᲠᲘᲝ ᲠᲐᲓᲝᲛᲡᲙᲘ

კონსტრუქტივიზმი და ზრდასრულთა განათლება

თუ ადამიანი ქვას ფეხს წამოჰკრავს, ზუსტად შეძლებს განსაზღვროს, რა მიმართულებით გადავარდება ის. დარტყმის ძალისა და კუთხის ცოდნა საშუალებას მოგვცემს, პროგნოზი გავაკეთოთ. თუმცა, თუ ადამიანი ძაღლს დაეჯახება, რეაქცია გაურკვეველია, რადგან სულიერი არსება შესაძლოა თავდასხმაზე გადავიდეს. რამდენად ეხება ეს მოზარდებს და მათ სასწავლო პროცესს?

პედაგოგიკასა და დიდაქტიკაში არსებობს ისეთი მოძველებული მოდელები, რომელთა მიხედვითაც ოპტიმალური სასწავლო პროცესები ბოლომდე დაგეგმილი და წინასწარგანჭვრეტადია; სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მიღებული შედეგები აუცილებლად გამოიწვევს ახალგაზრდების გარკვეულ წარმატებას. კონსტრუქტივიზმმა და მისმა გამოვლინებამ ევროპაში, ბოლო ათ წელიწადში, გარკვეული ძვრები მოახდინა ამ მიმართულებით. იმართებოდა ცხარე დებატები, მთავარი კითხვები კი გახლდათ: არის თუ არა სწავლა ახალგაზრდებში საიმედოდ პროგნოზირებადი? რა ტიპის შენიშვნები და კითხვებია განათლების მიღების პროცესში დამატებით გასათვალისწინებელი?

სტატიაში ვეცდებით, სამეცნიერო დებატების პოტენციალს შევხედოთ სხვადასხვა კუთხით, შევაჯამოთ პროფესიული განათლების თეორიისა და პრაქტიკის მნიშვნელობა.

ტერმინი „კონსტრუქტივიზმი“ აბსტრაქციებით აზროვნებას ნიშნავს. ეს არის თეორიებისა და ცნებების სხვადასხვა კონტექსტი. ადამიანს არ აქვს პირდაპირი შემეცნებითი ხელმისაწვდომობა რეალობასთან, იგი განიცდის ზემოქმედებას, გავლენას, რის შედეგადაც გაიაზრებს იმ ინფორმაციას, რომლის გადამუშავებაც შეუძლია. ცოდნას აქვს რაღაც სუბიექტურიც. ცხოვრება ჰგავს პილოტის ფრენას, რომელიც თავს არიდებს უამინდობის დროს დაბრკოლებებს, რადგან ინსტრუმენტები მიანიშნებენ, რომ „რაღაც“ წინაღობა არსებობს გზაზე. ის სათანადოდ აფასებს სიტუაციას. შესაძლოა, ვერ ხვდება, თუ რა არის ეს „რაღაც“, მაგრამ მას შეუძლია იპოვოს ეფექტური გზა არსებული პრობლემის გადასაჭრელად დეტალებზე დაკვირვების გარეშე. ეს არის სიცოცხლისუნარიანობა (Viabilität) და არა – ცოდნის ობიექტურობა და მოქმედება.

ეს გნოსეოლოგიური პერსპექტივა ჩვენთვის ახალი როდია. ყველას, ვისაც მცირედი წარმოდგენა მაინც აქვს ფილოსოფიის ისტორიაზე, შეუძლია თავი წარმოიდგინოს პლატონის მღვიმეში. ნეიროფსიქოლოგიაში არსებობს ასეთი შეხედულება, რომ ადრინდელთან შედარებით უკეთესად შეგვიძლია საკითხის განჭვრეტა და გაგება. საინტერესოა, როგორ შერჩევით ფუნქციონირებენ ჩვენი ინსტრუმენტები რეალობის შესაცნობად. „დასკვნა“, როგორც შეფასების ქსელი, ჩნდება ჩვენს თავში, ხოლო დასკვნები ხშირად არის დადასტურება წინარე ვარაუდებისა.

ინდუსტრიული ეპოქის მსოფლიო იყენებდა გამოუთქმელ თეორიულ მიდგომას: „სინამდვილე არის ცნობადი და წარმა-

მასწავლებლის როლი ცვალებადია. სხვა დანარჩენთან ერთად, მისი ამოცანაა დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს დახმარების გაწევა და მეთოდოლოგიური კომპეტენციების გადაცემა, ასევე ჯგუფურ-დინამიკური პროცესების გაცნობიერება და რეფლექსიის ხელშეწყობა. ამ შემთხვევაში მასწავლებელი მახდება „შესაძლებლობის მიმნიჭებელი“.

ტებით შეიძლება მისი მოდელირება“. წინადადების პირველი ნაწილი აღმოჩნდა არასწორი, შეუმდგარი. „სინამდვილე არის ცნობადი?“ მის ადგილას წარმოჩნდება დამკვირვებლის ხედვა: „საქმე აღარ ეხება გარე რეალობის ან სინამდვილის ბუნებას, არამედ ადამიანი იწყებს რეალობის მინიშნებას ან დამკვირვებლის მიერ აღქმული სინამდვილის, ეს უკანასკნელი კი საკუთარი გამოცდილებიდან მოგვითხრობს“ (Maturana in Pörsken 2001, გვ. 73).

როდესაც საუბარია მეტა-დონეზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ რაიმე საქმის, რომელიმე ადამიანის ან სიტუაციის შესახებ სხვა არაფრის თქმა არ შეგვიძლია, გარდა იმისა, რასაც ჩვენი მხედველობითი და სმენითი აღქმის ორგანოები გვაწვდიან. კონსტრუქტივიზმის დამკვირვებლის თეორია აღწერს, როგორ არის შესაძლებელი ფრაგმენტული აღქმის საფუძველზე, მოვახდინოთ რეალობის კონსტრუირება – დაკვირვების და არა თვით რეალობის გზით.

ხშირად ეს რეალობა ჩვენ წინაშე დგას არა პირდაპირ, არამედ იგი გადმოგვეცემა სხვა დამკვირვებლებისაგან.

ჩვენ ვცვლით ხედვის მიმართულებას. როცა ვაკვირდებით ორ ან მეტ ადამიანს შორის კომუნიკაციას, ვხვდებით, რომ ისინი იყენებენ ერთნაირ სიტყვებს, თუმცა განსხვავებული გაგება გვხვდება, რადგან ყველას სხვადასხვა წინარე გამოცდილება აქვს. ამ შემთხვევაში გაუგებრობები დასაშვებია. ზოგჯერ ვკარგავთ თავდაჯერებას: ნამდვილად გვესმის ერთმანეთის? ასეთ შემთხვევაში ყურადღებას ვამახვილებთ ინტონაციაზე, სხეულის ენასა და ემოციაზე, რათა გავიგოთ, რამდენად გაიაზრა მსმენელმა მონათხრობი.

ერთმანეთის ვაგებინებთ სათქმელს, თუმცა ხშირად ერთი და იგივე ამბავი ადამიანებში სხვადასხვა ემოციას აღძრავს. შესაძლებელია, ორ პედაგოგს ერთი მოსწავლის მიმართ რადიკალურად განსხვავებული შეფასება ჰქონდეს და ეს გამოჩნდეს საუბრისას. ორივე ისაუბრებს სრულიად სხვადასხვა პერსპექტივიდან ან სიტუაციის ასპექტებს განსხვავებულად შეაფასებს – მაშინაც კი, თუკი ისინი მოსწავლეს მხოლოდ ვერბალურად აღწერენ როგორც ძალიან მშვიდსა და წყნარს. პირველი მასწავლებლისთვის შესაძლოა კლასში მოსწავლის რეპრესირებული როლი წინა პლანზე იდგეს, მაშინ როცა მეორისთვის ეს გარკვეული ტიპის დაბრკოლებაა. ორივე მასწავლებელი ცდილობს იპოვოს გზა, რათა შეიმუშაოს ეფექტური მიდგომა და განავითაროს ის. თანამშრომლობაში პედაგოგებს დაეხმარება „სიცოცხლისუნარიანობა“ – უნარი შესაბამისი მიდგომების პოვნისა.

შინაგან სისტემაში ჩვენ ვხედავთ ძალიან სპეციფიკურ კითხვებს, გაურკვევლობებსა და იდეებს. ადამიანები რეაგირებენ მთელი რიგი შინაგანი კოგნიტიური და ემოციური მახასიათებლების, უმთავრესად – „ფხიზელი“ რეაქციის საფუძველზე. საჭიროა ამ ფაქტების გათვალიწინება. რაოდენ პარადოქსულიც უნდა გვეჩვენოს, ჩვენ უნდა შევძლოთ „ბრძოლა რეალობისათვის“ (Simon 1999, გვ. 53), რათა „ობიექტური“ ცოდნა დავთმოთ და ჩვენი ქმედებები პროფესიულ განათლებაში უფრო მკაფიოდ მივმართოთ მთავარი საკითხებისკენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ზრდასრულთა განათლება, იმის გაცნობიერება, რომ სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. საწყის ეტაპზევე უნდა გვქონდეს მოლოდინი. მასწავლებლების შეფასება უნდა იყოს უფრო მეტად მრავალფეროვანი. ჩვენი მოვალეობაა, რომ ვიყოთ საჭირო სტუდენტებისათვის, ანუ ვიპოვოთ პრაქტიკული მიდგომები, რათა ვიმოქმედოთ ეფექტურად. მხოლოდ სწავლის მეთოდი ან ზუსტად დაგეგმილი მედიაციის ნიმუში ვერ იქნება ერთადერთი განზოგადებული პასუხი. ქმედება უნდა იყოს ყოველთვის მოქნილი და „თავსებადი“.

უარი ვთქვათ წარსულზე ორიენტირებულ დასკვნებზე. „ნორმალური“ ენობრივი წესებითა და ტრადიციული პედაგოგიური ნიმუშებით შეუძლებელია ან ნაკლებად შესაძლებელია მუშაობა. სიტუაციებს ისე ვხედავთ, როგორც აღვიქვამთ, ჩვენი ბიოგრაფიებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებით. მოსწავლეს მასწავლებელი აღიქვამს როგორც „სუფთა ფურცელს“, რომელიც ცოდნით უნდა შეავსოს. ახალგაზრდების სწავლების პროცესში უნდა გავითვალისწინოთ ე. წ. „სიცარიელე“ და ურთიერთდამოკიდებულება სწავლის გადამცემსა და მიმღებს შორის. ამის გააზრებით შესაძლებელია გაკვეთილის დაგეგმვა.

ზრდასრულთა განათლების სისტემაში კიდევ უფრო მეტი ხარვეზი გვხვდება. სასწავლო სიტუაციების გაცნობისას შევნიშნავთ, რომ ძალიან ბევრი რამ დამახინჯებულია ან საერთოდ დაკარგული. პრობლემა აქტუალურია, რაზეც მიგვანიშნებს საგანმანათლებლო თეორია. დღეისათვის არსებობს უამრავი ნაშრომი, სადაც თავმოყრილია ზრდასრულთა სწავლის სპეციფიკასთან დაკავშირებული საკითხები.

ცოდნის გადამცემმა (მასწავლებელმა) უნდა შეძლოს ცოდნის მიმღების (მოსწავლის) ინტერესების, დამოკიდებულებების, ღირებულებების, წინარე გამოცდილებისა და პოტენციალის აქტიურად და ინდივიდუალურად გაანალიზება. აღსანიშნავია, რომ ზრდასრულ მოსწავლეებს, როგორც თავიანთი ბიოგრაფიის ექსპერტებს, სულ სხვა დამოკიდებულება აქვთ მასწავლებლებისადმი. არ არსებობს დიდი პედაგოგიური უფსკრული მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის.

პროფესიულ განათლებასა და ზრდასრულთა სწავლებაში მნიშვნელოვანია პრაქტიკული ურთიერთობები. უმთავრესად, მოსწავლეს მოაქვს გარკვეული წინარე გამოცდილება, რომელიც დააგროვა სახლში ან სხვა ადგილას, სოციუმთან ურთიერთობის შედეგად. მან უფროსი თაობა ნახა და გამოსცადა, როგორც მისაბაძი (მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას ან პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისას). მიბაძვისა და მცდელობის გზით ახალგაზრდებმა რაღაცები შეითვისეს. ეს შესაძლოა არასწორი, რთული ან სამაგალითო აღმოჩნდეს. მყარდება გარკვეული ბალანსი მასწავლებლების მხრიდან ახლად მიწოდებულ და უკვე ნასწავლ, ათვისებულ სასწავლო პროგრამებს შორის. მასწავლებელი იმყოფება მუდმივად ცვალებად როლში.

ლიტერატურაში ზრდასრულთა განათლების თეორიის მიდგომები კვლავ პრინციპულად რჩება. ისევ განიხილება „პედაგოგი“ და „მოსწავლე“, “საჭიროებათა განვითარება“ და „პროგრამების დაგეგმვა“; აგრეთვე ჯერ კიდევ აქტუალურია მასწავლებელთა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი, „წარმატების კონტროლი“ და „ხარისხის უზრუნველყოფა“. ამას მოსდევს მეტ-ნაკლებად ფარულ გაცემამიღებასთან დაკავშირებული მოსაზრებები: „თუ მასწავლებელი აკეთებს ამას, მაშინ ზუსტად ასეთივე შედეგს უნდა ველოდეთ მოსწავლისაგან“.

ყოველივე ზემოთქმულს ამყარებს შემდეგი მოსაზრება: მე ფეხს ვკრავ ქვას და ზუსტად შემიძლია იმის განსაზღვრა, საით გადავარდება ის. კარგია, რომ სასწავლო გეგმას (კურიკულუმს) ევროპულ კონტექსტში სწავლის მიზნების, შედეგების გათვალისწინებით ვწერთ, ხოლო პროფესიულ მედიაციაში ერთიან საგანმანათლებ-

ცოდნის გადამცემმა (მასწავლებელმა) უნდა შეძლოს ცოდნის მიმღების (მოსწავლის) ინტერესების, დამოკიდებულებების, ღირებულებების, წინარე გამოცდილებისა და პოტენციალის აქტიურად და ინდივიდუალურად გაანალიზება.



ლო სტანდარტებს ვქმნით. პედაგოგიურ-დიდაქტიკურად ფატალური იქნება, თუკი მასწავლებელი მოსწავლეებთან ურთიერთობისას აზროვნების ამ მოდელს მექანიკურად და ცალმხრივად მიჰყვება. ამ შემთხვევაში გაკვეთილი იქნებოდა ერთფეროვანი და მოსაწყენი. აუცილებელია მოტივაცია, რათა მოსწავლეებს არ ჩაეძინოთ და საგაკვეთილო პროცესს ბოლომდე მიჰყვნენ. ევროპაში დისკუსია იქით მიდის, რომ „რადიკალური" შედეგები, ძალზე მნიშვნელოვანი საკითხების წყალობით, სწავლისა და სწავლების კონტექსტში მოვაქციოთ.

პედაგოგიურ და ზრდასრულთა საგანმანათლებლო დებატებში შესამჩნევია ახლებური კონცეპტუალური ორიენტაცია, სისტემურ-კონსტრუქტივისტული მიდგომები (vgl. Rotthaus 2002; Voß 1998). ექსპერტები ძალისხმევას არ იშურებენ იმისათვის, რომ კომუნიკაცია, როგორც ბაზისი სწავლა-სწავლების სისტემისა, დიდაქტიკის ამოსავალ წერტილად აქციონ. ასევე არის მცდელობა იმისა, რომ სწავლების სისტემა უფრო ფუნდამენტური პროფესიულ-თეორიული მიზნებისთვის და საგანმანათლებლო შედეგების აღმოჩენისთვის გამოიყენონ (vgl. Arnold/Siebert 2003). აქცენტი კეთდება იმაზე, თუ როგორ შეძლებენ მასწავლებლები და მოსწავლეები ერთმანეთთან ურთიერთობის დამყარებას სასწავლო პროცესში. ასეთი მიდგომა გვაძლევს ახალ, გარკვეულწილად მეტაფაქტიურ (R. Amold) ცოდნას (ძირითად პროფესიულ ცოდნას), რომელიც ფოკუსირებულია სწავლაზე, თვითქმედითუნარიანობაზე. იგი ამოსავალ წერტილად იღებს ზრდასრულთა დიდაქტიკური სწავლების მოდელს.

მოსწავლეებს უნდა მივცეთ შესაძლებლობა, თავად ჩაუღრმავდნენ შინაარსებს, თავად დაამუშაონ და გაითავისონ, დამოუკიდებლად მოძებნონ საუკეთესო გზა იდეის განსახორციელებლად ან პრობლემის მოსაგვარებლად. მომავალმა ხელოსანმა უნდა იცოდეს სტანდარტული საქმიანობები, მაგალითად, რაღაცის დამუშავება, მაგრამ ვინც გამოცდილებას დააგროვებს, ეცოდინება, რომ არსებობს ბევრი ვარიანტი ხელსაწყოს მოხმარებისა. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ გამოსცადოს სხვადასხვა გზა და მისთვის სასურველი და რელევანტური აირჩიოს. ამისთვის კი მას სჭირდება მასწავლებელი, რომელსაც მიბაძავს და ტექნიკურად კარგად აღჭურვილი ოთახი ექსპერიმენტებისა და სხვა პრაქტიკული სამუშაოსთვის.

პროფესიული განათლების ან ზრდასრულთა სწავლების ახლებური მეტაფაქტიური დიდაქტიკა, რომელიც ეფუძნება კონსტრუქტივიზმსა და სისტემურ სწავლებას, მიმართულია იმისკენ, რომ დაადგინოს მოსწავლის თვითაქტივობისათვის საჭირო წინაპირობები და მოახდინოს ზრდასრულთა პედაგოგიკის კომუნიკაციის ნიმუშის იდენტიფიცირება.

ამ თვალსაზრისით თომას ჰალმაიერი უპირისპირდება კლაუს-პეტერ-ჰუფერს და უკუფაქტორული კონსტრუქტივიზმის კრიტიკაში აღმოაჩენს: „ზრდასრულთა განათლების პოლიტიკური სარგებლობისა და სამეცნიერო შედეგების მისაღებად საჭიროა მთელი რიგი დიდაქტიკური ორიენტაციების გვერდით ზრდასრულთა განათლების საფუძვლიანი განმარტება" (ჰალმეიერი 2002, გვ. 135).

ილუსტრაცია 1: ზრდასრულთა განათლების კონტრფაქტორული სქემა

კონტრფაქტორული დიდაქტიკა	დიდაქტიკა, საკვანძო სიტყვები;	
სწავლება	სწავლა	1. როგორ და რის კონსტრუირებას ახდენენ მოსწავლეები, როდესაც ისინი სასწავლო ობიექტში არიან „დასაქმებულები"? 2. „გააზრების" და „დაკავშირების" ქსელში რომელი მექანიზმებია სასარგებლო ან დამთრგუნველი?
გადაცემა	შესაბამისობა	3. რა არის და როგორ ხდება მდგრადი ათვისება? 4. პედაგოგიკის რომელი ნიმუშები ამსუბუქებს ან ართულებს სწავლის შინაარსის ათვისებას?
გაძღოლა	თვითქმედობაუნარიანობა თვითშემოქმედება	5. რომელ კომპეტენციებს (იგულისხმება დამოუკიდებლად სწავლის უნარი) იყენებენ მოსწავლეები დამოუკიდებლად სწავლის პროცესში? 6. რომელი ღონისძიებები ან პროფესიული ინტერვენცია უწყობს ხელს ასეთი კომპეტენციების განვითარებასა და გამოყენებას?

მასწავლებლები და მოსწავლეები თანაბარ სიბრტყეზე უნდა იყვნენ. ეს არის სწავლა-სწავლების პროცესში საკუთარ ქმედებებზე დაკვირვება და შეფასება. დროდადრო მასწავლებელი მოსწავლეებს აკვირდება და აანალიზებს, როგორ უნდა იმოქმედოს ისე, რომ საბოლოოდ მათ კარგი შედეგები მიიღონ.

ამ საკითხზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ, ერთი რამ კი ცხადია: იმისათვის, რომ გარკვეული ტიპის მოთხოვნები შესრულდეს, მივიღოთ სასურველი შედეგი, საჭიროა მასწავლებლების უფრო მეტად ჩართვა აღნიშნულ პროცესში და მათი ფუნქცია-მოვალეობების მკაფიოდ განსაზღვრა.

მომავალში პროფესიული განათლება არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ სწავლის შედეგებზე. მასწავლებლებმა ხელი უნდა შეუწყონ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასაც. ასეთი შედეგის მისაღწევად ბევრი რამ უნდა შეიცვალოს. მოსწავლემ უნდა ისწავლოს სასწავლო პროექტების მართვა (ჰოლცკამპი, 1993). ეს მოსაზრება პედაგოგიკაში ახალი არ არის, თუმცა ზრდასრულთა სწავლებაში ძალიან ცოტა იყო მსგავსი ტიპის რეკომენდაცია. როგორ შევუწყოთ ხელი სასწავლო პროექტების სტიმულირებას? როგორ უნდა მოხდეს მათი უზრუნველყოფა? ხშირად საკითხს ასე არ უყურებენ პროექტის მონაწილეები, თუმცა თითოეულს თავის სფეროში მსგავსი დავალებები ბევრჯერ შეუსრულებია.

მასწავლებლებისათვის პროფესიული პედაგოგიკის ახალი აღმოჩენები ხშირად უჩვეულოა. საჭიროა, რომ პედაგოგებმა მომავალში ინდივიდუალური სტილის, განსხვავებული გაკვეთილები ჩაატარონ და დაადგინონ, რომ მოსწავლეთა ჯგუფი მინიმალურ შედეგს მაინც მიაღწევს. მასწავლებელს სჭირდება სიტუაციური უნარი ჯგუფში განსხვავებული პროცესების მართვისთვის.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონსტრუქტივისტული ფიქრი ზრდასრულთა პედაგოგიკას მექანიკურ სასწავლო ტერმინებში ნაკლებად სვამს და ზრდასრულთა განათლება აღიწერება როგორც მრავალფეროვანი პროცესი სასწავლო ჯგუფებში (Vgl. Arnold u.a. 1998). „სწავლა მჭიდროდ უკავშირდება იდენტობას. შემეცნება და ემოცია გადაჯაჭვულია ერთმანეთთან. სწავლის წინააღმდეგობებიც კი შესაძლოა ბიოგრაფიულად და გონივრულად დასაბუთდეს (არნოლდი და სხვები 1999, გვ. 12).

სასწავლო ღონისძიებებში უნდა გაერთიანდეს სწავლების მეთოდები, რომლებიც დინამიკური უნარ-ჩვევების განვითარებას, განსხვავებული ნიჭის ხელშეწყობას უზრუნველყოფს, რადგან მხოლოდ ინფორმირებული, კომპეტენტური და მოტივირებული ადამიანები ქმნიან სოციალურ ცვლილებებს. ჩვენ ვალდებულნი ვართ, რომ ახალგაზრდებს ეს შევაძლებინოთ.

მასწავლებლის როლი ცვალებადია. სხვა დანარჩენთან ერთად, მისი ამოცანაა დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს დახმარების გაწევა და მეთოდოლოგიური კომპეტენციების გადაცემა, ასევე ჯგუფურ-დინამიკური პროცესების გაცნობიერება და რეფლექსიის ხელშეწყობა. ამ შემთხვევაში მასწავლებელი გახდება „შესაძლებლობის მიმნიჭებელი“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Arnold, R. (2003): Emotionale Kompetenz und emotionales Lernen in der Erwachsenenbildung. Bd. 18 der Schriftenreihe „Pädagogische Materialien der Universität Kaiserslautern“. Kaiserslautern.
2. Arnold, R./Schüßler, I. (Hrsg.) (2003): Ermöglichungsdidaktik. Baltmannsweiler.
3. Arnold, R. Siebert, H. (1995): Konstruktivistische Erwachsenenbildung. Von der Deutung zur Konstruktion von Wirklichkeit. Hohengehren.
4. R. Arnold, H. Siebert: Konstruktivistische Erwachsenenbildung – Von der Deutung zur Konstruktion von Wirklichkeit; Schneider Verlag: Hohengehren, Neuaufl. 2003.
5. Arnold, R./Krämer-Stürzl, A./Siebert, H. (1999): Dozentenleitfaden. Planung und Unterrichtsvorbereitung in Fortbildung und Erwachsenenbildung. Berlin.
6. Arnold, R. u. a. (Hrsg.) (1998): Lehren und Lernen im Modus der Auslegung. Baltmannsweiler.
7. Fuhr, R./Gremmler-Fuhr, M. (1988): Faszination Lernen. Transformative Lernprozesse im Grenzbereich von Pädagogik und Psychotherapie. Köln.
8. Hallmayer, T. (2003): Realität statt Konstruktion? Konstruktivismus, politische Bildung und Erwachsenenpädagogik. In: Erwachsenenbildung, H. 3, S. 133-135.
9. Holzkamp, K. (1993): Lernen. Subjektwissenschaftliche Grundlegung. Stuttgart.
10. Jank, W./Meyer, H. (1991): Didaktische Modelle. Frankfurt.
11. Pörsken, B. (2001): Abschied vom Absoluten. Gespräche zum Konstruktivismus. Heidelberg.
12. Prange, K. (2000): Phänomenologisch oder konstruktivistisch? Zu der Frage, wie der Begriff der Erziehung zu bestimmen ist. In: Adick, Ch. u. a. (Hrsg.): Was ist Erziehungswissenschaft? Donauwörth, S. 15-34.
13. Riemann, F. (1998): Grundformen der Angst. Eine tiefenpsychologische Studie. München.
14. Schmitz, E. (1984): Erwachsenenbildung als lebensweltbezogener Erkenntnisprozess. In: ders.
15. Tietgens, H. (Hrsg.): Erwachsenenbildung. Bd. 11 der Enzyklopädie Erziehungswissenschaft. Stuttgart, S. 95-123.
16. Simon, F. B. (1999): Die Kunst, nicht zu lernen und andere Paradoxien in Psychotherapie, Management, Politik. 2. Auflage Heidelberg.
17. Rotthaus, W. (2002): Wozu erziehen? Entwurf einer systemischen Erziehung. Heidelberg.
18. Tietgens, H. (1992): Reflexionen zur Erwachsenendidaktik. Bad Heilbrunn.
19. Voß, R. (Hrsg.) (1998): Schulvisionen. Theorie und Praxis systemisch-konstruktivistischer Pädagogik. Heidelberg.

მაია ინასარიძე

როგორ დავწეროთ სასწავლო-მეთოდური სტატია

სასწავლო-მეთოდური სტატიის ხარისხი უპირველესად განისაზღვრება იმით, რამდენად გამოადგებათ მასწავლებლებს თქვენ მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები იმისათვის, რომ გააუმჯობესონ საკუთარი სწავლებისა და მოსწავლეების სწავლის პროცესი.

მასწავლებლის „საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემის“ მიხედვით (დადგენილება № 75, მასწავლებლის დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ), მასწავლებელს კრედიტქულების დაგროვებაში დაეხმარება მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა. ამ ჩამონათვალში მოიაზრება სასწავლო-მეთოდური სტატიაც.

მასწავლებლის მიერ შექმნილი სასწავლო-მეთოდური სტატია მიზნად უნდა ისახავდეს საკუთარი გამოცდილების, საინტერესო მიგნებების, პრაქტიკის კვლევის შედეგებისა და დასკვნების, თეორიული მასალის პრაქტიკაში გადატანის წარმატებული (ან თუნდაც წარუმატებელი) ცდების ანალიზის გაცნობას როგორც განათლების სფეროს წარმომადგენლებისათვის, ისე განათლების საკითხებით დაინტერესებული საზოგადოებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი სტატიების ფოკუსი იყოს მოსწავლე. სტატიამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა უპასუხოს შეკითხვას: რა ეფექტი აქვს ყოველივე იმას, რასაც აუდიტორიას ვთავაზობთ, უშუალოდ მოსწავლეებისათვის, რამდენად უწყობს ხელს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას?

სტატიის შექმნისათვის არსებობს ზოგადი რეკომენდაციები:

1. სტატიის წერის პირველი ნაბიჯი არის თემის შერჩევა. თემის შერჩევისას გაითვალისწინეთ, რომ ერთი სტატია, სასურველია, ეხებოდეს ერთ თემას. უპირველეს ყოვლისა, ეს თემა საინტერესო და აქტუალური უნდა იყოს თავად თქვენთვის, შემდეგ კი სამიზნე აუდიტორიისათვის, ანუ განათლების საკითხებით დაინტერესებული ადამიანებისათვის (პირველ რიგში – მასწავლებლებისათვის), მათთვის, ვინც შემდგომ, სურვილის შემთხვევაში, შეძლებს მის გამოყენებას / გათვალისწინებას.
2. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არის სტატიის ფორმატი. არსებობს ფორმატის სხვადასხვა სახე. მაგალითად:
   - „პრობლემა + გადაჭრის გზა“ – გამოკვეთეთ პრობლემა, რომელიც აქტუალურია თქვენი სამიზნე აუდიტორიისათვის და განიხილეთ ის სტატიაში (მაგალითად, „მოსწავლეთა ჩართულობის შენარჩუნება მთელი გაკვეთილის განმავლობაში ბევრი მასწავლებლისათვის პრობლემაა“; „რას ნიშნავს კარგი რეფლექსია – დღეს განსაკუთრებით აქტუალური პრობლემაა მასწავლებლისათვის“ და ა.შ.). მთავარია ის პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება მკითხველს ამ პრობლემის გადაჭრაში. აღწერეთ დეტალურად პრობლემის გადაჭრის თქვენ მიერ შეთავაზებული გზა. ასეთ შემთხვევაში მკითხველი მაშინვე მიხვდება, რომ თქვენ ხართ კარგი პრაქტიკოსი, რომელიც ეყრდნობა თეორიას და არა თეორეტიკოსი, რომელმაც თეორიულად იცის, რა არის კარგი, რა – ცუდი, მაგრამ პრაქტიკაში ის არ მოუსინჯავს.
   - მეორე ფორმატს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „მეთოდი, ორიენტირებული...“

– ეს არის დეტალური აღწერა მეთოდისა, რომელიც ან უცნობია თქვენი სამიზნე აუდიტორიისათვის, ან თქვენი გამოცდილება გიჩვენებთ, რომ მას არასწორად იყენებენ. სასურველია, აღწერასთან ერთად მიუთითოთ, რა დადებითი ეფექტი აქვს და რისკფაქტორები ახლავს ამ მეთოდის გამოყენებას. ასეთი დეტალური აღწერა მკითხველს დაარწმუნებს იმაში, რომ თქვენ თავად გამოგიყენებიათ ეს მეთოდი.

- მესამე ფორმატს პირობითად შეგვიძლია დავარქვათ „გვეკითხებიან – ვუპასუხებთ“. ამ შემთხვევაში კარგია, თუ აღწერთ სიტუაციას, როცა თქვენთვის არაერთხელ გაუზიარებიათ კოლეგებს საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები და უკითხავთ რჩევა, როგორ გადაჭრან ის. შეეცადეთ განაზოგადოთ ეს პრობლემა და მისცეთ მას კითხვა-პასუხის სახე. მაგალითად, „ხშირად გვესმის მასწავლებლებისაგან: არის კი შესაძლებელი დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება კლასში, სადაც 35 მოსწავლეა? რა თქმა უნდა, შეიძლება, თუ...“ და თქვენ აწვდით მათ პასუხს, რომელიც ეფუძნება დიფერენცირებული მიდგომის შესახებ არსებულ თეორიებს / კვლევებს და აჩვენებთ ამის თუნდაც ერთ პრაქტიკულ მაგალითს.
- შემდეგი ფორმატი, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „პრაქტიკული რეკომენდაციები“, პირდაპირ იწყება ერთი ან რამდენიმე რეკომენდაციის დეტალური აღწერით. თქვენ თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ უხსნით მკითხველს რა გააკეთოს, როგორ და რა მიზნით. სასურველია, თუ მოდიფიცირებულ ვარიანტებსაც შესთავაზებთ. მაგალითად, „იმისათვის, რომ ტექსტის გააზრებული კითხვა უზრუნველყოთ, გირჩევთ დაიცვათ შემდეგი თანამიმდევრობა...“

გახსოვდეთ, რომ მასწავლებლები თქვენი სტატიიდან ელიან საკუთარი პრობლემების გადაჭრისათვის რეალურ რჩევებს, ამიტომ ამ რჩევების პრაქტიკულობა (ცხადია, თეორიებზე დაფუძნებული) განსაკუთრებით დაინტერესებთ მათ.

3. შემდეგი ნაბიჯი, ასევე მნიშვნელოვანი, არის სათაურის შერჩევა. გახსოვდეთ, არ არის საჭირო არც ზედმეტი ორიგინალურობა და არც ბანალურობა. გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:
   - სათაურმა უნდა უნდა მიიპყროს თქვენი პოტენციური მკითხველის ყურადღება, მიანიშნოს, რომ ეს შეიძლება მისთვის საინტერესო იყოს.
   - შეეცადეთ მოაქციოთ სათაურში ისეთი საკვანძო სიტყვა ან მოკლე ფრაზა, რომელიც აღუძრავს მკითხველს ცნობისმოყვარეობას, მაგრამ ამასთანავე მიანიშნებს თქვენი სტატიის თემაზე.
   - სათაური თვალის ერთი შევლებით უნდა აღიქვას მკითხველმა. ის არ უნდა იყოს ძალიან გრძელი.
   - გამოიყენეთ სათაურში სიტყვა / სიტყვები, რომელიც / რომლებიც თქვენი აუდიტორიისათვის ნაცნობია. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება სათაურში უცნობი ტერმინის „ჩაგდებაც“.
   - არ არის რეკომენდებული სათაურში ზედმეტი ემოციის ჩადება ძახილისა თუ

მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო-მეთოდური სტატიის ფოკუსი იყოს მოსწავლე. სტატიამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა უპასუხოს შეკითხვას: რა ეფექტი აქვს ყოველივე იმას, რასაც აუდიტორიას ვთავაზობთ, უშუალოდ მოსწავლეებისათვის, რამდენად უწყობს ხელს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას?

კითხვის ნიშნებით. ამან შეიძლება მკითხველს გაუჩინოს განცდა, რომ ავტორი ზედმეტად მენტორულია.

- სასურველია გამოიყენოთ სტატიის სათაურის დასაწყისად ერთი შეხედვით შაბლონური სიტყვები: მაგალითად, „როგორ...“, „როცა...“, „მოკლედ ... შესახებ“, „თუ...“. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სტატიის სათაური ყოველთვის ასეთი სიტყვებით უნდა დავიწყოთ. ეძებეთ საკუთარი სტილი, იფიქრეთ, ნუ მოერიდებით ექსპერიმენტირებას.

4. შემდეგი ნაბიჯია დაგეგმვა. სწორედ ამ გეგმის მიხედვით ააგეთ სტატია. მთავარია „თავში გქონდეთ“ სტატიის კონცეფცია. გეგმა ყველასათვის ნაცნობია:
   - **შესავალი.** შესავალმა მკითხველი უნდა მიიყვანოს ძირითად თემასთან. სასურველია, თუ შესავალშივე იქნება განსაზღვრული, რა პრობლემას ეხება სტატია, ვინ შეიძლება დაინტერესდეს (მასწავლებლები, მშობლები, ადმინისტრაცია თუ ყველა ერთად) და რას სთავაზობს მკითხველს. აქ თქვენ უნდა დაარწმუნოთ მკითხველი, რომ დროს ტყუილად არ დაკარგავს, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხია მისთვის.
   - **ძირითადი ნაწილი.** ძირითადი ნაწილი უშუალოდ უნდა განიხილავდეს თემას. ძირითადი ნაწილი თავისთავად არაეფექტურია, თუ ის ბუნებრივად არ გამომდინარეობს შესავალი ნაწილისგან. აქ უნდა იყოს სწორედ განმარტებული თემის ძირითადი ცნებები ან მოცემული პრაქტიკული რეკომენდაციები, ან ორივე ერთად. შეეცადეთ შეარჩიოთ ყველაზე არსებითი და მთავარი. ნუ გადაიტანთ მკითხველის ყურადღებას მეორეხარისხოვანზე. კარგია, თუ სტატიას გაამდიდრებთ საინტერესო ფაქტებით პირადი გამოცდილებიდან (ცხადია, თემასთან დაკავშირებულით). თუ ახდენთ ვინმეს ციტირებას, სასურველია, იქვე გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულებაც ან მიაწოდოთ ამ სიტყვებში გამოხატული აზრის დამადასტურებელი მაგალითი თქვენი პრაქტიკიდან. ძირითად ნაწილში პასუხი უნდა გაეცეს შესავალში დასმულ პრობლემას / საკითხს. გაითვალისწინეთ, რომ არ არის რეკომენდებული, სტატიის ძირითადი ნაწილი აღემატებოდეს 3 გვერდს. გახსოვდეთ, თქვენს ტექსტში უნდა იგრძნობოდეს მკითხველისადმი კეთილგანწყობა, მხარდაჭერა და არა „ზემოდან დამოძღვრა“. ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ენას, თავისუფალს გაუგებარი ტერმინებისაგან, მარტივსა და გასაგებს.
   - **დასკვნა.** დასკვნაში თქვენ ერთგვარად აჯამებთ სტატიაში მიმოხილულ საკითხს და აქცენტს სვამთ იმაზე, რატომ მიიჩნიეთ, რომ ეს საკითხი შეიძლება აქტუალური იყოს და თქვენ მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები – სასარგებლო. დაუშვებელია დასკვნით ნაწილში ახალი არგუმენტის ან ფაქტის წარდგენა.
4. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი – ეს არის გამოყენებული წყაროების მითითება. შეამოწმეთ თქვენი სტატია პლაგიატზე. ამის გაკეთება შეგიძლიათ არაერთი საიტისა და პროგრამის საშუალებით. მაგალითად, Plagiarism Checker-ით.
5. დაბოლოს – ტექსტის ფორმატირება. იმისათვის, რომ თქვენი სტატიის შინაარსი ადვილად აღსაქმელი იყოს, მნიშვნელოვანია მისი სწორად გაფორმება, ანუ ფორმატირება, რომელიც „კარნახობს“ მკითხველს, რას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება, ეხმარება მას წაკითხულის უკეთ გაგებასა და გაზრებაში. არსებობს ფორმატირების სხვადასხვა ხერხი. კერძოდ:
   - ქვეთემების / ქვეთავების გამოყოფა.
   - დანომვრა ან ე.წ. „ბულიტების“ გამოყენება.
   - საკვანძო სიტყვებისა თუ ფრაზების გამოყოფა (ე.წ. „ბოლდი“).
   - სურათების, ფოტოების, ცხრილებისა და დიაგრამების გამოყენება.

თუმცა ფორმატირებაშიც ზომიერების დაცვაა საჭირო. ფორმატირების ელემენტების გადამეტებულმა გამოყენებამ შეიძლება დააზარალოს ტექსტის შინაარსი.

მთავარი და არსებითი: გახსოვდეთ, სასწავლო-მეთოდური სტატიის ხარისხი უპირველესად განისაზღვრება იმით, რამდენად გამოადგებათ მასწავლებლებს თქვენ მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები იმისათვის, რომ გააუმჯობესონ საკუთარი სწავლებისა და მოსწავლეების სწავლის პროცესი.

ცხადია, ზემოთ მოცემულ რეკომენდაციებს არ აქვთ უნივერსალურობის პრეტენზია. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა გამოცემას შეიძლება განსხვავებული მოთხოვნები ჰქონდეს, ამიტომ სტატიის ავტორი წინასწარ უნდა იცნობდეს ამ მოთხოვნებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლია კაჭარავა, ხათუნა მარწყვიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, აკადემიური წერა დამწყებთათვის, თბილისი, 2007
2. http://www.rogor.ge/article_1103_rogor-davwerot-kargi-statia.html
3. http://www.psychologos.ru/articles/view/kak_napisat_statyu._algoritm

მასწავლებლის ტიპური შეცდომები გაკვეთილის დაგეგმვის დროს



ვიორგი ნოზაძე

ეს წერილი ეძღვნება მასწავლებლების ტიპურ შეცდომებს გაკვეთილის დაგეგმვის დროს. ხაზგასმით აღვნიშნავთ: ჩვენი მსჯელობისთვის ამოსავალია მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების პრინციპები, რადგან თუ ამ პრინციპებს უკუვაგდებთ, მასწავლებლის შეცდომა ხშირად სულაც არ ჩაითვლება შეცდომად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის, რაც შეცდომაა ამ პრინციპების ფონზე, სრულიადაც არ არის შეცდომა ტრადიციული გაკვეთილის პირობებში, წინა საუკუნის მასობრივი პედაგოგიური პრაქტიკის გადმოსახედიდან, მასწავლებლის იმდროინდელი სტანდარტული მოქმედებების დონეზე.

შეცდომა #1 – გაკვეთილის მიზანში არ არის დაზუსტებული, რას გააკეთებენ მოსწავლეები ისეთს, რაზე დაკვირვება და რისი შეფასებაც შესაძლებელია. ამგვარი კონკრეტიკის გარეშე მიზანი, როგორც წესი, ბუნდოვანი ან წინააღმდეგობრივია ან სულაც არარეალისტური, მოუზომავად გადამეტებული ან შეუფერებლად შეკვეცილი. ისიც გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლეთა მოქმედებების დეტალური აღწერა ნათელს ხდის, რა შინაარსის სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კლასში. ზერელედ გადმოცემული ან მეტისმეტად ზოგადი ფორმით ჩამოყალიბებული მიზნები ქმნის საფუძველს არასწორი დასკვნებისა და არაადეკვატური გადაწყვეტილებებისთვის, განაპირობებს მოვლენათა მცდარ განვითარებას გაკვეთილის განმავლობაში.

შეცდომა #2 – გაკვეთილის შეფასება მოწყვეტილია/აცილებულია მოსწავლეთა იმ მოქმედებებს, რომლებზეც მიზნებში იყო საუბარი. გაკვეთილის შემდგომი რეფლექსიისთვის მომზადებული შეფასების პუნქტი იმის აღწერაა, როგორ განსაზღვრავს მასწავლებელი, მიაღწია თუ არა დასახულ მიზნებს მოცემულ გაკვეთილზე. შესაბამისად, შეფასება აუცილებლად შეთანხმებული უნდა იყოს გაკვეთილის მიზნებთან, გადაჯაჭვული უნდა იყოს მიზანში აღწერილ მოსწავლეთა საქმიანობასთან. სწორედ ობიექტური, გაკვეთილის განმავლობაში მოსწავლეთა მიღწევებსა და პროგრესზე ფოკუსირებული შეფასებაა იმის საწინდარი, რომ მომდევნო გაკვეთილები უფრო უკეთ დაიგეგმება და განხორციელდება.

შეცდომა #3 – მოსწავლეთა აუცილებელი წინარე ცოდნა არ არის განსაზღვრული ან არ შეესაბამება გაკვეთილის მსვლელობაში მოსწავლეთა შედეგიანი მონაწილეობისთვის საჭირო კომპეტენციებს. თუ ისიც კი არ არის გარკვეული, რა უნდა იცოდეს და რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს დავალებების შესრულებაში და გაკვეთილის მიზნებს მიაღწიოს ან მისი მზაობა რადიკალურად არ შეესაბამება შესასრულებელ დავალებებს, მაშინ ის თავს ვერ გაართმევს სამუშაოს და წინასწარაა განწირული მარცხისთვის. კვლევა ადასტურებს, რომ სწავლის ნაყოფიერების 70% დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ფლობენ მოსწავლეები წინარე ცოდნას, ამიტომ წინარე ცოდნა ზუსტად და სრულად უნდ განისაზღვროს, ხოლო თუ წინასწარი სადიაგნოსტიკო ან განმავითარებელი შეფასების შედეგად გაირკვა, რომ მოსწავლეები არ ფლობენ ამ წინარე ცოდნას, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ეს ხარვეზები უნდა აღმოიფხვრას და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს საგაკვეთილო მიზნების განხორციელებაზე ზრუნვა.

შეცდომა #4 – გაკვეთილისთვის განსაზღვრული/მომზადე-

> გაკვეთილების დაგეგმვის უნარჩვევა ფუნდამენტურია ყველა მასწავლებლისთვის და ყოველი მასწავლებელი გაწაფული უნდა იყოს მასში, თუმცა დოსტატებას საკმაოდ დიდი დრო, ძალისხმევა და პრაქტიკა სჭირდება.

ბული რესურსები და დამხმარე მასალები არაარსებითია, მხოლოდ თვალს ჭრის, შინაარსობრივ კავშირებს კი არ წარმოაჩენს, მოჩვენებითად ამშვენებს გაკვეთილს. მხოლოდ ის რესურსებია აუცილებელი, რომლებიც მიზნებში აღწერილი მოქმედებებით გაჯერებული აქტივობების ჩასატარებლადაა საჭირო. თვალსაჩინოებებითა და სხვა რესურსებით გადატვირთვა სულაც არ სძენს გაკვეთილს ღირსებას, თუმცა არც მათი სიმწირე წაადგება ცოდნის ათვისების პროცესს.

შეცდომა #5 – სასწავლო პროცესი, რომელშიც მოსწავლეები უნდა ჩაებან, არ არის საკმარისად ნაყოფიერი იმის ასათვისებლად, რაც მიზნადაა დასახული. სასწავლო გეგმები, როგორც წესი, გადატვირთულია და მოსწავლეთა მიერ ამდენი სასწავლო მასალის ასათვისებლად უკიდურესად ეფექტიანი აქტივობების დაგეგმვაა საჭირო. ეფექტიანობა საზომია იმისა, რომ აქტივობის ჩატარებისას ნაკლები ძალისხმევით მიიღწევა იგივე შედეგი ან იმავე ძალისხმევით – მეტი. სხვაგვარად, სასწავლო პროცესი არა მარტო მოსწავლეზე, არამედ შედეგზე ორიენტირებულიც უნდა იყოს და აქტივობათა რამდენიმე შესაძლო ვარიანტიდან ის უნდა განხორციელდეს, რომელიც უფრო ნაკლები ძალისხმევით უფრო მეტ შედეგს გამოიღებს, რათა არც მოსწავლეები გადაიღალონ და არც მასწავლებელს გაუწყდეს ქანცი. მთავარია ხარისხი და არა რაოდენობა: უმჯობესია ნაკლები სავარჯიშო შესრულდეს, მაგრამ უფრო გულდასმით და სიღრმისეული წვდომით, ვიდრე ბევრი სავარჯიშო დახვავდეს, თავბრუდამხვევი კალეიდოსკოპის შთაბეჭდილება შეიქმნას და მხოლოდ ზედაპირზე სრიალით შემოვიფარგლოთ. ყოველ დავალებას კონკრეტული წვლილი უნდა შეჰქონდეს გაკვეთილის მიზნის მიღწევაში. მისაღებია მხოლოდ ის ვარიანტი, როდესაც მზარდი სირთულის, თანმიმდევრობით დალაგებული მიზანმიმართული აქტივობების ოპტიმალურ სისტემას საფეხურებრივად მიჰყავს მოსწავლეები საჭირო კომპეტენციების დაუფლებისკენ.

შეცდომა #6 – მოსწავლეთა საქმიანობა გაკვეთილის განმავლობაში არ უწყობს ხელს დასახული მიზნების მიღწევას. თანამედროვე გაკვეთილი აღარ ტოვებს დროს მომხიბვლელი, მაგრამ თვითმიზნური აქტივობებისთვის, რომლებსაც პირდაპირ არ მივყავართ საგაკვეთილო მიზნისკენ. მოსწავლეები მხოლოდ იმისთვის არ უნდა ფუსფუსებდნენ გაკვეთილზე, რომ რამით იყვნენ დაკავებული. მიზანმიმართული აქტივობების ზედმიწევნით ზუსტად და სრულყოფილად შესრულებისკენ მოსწავლეების წასაქეზებლად უმნიშვნელოვანესია როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მოტივაციაც – სწორი შეფასების სქემის/რუბრიკის შედგენა მოსწავლეებთან ერთად ან მათთვის ასეთი სქემის წინასწარ, აქტივობის დაწყებამდე გაცნობა; აგრეთვე ნიშნების დახვეწილი სკალის გამოყენება იმ კლასებში, სადაც ნიშნები იწერება.

ყველა ეს შეცდომა უცილობლად მოუვა მასწავლებელს, თუ მის გონებაში მომწიფდა საინტერესო იდეა გაკვეთილისთვის, მაგრამ:

- მან გაკვეთილი არ დაგეგმა მეტ-ნაკლებად დეტალური ჩანაწერების შესრულების გზით და მომდევნო დღეს სპონტანურად წარმართა იგი საკუთარი გამოცდილებისა და იმპროვიზაციის უნარის იმედად, ან
- გაკვეთილის დაგეგმვის ჩვეული წესი, დაგეგმვის სახელმძღვანელო სქემა/ჩარჩო შეუფერებელია



- მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული გაკვეთილისთვის, ან
- გაკვეთილის მსვლელობის მისეული ხედვა კვლავაც ტრადიციულია და ძვალ–რბილში ისე აქვს გამჯდარი, რომ ვერაფრით ახერხებს მისგან განთავისუფლებას საგაკვეთილო ვითარებაში.

ამიტომ მნიშვნელოვანია გაკვეთილების დაგეგმვაზე მუშაობის ხერხების გაცნობიერება, რათა თავიდან ავიცილოთ ზემოთ ჩამოთვლილი ტიპური შეცდომები და ამით გამოწვეული მძიმე შედეგები სწავლებაში.

რეკომენდაციები გაკვეთილის დაგეგმვის თაობაზე

გაკვეთილების დაგეგმვის უნარ-ჩვევა ფუნდამენტურია ყველა მასწავლებლისთვის და ყოველი მასწავლებელი გაწაფული უნდა იყოს მასში, თუმცა დაოსტატებას საკმაოდ დიდი დრო, ძალისხმევა და პრაქტიკა სჭირდება. ამ უნარ-ჩვევის განვითარებას საფუძვლად უდევს აუცილებელი წინასწარი **დაფიქრება** იმის შესახებ, როგორი გაკვეთილის ჩატარებას მოითხოვს სასწავლო გეგმა და კლასში შექმნილი ვითარება მოსწავლეთა მზაობისა თუ საჭიროებების გათვალისწინებით.

თუ თქვენ მიერ შედგენილი გეგმა მრავალფეროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, ჩათვალეთ, რომ კარგი გეგმა არ დაგიწერიათ. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ კარგი გეგმა **სპეციფიკური** უნდა იყოს. ამ სპეციფიკურობას გაკვეთილს შესძენს არა მხოლოდ სპეციფიკური სასწავლო შინაარსის ან მიზნების გააზრება და მათთან დაკავშირებული წინარე ცოდნის ჩამონათვალის შექმნა, არამედ **მოსწავლეებისა** და **მასწავლებლის** იმ **აქტივობათა** მოძიება/შედგენა და თანწყობის მიგნება, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობას განსაზღვრავს. შესაფერისი რესურსებისა და შეფასების სისტემის (როგორც მოსწავლეებისა, ასევე გაკვეთილისაც) შემადგენელი კომპონენტები შეკრავს და დაასრულებს გაკვეთილის სპეციფიკურ სახეს.

გაკვეთილის ჩანაფიქრი/იდეა სქემატურად ასე შეიძლება გამოიხატოს:

შენატანი ▷ პროცესი ▷ გამოსავალი

სადაც:

შენატანი მოიცავს იმ რესურსებსა და ინფორმაციას (მაგალითად, გაკვეთილის ჩასატარებლად საჭირო დრო; მოსწავლეთა მზაობის, ინტერესებისა და სასწავლო პროფილის სპექტრი), რომელიც აუცილებელია პროცესის წარმატებით წარმართვისთვის;

პროცესი იმ აქტივობათა თანმიმდევრობაა, რომელსაც მოსწავლეები და მასწავლებელი ასრულებენ გაკვეთილის განმავლობაში. ამასთანავე, მასწავლებლის მიერ შესრულებულ ყოველ მოქმედებასთან ერთად გააზრებულ უნდა იქნეს მოსწავლის მიერ შესასრულებელი თანმხლები ან მომდევნო მოქმედებაც ისე, რომ მოსწავლეთა აქტიურობა, მათი მონაწილეობის ინტენსივობა და ჩაბმულობის რაოდენობრივი მაჩვენებლები რაც შეიძლება მაღალი იყოს; სხვაგვარად, მასწავლებლის აქტივობა კი არ უნდა დომინირებდეს გაკვეთილზე, არამედ მოსწავლეთა აქტივობა, ხოლო მასწავლებელი ძირითადად ფასილიტატორის როლში უნდა მოგვევლინოს.

ბუნებრივია, არის საკითხები, რომლებიც მასწავლებელმა უნდა აუხსნას ან შეატყობინოს მოსწავლეებს, ანუ მასწავლებლის როლი მხოლოდ დავალების ინსტრუქციების გაცემაზე არ დაიყვანება, მაგრამ სასწავლო პროცესის ძირითადი ნაწილის განმავლობაში სწორედ მოსწავლეები უნდა იყვნენ ჩაბმული მასწავლებლის დავალებით განსაზღვრულ სააზროვნო-შემოქმედებით პროცესში, ხოლო მასწავლებელი:

- უწყვეტად უნდა ახორციელებდეს განმავითარებელ შეფასებას, აკვირდებოდეს მოსწავლეთა საქმიანობას და იძლეოდეს კონსტრუქციულ უკუკავშირს;
- საჭირო შემთხვევებში სკაფოლდინგის საშუალებით ერეოდეს დისკუსიებში;
- წარმართავდეს მომდევნო აქტივობებს იმის გათვალისწინებით, თუ როგორ დაძლიეს წინა დავალება მოსწავლეებმა;

ჩვენი მსჯელობისთვის ამოსავალია მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების პრინციპები, რადგან თუ ამ პრინციპებს უკუვაგდებთ, მასწავლებლის შეცდომა ხშირად სულაც არ ჩაითვლება შეცდომად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის, რაც შეცდომაა ამ პრინციპების ფონზე, სრულიადაც არ არის შეცდომა ტრადიციული გაკვეთილის პირობებში, წინა საუკუნის მასობრივი პედაგოგიური პრაქტიკის გადმოსახედიდან, მასწავლებლის იმდროინდელი სტანდარტული მოქმედებების დონეზე.

- მოსწავლეთა შეფერხებისა თუ ხარვეზების აღმოჩენის ან სასწავლო პროცესის გამდიდრების საჭიროების დადგენის შემთხვევაში ახდენდეს რეაგირებას სწავლების დიფერენცირებით.

ალბათ, ისიც ყველასთვის ცხადია, რომ პროცესი უნდა დაიწყოს შესავალი აქტივობით (მაგალითად, „ყინულის გალღობა“, უჩვეულო ფაქტებისთვის მოსწავლეთა ყურადღების მიპყრობა, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, ინტერესის აღძვრა, მათი მზაობის დონის შესახებ მონაცემების მოძიება, შესასწავლი ტერმინების სიის გაცნობა და ა.შ) და დასრულდეს შემაჯამებელი აქტივობით (მაგალითად, აქტივობათა შეფასება, შემაჯამებელი ბარათების აქტივობა, მასწავლებლის ან მოსწავლეების შეჯერებული დასკვნები, „ხიდის გადება“ შემდგომი გაკვეთილისკენ და ა.შ). რადგან აქტივობათა მსვლელობის ყველა წინასწარი დროითი გათვლა მიახლოებითია, ამიტომ ძირითად, საბაზო აქტივობებთან ერთად მიზანშეწონილია, წინასწარ დაიგეგმოს ორი ტიპის აქტივობები:

ა) **არჩევითი აქტივობები** – ეს ის აქტივობებია, რომელთა ჩატარება სასურველია, თუმცა აუცილებლობის (მაგალითად, დროის დეფიციტის) შემთხვევაში იოლად შეიძლება გეგმიდან მათი ამოგდება. ხშირად მასწავლებლები ასეთ აქტივობებზე ამბობენ: „თუ დრო საშუალებას მომცემს, ნამდვილად ჩავატარებ, ისეთი კარგია“.

ბ) **სარეზერვო აქტივობები** – ეს ის აქტივობებია, რომლებიც საკვანძო არ არის გაკვეთილისთვის, მათი გამოტოვება გაკვეთილს ეფექტიანობას არ დაუკარგავს, თუმცა მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში ატარებს მასწავლებელი, თუ ძირითადი აქტივობები გათვალისწინებულზე სწრაფად დასრულდება და დრო მორჩება.

დაბოლოს, დაუშვებელია მთელი გაკვეთილის დაგეგმვა მხოლოდ ლოგიკურ-ვერბალურ ან რომელიმე სხვა ერთ სასწავლო სტილზე მორგებით. ყოველი კლასის მოსწავლეთა სასწავლო პროფილი მრავალფეროვანი და უნიკალურია. ეს მრავალფეროვნება მასწავლებელმა უნდა შეისწავლოს, გაარკვიოს და გაითვალისწინოს, რათა რაც შეიძლება მეტ პროფილს მიაგოს სათანადო ყურადღება და შეუქმნას მოსწავლეებს კომფორტული სასწავლო პირობები გაკვეთილის თუნდაც რომელიმე მონაკვეთში იმით, რომ საკვანძო საკითხები რამდენიმე სტილზე გათვლით წარმოაჩინოს. მაგალითად, თუ მასწავლებელი მათემატიკური სასწავლო საკითხის რომელიმე აბსტრაქტულ ასპექტს ეხება, მაშინ მისი ლოგიკურ-ვერბალური სტილით პრეზენტაციის შემდეგ გრაფიკულ-სქემატური ხერხებითაც წარმოადგინოს და გააზრებისთვის კომფორტული პირობები შეუქმნას როგორც ინტროვერტ, ასევე ექსტრავერტ მოსწავლეებსაც, მაგალითად, დავალების შესრულების პროცესში მათი დაჯგუფება-განცალკევებისა თუ დავალების პროდუქტის დემონსტრირების ხერხების საშუალებით.

გამოსავალი არის იმ შედეგების ერთობლიობა, რომლებითაც დაგვირგვინდა პროცესი – მოსწავლეთა პროგრესი, მათი მიღწევები, დასახულთაგან მიღწეული და ვერმიღწეული მიზნები, შესრულებული და ვერშესრულებული აქტივობები თუ დავალებები, მიღებული გამოცდილება, სამომავლოდ გასათვალისწინებელი დასკვნები და სხვა.

ასეთი წესით დაგეგმილი გაკვეთილი ვერასგზით ვერ დაემსგავსება ცოდნის გადაცემა-ათვისების სქემას მორგებულ ტრადიციულ გაკვეთილს, სადაც ათვისება და გაწაფვა მხოლოდ მასწავლებლის მიბაძვით და მისი ნათქვამის დამახსოვრება-გამეორებით ხდება მას შემდეგ, რაც მასწავლებელი ასათვისებელი მოქმედების მოდელირებას მოახდენს. პირიქით, მოსწავლეები ბუნებრივად აღმოჩნდებიან ისეთი სასწავლო პროცესის მონაწილენი, სადაც ცოდნის ათვისება ძირითადად გაგება-გააზრებითა და ათვისებული ცოდნის ტრანსფერით (ანუ გადატანით) ხდება და არც ახალი ცოდნის აგება-კონსტრუირებაა გამორიცხული. ამასთანავე, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ჩაბმულია საზროვნო-შემოქმედებით პროცესში სასწავლო საკითხთან დაკავშირებით და მნიშვნელოვნად პროგრესირებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიმართულებით, თუმცა ყველა მოსწავლეს ერთნაირად მაღალი შედეგები ვერ ექნება, საკითხის დამუშავების საწყის ეტაპზე მაინც.



მაია ფირჩხაძე

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეს ნაწარმოების მიმოხილვის დაწერა

არსებობს ისეთი მხატვრული ლიტერატურა, რომელსაც ბავშვები სიამოვნებით კითხულობენ. მასწავლებლებიც ხშირად ვავალებთ მოსწავლეებს კლასგარეშე ლიტერატურის გაცნობას, ძირითადად არდადეგების დროს. მაგრამ თუ კლასგარეშე აქტივობას სასწავლო პროცესის ნამდვილ შემადგენელ ნაწილად გადავაქცევთ, მოსწავლის ინტელექტუალური ზრდაც უფრო ეფექტურად წარიმართება. ამ მიზნით მთელ კლასს შევთავაზოთ გარკვეული ტიპის ლიტერატურის წაკითხვა (ისევე როგორც სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმების, ვიდეოფილმების და ა. შ. ნახვა), შემდეგ კი წაკითხულის (და ნანახის) შესახებ მიმოხილვის (გამოხმაურების, შეფასების) დაწერა. ასეთი შეფასება დასაბუთებას მოითხოვს: მოსწავლემ უნდა ახსნას, როგორი გრძნობები გამოიწვია მასში ნაწარმოებმა, რა მოეწონა, რა დაიწუნა, რა დაამახსოვრდა ყველაზე მეტად, რომელი მოქმედი პირი, რომელი სიტუაცია და რატომ. მან ყურადღება უნდა მიაქციოს ენასაც – გამოხმაურება შესაფერისი ლექსიკით და გასაგები ენით უნდა დაიწეროს.

მასწავლებლის დავალების მიუხედავად, მიმოხილვა (გამოხმაურება, შეფასება) კონკრეტული საფუძვლის, მიზეზის გარეშე მაინც ვერ დაიწერება. მიმოხილვის დაწერის ძირითად მოტივატორებად აღიარებულია სამი ფაქტორი:

- ემოცია (კმაყოფილება ან პირიქით – სიბრაზე);
- თვითგამოხატვის მოთხოვნილება (საკუთარი ცოდნის და გამოცდილების, ინფორმაციის სხვისთვის გაზიარების მოთხოვნილება);
- პრობლემა (გამოხმაურების გზით კითხვებზე პასუხების მიღების სურვილი, რასაც ხშირად დისკუსია მოჰყვება ხოლმე).

გამოხმაურების დაწერის სურვილს ყველაზე მეტად ემოცია აღძრავს, რომელიც პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- დადებითი ემოცია;
- ნეიტრალური (ობიექტური) ემოცია (რომლის მოტივატორი, როგორც წესი, თვითგამოხატვის მოთხოვნილებაა);
- უარყოფითი ემოცია.

მასწავლებელს შეუძლია ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით შეურჩიოს მოსწავლეს შესაფერისი მხატვრული ლიტერატურა, წაკითხულის შინაარსი კი თავად გაუჩენს მოსწავლეს გამოხმაურების დაწერის სურვილს.

წერითი დავალების შესრულებამდე პედაგოგმა მოსწავლეთა აზრი გულდასმით, ყურადღებით და პატივისცემით უნდა მოისმინოს, კითხვა-პასუხის გზით უნდა გამოკვეთოს მათი ძირითადი იდეები და მხოლოდ ამის შემდეგ დაავალოს მიმოხილვის დაწერა. ზეპირ გამოკითხვას, პირობითად, შეიძლება ასეთი ხასიათი ჰქონდეს:

- რას იტყოდით ნაწარმოების შესახებ? დაგაინტერესათ თუ არა?
- რა ეწოდება ნაწარმოებს (მოთხრობას, ნოველას)? მიუთითეთ ავტორი.
- ნაცნობია თუ არა ავტორი? კიდევ რომელ

მასწავლებელს შეუძლია ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით შეურჩიოს მოსწავლეს შესაფერისი მხატვრული ლიტერატურა, წაკითხულის შინაარსი კი თავად გაუჩენს მოსწავლეს გამოხმაურების დაწერის სურვილს.

ნაწარმოებს იცნობთ მისი ავტორობით? რით განსხვადება იგი სხვა ავტორებისგან?

- გაგიტაცათ თუ არა ნაწარმოების კითხვამ? რა შთაბეჭდილება მოახდინა წაკითხულმა?
- აგაღელვათ თუ არა მომხდარმა ამბავმა?
- გახსოვთ თუ არა ის ადამიანები, რომელთა შესახებაც წაიკითხეთ ნაწარმოებში? გინდათ თუ არა ისე იცხოვროთ, როგორც მათ?
- ვინ არიან მთავარი გმირები? დაასახელეთ ისინი.
- აღწერეთ დასამახსოვრებელი ეპიზოდი, გმირის მოქმედება, შეაფასეთ მისი ქმედება.
- მოგეწონათ თუ არა, როგორ აღწერს ავტორი გმირის ხასიათს, გარეგნობას, მოვლენებს?
- რა დროს ხდება აღწერილი ამბები?
- მიაქციეთ თუ არა ყურადღება ნაწარმოების ენას, ლექსიკას?
- მიაქციეთ თუ არა ყურადღება ილუსტრაციებს? ვინ არის მათი ავტორი? მოახდინა თუ არა ვიზუალურმა მხარემ გავლენა ნაწარმოების არჩევაზე? დაგეხმარათ თუ არა ის წაკითხულის გაგებაში?
- რა მოგეწონათ ყველაზე მეტად ნაწარმოებში?
- რა გაიგეთ ახალი? შეხედეთ თუ არა ცხოვრებას ახლებურად? (დასკვნა).

წიგნის მიმოხილვისთვის დამატებითი კითხვები შეიძლება ასეთი იყოს:

- დაასახელე, რომელი იყო ყველაზე მხიარული ეპიზოდი.
- როგორ ადგილზე, რა ვითარებაში გიყვარს კითხვა ყველაზე მეტად?
- უამბე ვინმეს წაკითხულის შესახებ? ვის?

- კითხვაში გიშლიდა რამე ხელს? რა? (მოწყენილობა, საშინაო დავალებები, ბევრი გაკვეთილი, მუსიკის მოსმენა გინდოდა და ა. შ.)
- რას შეეკითხებოდი ავტორს ანდა მის გმირს?
- უკაცრიელ კუნძულზე ამ წიგნს წაიღებდი?
- ნაწარმოების გმირებს შორის არის ისეთი, რომელიც შენ ან შენს მეგობარს, ნაცნობს ჰგავს? რით გამოიხატება მსგავსება?
- როდისმე დაგჭირვებია მალულად კითხვა? (მაგალითად, კლასში ან სახლში?)

ცხადია, არსებობს სხვა ტიპის შეკითხვებიც. მთავარია, რომ ასეთი მიდგომით მოსწავლეებმა უკვე იციან, რას უნდა მიაქციონ ყურადღება წერითი დავალების დამოუკიდებლად შესრულებისას.

არსებობს გარკვეული სტრატეგიები, რომლებიც უკეთ დაეხმარება მოსწავლეებს დავალების შესრულებაში. მაგალითად, ასეთია „პირამიდატექსტის“ რამდენიმე ხერხი, რომელთა შორის ძირითადია „პირამიდული ისტორია“ (ავტ. ო. კიმი და რ. ვაგნერი) და პირამიდა „კრიტიკა“ (ავტ. ო.კ. გრომოვოი).

„პირამიდული ისტორია“, რომლის ამოცანაც სიუჟეტიანი ტექსტის სტრუქტურის აგებაა, მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ისტორიის გმირის სახელი (გმირი შეიძლება იყოს ადამიანი, ცხოველი, უსულო საგანი);
- ორი სიტყვა, რომლითაც აღწერთ მთავარ მოქმედ პირს (გარეგნობას, ასაკს, თვისებებს, ხარისხს და ა. შ.);
- სამი სიტყვა, რომელიც აღწერს მოქმედების ადგილს (ქვეყანას, ადგილმდებარეობას და ა. შ.);
- ოთხი სიტყვა, რომელიც აღწერს მთავარ პრობლემას (მაგალითად, ფული, სიღარიბე და ა. შ.);
- ხუთი სიტყვა, რომელიც აღწერს პირველ შემთხვევას, მოვლენას (ის, რაც გახდა პრობლემის მიზეზი);
- ექვსი სიტყვა, რომელიც აღწერს მეორე შემთხვევას (როგორ ვითარდება მოქმედება მთავარი პირის ირგვლივ);
- შვიდი სიტყვა, რომელიც მესამე მოქმედებას აღწერს (რომელიც უნდა განხორციელდეს პრობლემის გადასაჭრელად);
- რვა სიტყვა, რომლითაც აღიწერება პრობლემის გადაჭრა.

ნაწარმოების მიმოხილვის (გამოხმაურების, შეფასების) დაწერის კრიტერიუმები პირამიდა „კრიტიკის“ მიხედვით:

- რაზეა ნაწარმოები? (ერთი სიტყვა)
- ნაწარმოების ხასიათი (ორი სიტყვა)
- მოქმედების ადგილი და დრო
- ნაწარმოების მთავარი მოვლენა (ოთხი სიტყვა)
- მთავარი გმირები – როგორები არიან ისინი? (ხუთი სიტყვა)
- რას გრძნობდით, როდესაც წაიკითხეთ ნაწარმოების დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული? (ექვსი სიტყვა)
- რის შესახებაა ეს ნაწარმოები? (პირველ წინადადებას მიუმატეთ შვიდი სიტყვა)
- თქვენი რეკლამა/ანტირეკლამა ან რეკომენდაცია წაკითხულის შესახებ.

„პირამიდული ისტორია“ და პირამიდა „კრიტიკა“ ეფექტურად გამოიყენება: ტექსტზე მუშაობის შემდეგ ინფორმაციის გადამუშავებისთვის და მიმოხილვის (გამოხმაურების) დაწერისთვის, ლექსიკური ერთეულების ცოდნის განმტკიცებისთვის და გრამატიკაში გავარჯიშებისათვის, მოთხრობის დაწერის, თხზვის უნარის განვითარებისათვის და, ზოგადად, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისთვის.

რაც შეეხება უმცროსკლასელებს, რომელთაც ჯერ კიდევ უჭირთ წერა, შეიძლება წაკითხული ნაწარმოების შესახებ ისაუბრონ ზეპირად, ჯგუფურად, მასწავლებლის ანდა ბიბლიოთეკარის თანდასწრებით, რომლებიც ჩაიწერენ მათ აზრებს. ჯგუფური მუშაობის შედეგად გამოიკვეთება მკითხველთა ინდივიდუალური თავისებურებებიც, რომლებიც მასწავლებელს გამოადგება შემდგომი პერიოდის სამოქმედო გეგმის შესადგენად.

ასეთი დავალებები ეხმარება მოსწავლეს ძირითადი სასწავლო პროგრამის ათვისებაში, უვითარებს წარმოსახვის, მსჯელობის, მიზეზშედეგობრივი კავშირების დანახვის, ანალიზის, ფაქტებისა და მოვლენების დახარისხების, შეფასების უნარჩვევებს და, ზოგადად, ხელს უწყობს საზროვნო პროცესებს. ამიტომ მათი გამოყენება სასწავლო პროცესში სასურველი და მისაღებია.

მოსწავლემ უნდა ახსნას, როგორი მრძნობები გამოიწვია მასში ნაწარმოებმა, რა მოეწონა, რა დაიწუნა, რა დაამახსოვრდა ყველაზე მეტად, როგელი მოქმედი პირი, როგელი სიტუაცია და რატომ? მან ყურადღება უნდა მიაქციოს ენასაც — გამოხმაურება შესაფერისი ლექსიკით და გასაგები ენით უნდა დაიწეროს.

თამარ მოსიაშვილი

სასკოლო უსაფრთხოება და სკოლის მიტოვების რისკები

„მასწავლებელი, ექიმი, ტექნიკი, მიწის შემუშავების მცოდნე, – ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ეხლა. თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისთვის, თავი ვიჩინოთ, რომ სიბნელე უმეცრებისა გავფანტოთ. თუ ხალხის სიყვარულით არიან გამსჭვალულნი, საქმით დაამტკიცონ სიყვარული და მრავალნი გამოიყვანონ უმეცრებიდან“.

ილია ჭავჭავაძე

რამდენად უსაფრთხოა ბავშვისთვის ის გარემო, სადაც ცხოვრობს? რა როლი აკისრია მშობელს, ოჯახსა და სასკოლო თემს უსაფრთხო გარემოს შექმნაში? ყველა ბავშვს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს განათლება სკოლაში?

ძალადობის შესახებ მასმედიიდან ვიგებთ; ხდება ისეც, რომ მედია ძალადობის შემთხვევას დეტალურად აღწერს, მომხდარ ამბავზე აგებს სავარაუდო სიუჟეტებს. ხშირად მედიის მიერ „ჩატარებული“ გამოძიებისა თუ სასამართლოს მაყურებლებიც ვხდებით ხოლმე. ძალადობრივ შინაარსზეა აგებული მრავალი ვიდეოთამაში, ფილმი, სერიალი. თუმცა ძალადობა მხოლოდ ვირტუალური სივრცის ნაწილი არაა.

რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში?

რას ამბობს სტატისტიკა?

მწერალი მარკ ტვენი მახვილსიტყვაობითაც გამოირჩეოდა. ამბობენ, რომ უთქვამს: „ტყუილი სამი სახისაა: ტყუილი, უსირცხვილო ტყუილი და სტატისტიკა“. ზოგი თვლის, რომ ეს სიტყვები მარკ ტვენს არ ეკუთვნის. ამას მნიშვნელობა არ აქვს. ციფრებით შეიძლება პრობლემის მასშტაბის შეფასება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2014-2015 სასწავლო წლის დასაწყისისთვის 14 104 ბავშვმა მიატოვა სკოლა. 14104 ადამიანის ცხოვრებაში მოხდა რაღაც ისეთი, რამაც ისინი სკოლის მიღმა დატოვა. ეს ბავშვები უსაფრთხო გარემოში არ ცხოვრობდნენ და არც სკოლა იყო მათთვის უსაფრთხო. სკოლის მიტოვების მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალი მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე კლასებში იყო. 11 388 ბავშვმა (80.74%) მიატოვა სკოლა.

სკოლის მიტოვების მიზეზი მრავალგვარია. ამჯერად შევჩერდებით ორ მიზეზზე: ნაადრევ ქორწინებასა და ბავშვის შრომაზე.

ნაადრევი ქორწინება: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2015 წელს გამოცემულ სტატისტიკურ კრებულში „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში“ აღნიშნულია, რომ 16-დან 19 წლამდე ასაკის 31526 მამაკაცი და 31526 ქალია დაქორწინებული, რაც დაქორწინებული მამაკაცების 2.7% და დაქორწინებული ქალების 14.0%-ია.

გაეროს მოსახლეობის ფონდის კვლევაში „საქართველო და ადრეული ქორწინება“ (მაია ბარქაია, 2013) აღნიშნულია, რომ დედაქალაქსა და რეგიონებში ნაადრევი ქორწინება დაკავშირებულია სიღარიბესთან და დაბალ სოციალურ სტატუსთან. იმ ოჯახებისთვის, რომლებიც მატერიალური სიდუხჭირის ზღვართან დგანან, გოგონას ადრეული ქორწინება ერთგვარი გამოსავალია, ხოლო გოგონები ნაადრევ ქორწინებას განიხილავენ როგორც ოჯახში არსებული კონფლიქტისა თუ გაუსაძლისი მდგომარეობისგან თავის დახსნის საშუალებას.

ნაადრევი ქორწინება გოგონების სკოლიდან გადინების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ქორწინების ან ნიშნობის შემდეგ, რიგი ეთნიკური უმცირე-

www.mastsavlebeli.ge

განათლება - თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

ჟურნალი „მასწავლებელი“ კიდევ ერთ ამაგდარ პედაგოგს და მის ოჯახს გაგაცნობთ, სადაც მასწავლებლის პროფესია ოჯახური ტრადიციაა.



ამაგდარი – საოჯახო ტრადიცია – მასწავლებელი

მასწავლებელი და კოლეგა

ვერა კუკულაძე, მაკვანეთის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: „თითქმის 60 წლის ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობის შემდეგ დამსახურებულ პენსიაზე გავიდა ოზურგეთის რაიონის, სოფელ მაკვანეთის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იზოლდა ჩხეიძე. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სიყვარულით შექმნა მტკიცე, ტრადიციული ქართული ოჯახი. „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა?!“ მოსიყვარულე მეუღლე ვახტანგ თიკანაძე ნაადრევად გამოეცალა უღლიდან და მარტოს მოუხდა ცხოვრების მძიმე ჭაპნის ზიდვა. თუმცა წუთისოფლის სიმუხთლემ ვერ გატეხა ამაყი ქალი, ოთარაანთ ქვრივივით თუ თავსაფრიანი დედაკაცივით, ფეხზე დააყენა ოჯახი და სამი სანიმუშო შვილი გაზარდა. მარინა და ირმა დედის კვალს გაჰყვნენ: ერთი გერმანისტია, მეორე – ქიმიკოსი. ორივე თბილისში მუშაობს და მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა. თენგიზი კი ნაყოფიერად ირჯებოდა მშობლიურ რაიონში, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაადრევად დატოვა სააქაო და დედას განუკურნებელი იარა დაუტოვა.

წარსულიდან, გარდა დიდი ტკივილისა, ქალბატონ იზოლდას ბევრი ლამაზი მოგონება დარჩა. ეამაყება, რომ აქტიურად მონაწილეობდა სოფლისა და რაიონის კულტურულ ცხოვრებაში. იყო ხალხური სიმღერების გუნდის წევრი. გურული სიმღერების ხიბლს კი ეროვნული ფოლკლორის დიდმა მოამაგემ, არტემ ერქომაიშვილმა აზიარა. ქალბატონ იზოლდას ეამაყება ისიც, რომ სცენაზე ანზორ და ვლადიმერ ერქომაიშვილების გვერდით დგომა მოუწია. თუმცა სკოლა, აღსაზრდელები მისთვის უპირველესი მოწოდება და საზრუნავი იყო - შეიძლება ითქვას, ამქვეყნიური არსებობის გამართლება. მოსწავლეებთან ერთად სისტემატურად მონაწილეობდა როგორც რაიონულ, ისე რესპუბლიკურ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში. არის მრავალგზის გამარჯვებული. განათლების სამინისტროდან ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და დიპლომი. თუმცა იზოლდა ჩხეიძისთვის უპირველესი ჯილდო ყოველთვის აღსაზრდელებისა და მათი მშობლების სიყვარული იყო. მიუხედავად წელთა სიმრავლისა, ის კვლავ წინ იყურება და თავისი გამოცდილებით, რჩევებით ეხმარება კოლეგებს, სოფელს... კვლავაც ერთგულია თავისი ცხოვრებისეული მრწამსის: „რაც უნდა ჭირი მომკერძო, ბილწთ არ შავეკვრი ზავითა, მცნებას ვერ შემაცვლევინებ მოზღვავებულის ავითა“.

დედაჩემი

მარინა თიკანაძე: „რაც თავი მახსოვს, დედა სულ სკოლაში ასწავლიდა. სოფელში, მოგეხსენებათ, საქმეს რა გამოლევს, თანაც წვრილშვილიანი დიასახლისისთვის. მამა აგრონომი იყო. მისი

გაგრძელება მომდევნო გვერდზე

წყალობით გვქონდა არაჩვეულებრივად მოვლილი კარ-მიდამო, გვყავდა რამდენიმე სული ძროხა, ღორი, ბევრი ფრინველი. ამ ყველაფერს მამასთან ერთად დედაც უვლიდა, საღამოობით კი ჩვენ დაგვაძინებდა და დიდხანს მუშაობდა საწერ მაგიდასთან. მელნითა და წრიპინა კალმით, არაჩვეულებრივი კალიგრაფიით აწიკწიკებდა მეორე დღის გაკვეთილების გეგმებს. კარგა ხანს ჰქონდა შენახული ასეთი გეგმებით გავსებული ასფურცლიანი რვეულები. ჩვენ ვხედავდით, თუ როგორ უყვარდა დედას თავისი საქმე, ქართული ენა და ლიტერატურა, სკოლა და მოსწავლეები. ასწავლიდა და აყვარებდა მოსწავლეებს ქართველ კლასიკოს მწერლებსა და პოეტებს, ქართული ენის გრამატიკას. დაჰყავდა ექსკურსიებზე. მაკვანეთის მოსწავლეებს თითქმის ყველა კლასიკოსი მწერლის სახლ-მუზეუმი გვქონდა ნანახი. ატარებდა ლამაზ შემეცნებით ღონისძიებებს. და, ყველაფერთან ერთად, არასოდეს გავიდოდა სახლიდან მოუწესრიგებელი. შეიძლება ერთი კაბა ჰქონოდა, მაგრამ ეცვა ყოველთვის გემოვნებით, ყოველთვის მოწესრიგებული იყო. უნდა აღვნიშნო, რომ 60 წლის განმავლობაში არ გაუცდენია უმიზეზოდ არც ერთი გაკვეთილი. ყოველთვის ეტეოდა საგაკვეთილო დროში და 45 წუთს ანაწილებდა უაღრესად რაციონალურად. სწორედ ამაში ეხმარებოდა წინასწარ დაწერილი გაკვეთილის გეგმები.

ძალიან თბილი დედა იყო, მაგრამ ამავე დროს - პრინციპული და მკაცრიც. მე-5 კლასის შემდეგ სამივე შვილს გვასწავლიდა. ჩემი კლასის დამრიგებელიც იყო. არანაირ შეღავათს არ გვიწევდა, გაკვეთილს თუ სათანადოდ არ მოვამზადებდით. ისევე ობიექტურად გვაფასებდა, როგორც სხვებს. ჩვენ ძალიან მოკრძალებულად ვცხოვრობდით, მაგრამ ოზურგეთში (მაშინდელ მახარაძეში) ისე არ ჩავიდოდა დედა, რომ წიგნების მაღაზიაში არ შესულიყო და უკანასკნელი კაპიკებით ახალი წიგნები არ შეეძინა. ასე შექმნა მართლაც მშვენიერი ბიბლიოთეკა. ჩვენც შეგვაყვარა კითხვა და ახლაც ზღაპარივით მახსენდება წიგნებთან გატარებული, ღუმელით გამთბარი ზამთრის გრძელი საღამოები ან ცხელი ზაფხულის მშვიდი დღეები.

ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელი ვიმუშავე ოზურგეთის რაიონის სხვადასხვა სკოლაში. ჩემი პროფესიული არჩევანიც დედის გავლენა იყო. ოჯახის შექმნის შემდეგ თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად. 2003 წლიდან ვმუშაობ არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაცია "SOS-ბავშვთა სოფელში". ვარ ობოლი და მზრუნველობამოკლებული მოზარდების აღმზრდელი პედაგოგი "SOS-ახალგაზრულ სახლში". ეს არის პროექტი, რომელიც ხანგრძლივად ეხმარება ასეთ მოზარდებსა და ახალგაზრდებს სოციალური და საყოფაცხოვრებო უნარების განვითარებაში, პროფორიენტაციაში, პროფესიების ათვისებასა და დასაქმებაში. ბედნიერი ვარ, რომ ამ საქმეს ვაკეთებ.

ირმა თიკანაძე: „დედა 39 წლის ასაკში დაქვრივდა. სამი შვილი დავრჩით საპატრონო და გზაზე დასაყენებელი. მაშინ სამი წლის ვიყავი - ყველაზე უმცროსი. ცდილობდა, რომ უმამობის სიმწარე არ ეგრძნობინებინა და თავდაუზოგავად შრომობდა. მახსოვს, 32 საათს ატარებდა კვირაში. ფაკულტატურ საათებსაც იღებდა, რომ ხელფასი მაღალი ჰქონოდა. იხსენებს ხოლმე, რომ არა სკოლა და პატარა ირმა, მეუღლის სიკვდილს ვერ გადავიტანდიო. ისე არ დაწვებოდა, მეორე დღისთვის გაკვეთილების გეგმები არ დაეწერა. დიდხანს ჰქონდა შენახული ძველი, მელნითა და კალმით ნაწერი, ულამაზესი კალიგრაფიით ჩაწიკწიკებული, მუშამბისყდიანი რვეულები გაკვეთილების გეგმებით. იმ ლამაზი ხელნაწერის გამო ხშირად ვკითხულობდი ხოლმე. შეიძლება ითქვას, გაკვეთილის დაგეგმვის ანი და ბანი სწორედ მაშინ ვისწავლე. მოსწავლეთა რვეულებს სახლში ასწორებდა და, უკვე მოზრდილი, მეც ვეხმარებოდი გასწორებაში: უბრალო ფანქრით ვხაზავდი შეცდომებს და უხაროდა, როცა თითქმის ყველა შეცდომას ვპოულობდი. ასე მასწავლიდა ქართულ გრამატიკასა და მართლწერის წესებს. ხუთი წლის ასაკში „ვეფხისტყაოსნის" ასამდე სტროფი მასწავლა, უფრო სწორად, ზეპირად მეუბნებოდა და უკვირდა, უცებ რომ ვსწავლობდი. ჩემი დამტოვებელი რომ არ ჰყავდა, სკოლაში ადრე შემიყვანა – წერა-კითხვაც ვიცოდი ამ დროს და ანგარიშიც, რაც ასევე მისი დამსახურებაა. საწოლთან მსოფლიოს დიდი პოლიტიკური რუკა მქონდა გაკრული და პატარაობიდანვე მასწავლიდა რუკის წაკითხვას.

წიგნებს სულ ყიდულობდა. საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა გვქონდა და ყოველთვის ასაკის შესაბამისად მაწვდიდა წასაკითხ ლიტერატურას. თან მიმითითებდა ხოლმე, ეს წიგნები ჯერ ცოტა ადრეა შენთვის, მაგრამ მაინც შეგიძლია წაიკითხო. ამით ინტერესს მიღვიძებდა. ერთი სიამოვნება იყო ჩემთვის წიგნის თაროების დალაგების რიტუალი. გადმოვაწყობდით ერთად და ვახარისხებდით. ყველა წიგნს თავისი საინტერესო ისტორია ჰქონდა და მიყვებოდა. მეც წაკითხულიდან საინტერესო ადგილებს ვუყვებოდი ხოლმე და მაოცებდა, რომ ყველა პერსონაჟი და პასაჟი ახსოვდა. საინტერესო ამბებს მიამბობდა მწერლებზე. მაშინ ეს ყველაფერი ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნდა და ვთვლიდი, ყველა დედა ასეა-მეთქი. ახლა ვაფასებ, ცოდნისა და წიგნის რამხელა სიყვარული ჩამინერგა.

სკოლაში მეხუთე კლასიდან მასწავლიდა, მაგრამ მის გაკვეთილებზე არანაირი შეღავათი არ მიგრძნია. ერთხელ ვთხოვე, ხვალისთვის დავალება არ მექნება და არ მკითხო-მეთქი. გამაფრთხილა, აუცილებლად შეასრულეო. ვიფიქრე, მაინც არ მკითხავს-მეთქი და ხელი თამამად ავწიე. პირველივე გამომიძახა დაფასთან და პირველი და ერთადერთი ორიანი ჩამისკუპა ჟურნალში ფრიადოსან მოსწავლეს. მერე მითხრა, ხელი რომ ასე თამამად ასწიე, იმიტომ გამოგიძახე, ვიცოდი, არ გქონდა მომზადებულიო. მთელი ცხოვრება მეყო გაკვეთილად.

სიამაყით ვივსებოდი, მის გაკვეთილებს ყველა მოსწავლე რომ ხალისით ესწრებოდა და ინტერესით უსმენდა. სწავლების თანამედროვე მეთოდები ჩემთვის არც ისე უცხო გამოდგა, როცა მასწავლებლობა დავიწყე. დედა ამ მეთოდებს თითქმის უკლებლად იყენებდა. შესავალი ნაწილიდან – პროვოცირებიდან რეფლექსიამდე ერთმანეთზე უნაკლო გადასვლებით, მძივივით აწყობდა ხოლმე გაკვეთილს. ეს, ალბათ, სწორედ იმ წინასწარ დაგეგმვის შედეგი იყო. მეც არ შევდივარ გაკვეთილზე გეგმის გარეშე. მაშინაც კი ვწერდი, როცა ამას სკოლაში არავინ ითხოვდა. ხშირად ესწრებოდნენ გაკვეთილზე რაიონიდან თუ დედაქალაქიდან ჩასული სტუმრები და ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდნენ.

განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი მუშაობა მოსწავლეებთან ფოლკლორის მიმართულებით. დაუღალავად იკვლევდა გურიის ულამაზეს სოფელ მაკვანეთში გავრცელებულ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ლექსიკასა და ფოლკლორს, ყველაფერს, რაც კი უკავშირდებოდა წისქვილსა თუ კრუხ-წიწილის მოვლას, მეფუტკრეობას თუ მესაქონლეობას, ხალხური სიმღერების შემსრულებლებს და ტექსტებს, გურულ შელოცვებსა და წყევლას, ადგილობრივ სამეურნეო დარგებს –

მეაბრეშუმეობასა და სამკურნალო ბალახების მოყვანას, გეოგრაფიული სახელების ეტიმოლოგიას და სხვა. ამ თემებზე მოსწავლეებთან ერთად მუშაობდა: დადიოდნენ სოფლის უხუცეს მცხოვრებლებთან, სახალხო მთქმელებთან, აგროვებდნენ ნიმუშებს, იწერდნენ ხალხურ გამონათქვამებს. შემდეგ ნამუშევრებს კონფერენციებზე აგზავნიდნენ და იმარჯვებდნენ. სიამაყით გადაფურცლავს ხოლმე დედა უამრავ სიგელსა და დიპლომს და ხარობს იმით, რომ უქმად არ უცხოვრია.

უნდოდა, რომ ექიმი ვყოფილიყავი, მაგრამ არასოდეს დაუძალებია და თავისი სურვილი თავს არ მოუხვევია. როცა ქიმიკოსობის სურვილი გამოვთქვი (ეს მისი მეგობრისა და კოლეგის, არაჩვეულებრივი ქიმიკოსის, ქსენია დარსაველიძის დამსახურება გახლდათ, რომლის ცოდნასა და პროფესიონალიზმს არასოდეს დავივიწყებ), ცოტა არ იყოს, გაუკვირდა. რატომღაც ეგონა, ფილოლოგია უფრო მიტაცებდა. ახლა ვხვდები, როცა მეც სამი შვილის დედა ვარ, რა ძნელია სამი შვილის აღზრდა, განათლების მიცემა, თან რაიონიდან დედაქალაქში რჩენა და კონტროლი.

მასწავლებლის პროფესია, ალბათ, მაშინ ავირჩიე გაუცნობიერებლად, როცა სათამაშო დათუნიებსა და თოჯინებს დავსვამდი და გაკვეთილს ვუტარებდი ხოლმე. მერე ცხოვრებამ მოიტანა – სამეცნიერო კარიერის ნაცვლად სკოლაში ამოვყავი თავი და მივხვდი, რომ მასწავლებლობა „სისხლში მაქვს“. ჩემი შვილებიც, დიდი იმედი მაქვს, თავიანთი სფეროს კარგი სპეციალისტები იქნებიან, შეძლებენ, კარგი მასწავლებლები იყვნენ მომავალი თაობებისთვის; მით უმეტეს, რომ ჩემი მეუღლის დედაც და ბებიაც მასწავლებლები იყვნენ და თავადაც სამხატვრო აკადემიაში მუშაობდა პედაგოგად წლების განმავლობაში. ასე რომ, ტრადიცია გაგრძელდება“.

ალექსანდრე ლორთქიფანიძე

აუცილებლად წასაკითხი წიგნების შესახებ

ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ. არ არსებობს წიგნი, რომელიც აუცილებლად უნდა გვქონდეს წაკითხული. არც ისეთი 100 წიგნი არსებობს, რომელიც სიკვდილამდე უნდა წავიკითხოთ. მეტსაც გეტყვით, 50 რჩეული წიგნი მოზარდებისთვის საერთოდ აბსურდია. შესაბამისად აუცილებლობის სიები, შედგენილნი ჯილდოების, თუ გაყიდვების რაოდენობის, თუ კრიტიკოსთა შეფასების, თუ სხვადასხვა მიზეზებით, მხოლოდ მარკეტინგული სატყუარაა და მეტი არაფერი. თუ თქვენ 15 წლის ხართ და ჯერაც არ წაგიკითხავთ „ტომ სოიერის თავგადასავალი“ (აქ ტვენომანები აღშფოთებით შესძახებენ: „ნწ.. ნწ.. უვიცი!“), სანაცვლოდ კი უკვე მოასწარით წაგეკითხათ ჯონ გრინის ყველა რომანი („ფუფ, მდარე ლიტერატურა“), თქვენ არაფერი დაგიშავებიათ, მეტიც, თქვენ გაგიმართლათ, რადგან ძალით არავინ წაგაკითხათ ესა თუ ის სავალდებულო ლიტერატურული ქმნილება. გაგიმართლათ, რომ არავინ დაგემუქრათ, თუ „მობი დიკის“ 10 გვერდს არ წაიკითხავ, ფეხბურთის სათამაშოდ არ გაგიშვებო. მოკლედ, თქვენ თავისუფალი არჩევნის უფლება გქონიათ, რას ირჩევთ – ეს თქვენი გადასაწყვეტია, თუმცა შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ძალიან გაგიმართლათ.

ხანდახან მეკითხებიან, რომელია ის აუცილებელი ლიტერატურა, რაც ამა და ამ ასაკში უნდა ჰქონდეს ბავშვს წაკითხულიო... ანდა მოზარდსო... დიდსო, ჩემხელა ადამიანსო... გულწრფელად გიპასუხოთ? ხანდახან ვურჩევ ხოლმე: „იცით, 12 წლის ბავშვი უკვე გარდამავალ პერიოდშია.. რამე ისეთი შესთავაზეთ, არც ძალიან ბავშვური, არც ძალიან დიდური, აი, მაგალითად „ნარნიას ქრონიკები“, ან თუ კლასიკიდან ავიღებთ, ჯეიმზ ფენიმორ კუპერის რომანები თუნდაც“... „რამდენის? 8-ის? რა გითხრათ, ალბათ ლინდგრენი საუკეთესო ვარიანტია... მილნი, დალი, სენდაკი და სხვა მსგავსი ავტორებიც მისწრებაა“... „ოო, ჰარი პოტერი უნიკალურია, კი, ყველა ასაკში შეიძლება... ჰო, თქვენთვისაც, მერე რა... არა, არ ვხუმრობ, მართლა ლამარა ბებია, თქვენთვისაც“... და ა.შ. ჰო, ასე ვეუბნები ხოლმე, ვანაწილებ კარგი ექიმივით რეცეპტებს, ბოლოს ლამისაა ამბებიც გამოვიკითხო ხოლმე: „როგორაა თქვენი ბავშვი? წაიკითხა ნარნია? აბა? ახლა დიდი გოგოა უკვე“...

არადა, მე ხომ ვთაღლითობ. თვითონ არასოდეს წამიკითხავს ონორე დე ბალზაკი, ანდა გუსტავ ფლობერი... ჰო, აი ის „მადამ ბოვარიც“ არ წამიკითხავს და მეტსაც გეტყვით, მგონი ჩემი საცოლე სადღაც გულის სიღრმეში დღემდე ვერ მიტანს იმის გამო, რომ უილიამ ფოლკნერის შემოქმედებას არც ისე სრულყოფილად ვიცნობ და მხოლოდ ერთი რომანი მაქვს წაკითხული. თუმცა სულ რომ არ წაგიხდეთ ჩემს ნაკითხობაზე შთაბეჭდილება, აქვე დავაყოლებ, რომ მთლად სტალინზე ლეგენდაში როგორცაა, იმდენი არა, მაგრამ საკმაოდ ბევრი წიგნი მაქვს წაკითხული ჩემი ჯერჯერობით ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე, რაიმე ნორმები თუ არსებობს, ალბათ, იმ ნორმებზე ბევრად მეტი... და მთელი ამ გამოცდილების ფონზე, მხოლოდ ერთ დასკვნამდე მივედი: არ არსებობს წიგნი, რომელიც უნდა გვქონდეს წაკითხული. არ არსებობს წიგნი, რომლის წაკითხვითაც ვინმეზე მაღლა დავდგებით ან ვინმე დადგება ჩვენზე მაღლა. მკითხველობა ბუნებრივი მდგომარეობაა, ზედმეტი ძალდატანების გარეშე, ისევეა, როგორც გურმანობა, სპორტული ფანატობა, მელომანობა და ა.შ. წარმოიდგინეთ, კარგ გურმანს ვინმემ რომ დააძალოს, ადექი და ეს მწვადი ბოლომდე შეჭამეო... ანდა დაემუქროს, 2 შამფურს თუ არ გამოცლი, ეზოში არ ჩაგიშვებო...

დასასრული იხ.
www.mastsavlebeli.ge

ირმა ტაველიძე

სასკოლო ზეიმების სევდა

მწამს, რომ წაკითხული წიგნები მკითხველებს ცვლიან. შესაძლოა, ამ რწმენის საფუძველი არც ისე მყარი იყოს. არაფერს ვამტკიცებ. უბრალოდ, მწამს.

ამ რწმენით ვცხოვრობ, ვწერ, ვკითხულობ და წიგნებს ვურჩევ მათ, ვისი ბედ-იღბალიც მაღელვებს. ვისი ბედ-იღბალიც გაღელვებს, იმას ბევრი წიგნი უნდა წააკითხო – ასწავლო, როგორ უნდა ამოათრიოს საკუთარი თავი, თმაში ხელჩავლებულმა, ყოველდღიურობის დაგუბებული, სუნდაკრული წყლებიდან.

რაკი ერთმა შეძლო, ჩვენც შევძლებთ.

სწორედ ასე წავაკითხე ჩემს მეგობარს თანამედროვეთაგან ალბათ ყველაზე დიდი ამერიკელი მწერლის, ფილიპ როთის „პორტნოის სინდრომი“ – წიგნი, რომლის წაკითხვასაც ყველა მასწავლებელს ვურჩევდი. ძველი მეგობრები ვართ და ალბათ სხვაც ბევრი მოვახვიე თავზე – ჩემი შეხედულებები, მოსაზრებები, ვარაუდები, შიშები, გემოვნება. ქართულის მასწავლებელია და სულ რაღაცას ეძებს.

ამიტომაც გამიკვირდა და გულიც მეტკინა, როცა ერთ დღეს ასეთი სასკოლო ზეიმის მოწყობა მოინდომა: მოსწავლეებს თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსები ზეპირად უნდა ესწავლათ და ავტორებთან შეხვედრისას ეთქვათ. პოეტები მოსწავლეებს მოუსმენდნენ და მერე თვითონაც იტყოდნენ რამეს, სკოლის წლებს გაიხსენებდნენ, შეკითხვებსაც უპასუხებდნენ.

ფილიპ როთის „პორტნოის სინდრომი“ სულ ახალი წაკითხული ჰქონდა. აღარ ჩამოვთვლი იმ წიგნებს, რომლებიც მანამდე წაიკითხა.

რა მოხდა? ის, რომ მასწავლებლის ცნობიერებაში სასკოლო ზეიმის იდეა იმ სახით გაცოცხლდა, რა სახეც ათწლეულების წინ ჰქონდა საბჭოთა იდეოლოგიის შუქით განათებულ სამასწავლებლო ოთახებში. სხვა შესაძლებლობა იმთავითვე გამოირიცხა. თითქოს ზეიმი ისაა, როცა ვიღაც საგანგებოდ ამ დღისთვის ნასწავლ ლექსს ამბობს – სხაპასხუპით, წაბორძიკების გარეშე. საგრძნობლად ღელავს და ამის გამო სტრიქონებს მარცვლები აკლდება, მაგრამ ზეიმის ორგანიზატორები და მსმენელები დიდსულოვნად მიუტევებენ. სუნთქვაშეკრული, წამოწითლებული მოსწავლისთვის ეს მორიგი ვალდებულებაა, უკვე ვალმოხდილები კი მოუთმენლად ელოდებიან ღონისძიების დასრულებას.

ბევრჯერ ვყოფილვარ ასეთი ზეიმის მონაწილე.

მოწვეული სტუმრები – გრძელი და მოსაწყენი გამოსვლებით, მუდმივი შიში (ბოლოსწინა სტროფის დასაწყისი არ დამავიწყდეს), უცნაური გამომეტყველება მასწავლებლების სახეებზე (სტუმრებს ისიც კი ნაზად უღიმის, ვინც არასდროს იღიმება), საერთო დაძაბულობის განცდა და წარუმატებლობის მოლოდინი (მაინც დამავიწყდება, მაინც დამავიწყდება...) დასკვნა: საზეიმო არც არაფერია, ზეიმის მიზეზი საერთოდ არ არსებობს. სკოლას თავისი მომაბეზრებელი ვალდებულებები აქვს. ეს არის და ეს.

ძველი ფოტოების თვალიერებისას სასკოლო ღონისძიებებზე გადაღებულ ფოტოებს ერთს დავხედავ და გვერდზე სწრაფად გადავდებ ხოლმე.

ერთადერთი დრამატული სანახაობა, რომელიც ღიმილით მახსენდება, უდროოდ დაღუპული ქართველი პოეტების პატივსაცემად იყო მოწყობილი. „მე გპირდებოდით, რომ დავბრუნდები, რომ თქვენი თმები დამაბრუნებენ“. ნახევრად ჩაბნელებული სცენის სიღრმეში ვიდექით და ხელში დაფნის რტოები გვეჭირა. სცენის მარცხენა კუთხესთან ფიალაში ცეცხლი ენთო – წარმოსახვითი პოეტის წარმოსახვით საფლავზე. „სალოცავად ქართველობა მეყოფა, საფიცავად შენი თაფლის თვალი“. რიგრიგობით მივდიოდით საფლავთან, ლექსს ვამბობდით და მერე დაფნის რტოს ფიალის გვერდით ვდებდით. „დაუკარით! ჯერ ხომ სისხლი გვიდუღს ძარღვში, ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია“. პირველად სიცილი მაშინ აგვიტყდა, რეპეტიციებზე მოსმენილი „გაფრინდი, შავო მერცხალო“-ს ნაცვლად ჩაბნელებულ დარბაზში „ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა“ რომ გაისმა (უფროსკლასელი, ვისაც საღამოს მუსიკალურად გაფორმება დაავალეს, სუსტი აღმოჩნდა ორნითოლოგიაში). მერე კი ერთმა მოსწავლემ, ალბათ მღელვარებისგან, ხმელი დაფნის რტო ფიალას ზემოდან დაადო. მეორემ იფიქრა, ალბათ უდროოდ დაღუპულ პოეტებს პატივი ასე უნდა მივაგოთო და თვითონაც იგივე გაიმეორა. დაფნის რტოები ატკაცუნდა და მთელი დარბაზი კვამლში გაეხვა.

სწორედ ეს სცენა გამახსენდა, მიქელანჯელო ანტონიონის „Blow-Up” პირველად რომ ვნახე.

ზოგადად, ზეიმი კი კარგი რამაა, მაგრამ თუ სასკოლო ზეიმის კონცეფცია ისევე ვერ გასცდება დეკლამაციას, როგორც ათწლეულების წინ, თუ მოსწავლეები მხოლოდ პატარა დეკლამატორები იქნებიან და არავინ იზრუნებს მათ საზეიმო განწყობაზე, ნამდვილ სიხარულსა და კმაყოფილებაზე, მაშინ არც არაფერი შეიცვლება სკოლებში. ყველაზე კარგი მასწავლებლებიც კი უნებურად ისევ გაიმეორებენ ძველ შეცდომებს – ისევ შეაშინებენ მოსწავლეებს, დათრგუნავენ, წარმოსახვას შეუზღუდავენ, წიგნების კითხვისა და ცვლილებების სურვილს გაუქრობენ.

თანამედროვე ქართველ პოეტებთან შეხვედრა არ გამართულა. მეგობარი კიდევ ერთხელ მენდო. ჩემი წარმოდგენით, წიგნების გადაშლა და ლექსების წაკითხვა საკმარისი იქნებოდა. მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნებისთვის. სიხარულისთვის.

რამდენად უსაფრთხოა ბავშვისთვის ის გარემო, სადაც ცხოვრობს? რა როლი აკისრია მშობელს, ოჯახსა და სასკოლო თემს უსაფრთხო გარემოს შექმნაში? ყველა ბავშვს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს განათლება სკოლაში?

სობის შეთხვევაში, გოგონები წყვეტენ სკოლაში სიარულს.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრის ინფორმაციით, 18 წლამდე გათხოვილი ქალების უმრავლესობა ვერ ახერხებს საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებას.

ბავშვის შრომა: 2015 წლის მაისში სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა ჩაატარა თვისებრივი კვლევა თემაზე, რა გავლენას ახდენს საქართველოში არსებული უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. გამოიკითხა რამდენიმე ფოკუსჯგუფი და ჩატარდა ინტერვიუ დირექტორებთან, მასწავლებლებსა და ექსპერტებთან.

კვლევის პირველადი მიგნება ისაა, რომ ადრეულ ქორწინებასთან ერთად, ბავშვის შრომა ხშირად ხდება სკოლის მიტოვების მიზეზი. ბავშვები ჩართულები არიან საოჯახო მეურნეობებში და ხშირად აცდენენ გაკვეთილებს. ისინი ეხმარებიან მშობლებს და მათთან ერთად იბრძვიან საარსებო წყაროს მოპოვებისთვის. ეს ბრძოლა კი ბავშვისგან სკოლის მიტოვებას ან გაკვეთილების ხშირ გაცდენას ითხოვს.

ბავშვის შრომა საოჯახო მეურნეობებში მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის. როგორც ბავშვთა შრომის აღმოფხვრის საერთაშორისო პროგრამის დირექტორი კონსტანს ტომასი (Constance Thomas) აღნიშნავს, საოჯახო მეურნეობებში ბავშვების დასაქმება არა მხოლოდ სერიოზული დარღვევაა, არამედ აფერხებს ქვეყნებისა და მსოფლიოს განვითარებას.

საქართველოს კანონმდებლობა

საქართველო მიერთებულია საერთაშორისო კონვენციებს. ჩვენს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ყველა მოქალაქეს აქვს განათლების მიღების უფლება და ზოგადი განათლება ქვეყანაში უფასოა. 2002 წლის 18 მაისს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა 182-ე კონვენციის „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების კრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ“ რატიფიცირება. დოკუმენტში ბავშვთა შრომის შემცირების გზად მიჩნეულია უფასო საბაზო და პროფესიული განათლების უზრუნველყოფა იმ ბავშვებისთვის, რომლებმაც თავი დააღწიეს ამგვარ შრომას.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ასევე განსაზღვრავს შრომითი საქმიანობისა და ქორწინებისთვის შესაბამის ასაკს. შრომითი საქმიანობა და ქორწინება 16 წლამდე აკრძალულია. 16 წლის მოქალაქის ქორწინებისთვის



უსაფრთხო სკოლის შექმნის პროცესი უწყვეტია. არ შეიძლება ითქვას, რომ უსაფრთხო სასკოლო გარემო შეიქმნა და პროცესი დასრულებულია. სკოლა მხარდაჭერის გარეშე უსაფრთხოების პრობლემას ვერ გაუმკლავდება.

საჭიროა მშობლის ნებართვა, ხოლო შრომითმა საქმიანობამ მოზარდს ხელი არ უნდა შეუშალოს განათლების მიღებაში.

რატომაა ასე მაღალი სკოლის მიტოვების მაჩვენებელი?

კითხვა რიტორიკულია. მიზეზის გარკვევა ადვილი არაა. მკვლევარები გამოყოფენ სკოლის მიტოვების მიზეზების რამდენიმე კატეგორიას. ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის მკვლევარი რობერტ ბალფანცი (Robert Balfanz) ოთხ მიზეზზე საუბრობს:

1. მოსწავლეები სკოლას ტოვებენ პირადი ცხოვრების გამო. მიზეზი სკოლის გარეთაა. ეს შეიძლება იყოს ნაადრევი ქორწინება (ორსულობა), მუშაობა ოჯახის დახმარების მიზნით.
2. მოსწავლისთვის სწავლა მოსაწყენი გახდა, ის თვლის, რომ სასკოლო ატესტატის გარეშეც შეძლებს ცხოვრების გზის პოვნას. ის სკოლიდან „ქრება“.
3. დაბალი აკადემიური მოსწრებისა და რთული ქცევის მქონე მოსწავლის სკოლიდან წასვლა ან სხვა სკოლაში გადასვლა წახალისებულია სკოლის მიერ.
4. მოსწავლე სკოლაში წარუმატებელია, სკოლა კი ვერ ეხმარება მას რეალიზებაში. ზრდასრულობისასაც უჭირს ადამიანს სკოლიდან გამოყოლილი ,,წარუმატებლობის სინდრომის“ დაძლევა.

მოსწავლის მიერ სკოლის მიტოვება მთელ საზოგადოებაზე ახდენს გავლენას. არასრული განათლების მქონე, საზოგადოებისგან გარიყულ, იზოლირებულად მცხოვრებ მოქალაქეს ნაკლები შემოსავალი აქვს, ნაკლებ გადასახადს იხდის, ან საერთოდ არ იხდის. საბოლოო ჯამში, მისი რჩენა ქვეყნის საქმეა. სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებასა და განათლებას შორის პირდაპირ კავშირს არაერთი მეცნიერი ამტკიცებს. მათი აზრით, სკოლაში შეძენილი კოგნიტური უნარები და ეკონომიკის ზრდა პირდაპირ კავშირშია (ჰანუშეკი 2008).

ამ უნარების განვითარების ერთადერთ ადგილად საქართველოში სკოლა რჩება. როგორც ილია ამბობდა: „სწავლა-განათლება თითონ არის სათავე სიმდიდრისა, მაშასადამე, აქ არაფრის დაზოგვა არ უნდა, რომ ამ სათავიდან სიმდიდრის წყარო მოვადინოთ“.

როგორ აღმოვაჩინოთ სკოლის მიტოვების მაღალი რისკის მქონე ბავშვი?

დაბალი აკადემიური მიღწევის მქონე მოსწავლეების სკოლაში სიარულის მოტივაცია დაბალია. როდესაც ბავშვს შეამჩნევთ ქცევით პრობლემებს, ეს შეიძლება ჩაითვალოს სკოლის მიტოვების სიმპტომად.

გაკვეთილების ხშირი გაცდენა სკოლის მიტოვების ადრეულ სიგნალად შეიძლება ჩაითვალოს. გაცდენა ნიშანია, რომ მოსწავლეს სკოლაში სიარული არ მოსწონს, თავს უცხოდ გრძნობს და მშობლის ზრუნვა და ყურადღება აკლია.

ოჯახის შემოსავალი, მშობლების განათლება პირდაპირ კავშირშია მოსწავლის მიერ სკოლის მიტოვების მაჩვენებელთან. მოზარდზე ასევე აისახება მშობლის დამოკიდებულება სკოლის მიმართ. როდესაც მასწავლებელი ვერ ახერხებს მშობელთან ურთიერთობას ბავშვის პრობლემების მოსაგვარებლად, ესეც შეიძლება ჩაითვალოს სკოლის მიტოვების სიმპტომად.

უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა საქართველოში

არსებობს სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორი მიდგომა:

ა) პროცესზე დაფუძნებულ მიდგომას ზრუნვაზე ორიენტირებულ მიდგომასაც უწოდებენ. ის გულისხმობს სკოლაში მოსწავლეზე ორიენტირებული კლიმატის შექმნას, მოსწავლეების მხარდაჭერის მექანიზმების ამოქმედებას, ტრენინგებს, კონსულტაციებსა და სხვადასხვა სასკოლო თუ სათემო აქტივობებს.

ბ) პროდუქტზე დაფუძნებულ მიდგომას კონტროლზე ორიენტირებულ მიდგომასაც უწოდებენ. ამ დროს ხორციელდება პრობლემის მოკლევადიან გადაჭრაზე ორიენტირებული ღონისძიებები, მაგალითად: სკოლის უსაფრთხოების დაცვა კამერებით, დეტექტორებით, დარაჯით, მანდატურითა და დისციპლინური სახდელების ამოქმედებით.

(ბუჩერი და მენინგი, 2005).

საქართველოში უსაფრთხო სკოლის კონცეფცია პრიორი-

ტეტს მოსწავლის ფიზიკურ უსაფრთხოებას ანიჭებს. ამ მიზნით საქართველოში ამოქმედდა მანდატურის ინსტიტუტი, სკოლაში დამონტაჟდა ვიდეოკამერები და რიგ სკოლებში მკაცრად კონტროლდება უცხო პირების შესვლა. უსაფრთხო სკოლის მოქმედი კონცეფცია არ ითვალისწინებს სკოლის თემის წარმომადგენლების ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში. ამ ღონისძიებებმა შეასუსტა სკოლასა და თემს შორის ისედაც მყიფე კავშირები.

სკოლის მიტოვება კონტროლზე ორიენტირებული მიდგომებით ვერ შემცირდება. მოსწავლის უსაფრთხოებაზე გავლენას ახდენს ოჯახისა და სკოლის თემის კულტურა და ტრადიციები, შემოსავალი და მშობლების განათლება. სკოლაში, სადაც დისციპლინური სახდელები წესრიგის დამყარების ერთადერთი რეგულაციაა, სკოლის მიტოვების მაჩვენებელი ვერ შემცირდება. ვიდეოკამერას, მანდატურსა და დარაჯს არ შეუძლიათ აკონტროლონ და მართონ ის გარემო, სადაც მოსწავლე ცხოვრობს.

როგორ შევამციროთ სკოლის მიტოვების მაჩვენებელი?

სკოლის ბაზაზე მხარდაჭერის მექანიზმები უნდა ასახავდეს კონკრეტულ სკოლაში აღმოჩენილ კონკრეტულ საჭიროებებს.

თუ არასწრულწლოვანი გოგონები თხოვდებიან და სწავლაზე უარს ამბობენ, არასრულწლოვნები აცდენენ სკოლას საოჯახო შრომითი საქმიანობის გამო, უნდა ვივარაუდოთ,

რომ სკოლა და სკოლის თემი ტოლერანტულია ამ ფაქტების მიმართ. თითოეულ მოსწავლეს, რომელიც სწავლას თავს ანებებს, მომავალში ძალიან გაუჭირდება თავის დამკვიდრება და თვითრეალიზება. ამ პრობლემაზე საუბრისას ხშირად ადამიანები ერთმანეთს ადანაშაულებენ. ამბობენ, რომ მოსწავლე უპასუხისმგებლო და ზარმაცია, მშობლებმა უნდა აიღონ მეტი პასუხისმგებლობა, მასწავლებლებმა უკეთ უნდა ასწავლონ, ადმინისტრაციამ უნდა აკონტროლოს მოსწავლის ქცევა. მაგრამ ხშირად გვავიწყდება, რა უნდა გავაკეთოთ, რომ სკოლის მიტოვების მაჩვენებელი შემცირდეს. გამოსავალი სკოლასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის გაჯანსაღებაშია.

სასურველია, სკოლაში ან თემში შეიქმნას სასწავლო ცენტრები, სადაც სკოლიდან წასულ მოსწავლეებს სწავლის საშუალება ექნებათ, სადაც შეისწავლიან იმ საკითხებს, რისი სწავლაც სკოლაში ვერ შეძლეს.

ასევე მნიშვნელოვანია ასეთი მოსწავლეებისთვის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, საზაფხულო პროგრამებში ჩართვა.

ბუნებრივია, ამის განხორციელება სკოლას დამოუკიდებლად არ შეუძლია, რადგან ამ საქმეს სჭირდება დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსები. ამასთან ერთად, წარმატებისთვის მნიშვნელოვანია, საზაფხულო სკოლა, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება წარმოადგენდეს საზოგადოების ინტერესს. ამიტომაა აუცილებელი სკოლების ღიაობა ბიზნესის, სათემო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების და ახალგაზრდული ჯგუფების მიმართ. ასევე მნიშვნელოვანია მედიასთან თანამშრომლობა, რომ საზოგადოებამ მეტი იცოდეს სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

გთავაზობთ სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ მიდგომას (Stephens, 2004, p. 80):

1. სკოლაში უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელშიც შევლენ მასწავლებლები, მშობლები, თემის აქტიური წევრები;
2. სკოლაში უსაფრთხოების შესახებ მონაცემების მოგროვება (ინფორმაცია მოსწავლეთა შორის ფიზიკური დაპირისპირების, ოჯახური მდგომარეობის, სიღარიბის და ყველა იმ რისკის შესახებ, რაც შეიძლება არსებობდეს სასკოლო თემში);
3. მას შემდეგ, რაც სკოლა მოაგროვებს ინფორმაციას, სამუშაო ჯგუფმა უნდა შექმნას კონკრეტული სკოლის უსაფრთხოების სტრატეგია და დაგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები;
4. აუცილებელია, სამუშაო ჯგუფმა შეაფასოს, შერჩეული ღონისძიებები რამდენად შეესაბამება კანონს, ხომ არ ირღვევა ბავშვის უფლება. ამ მხრივ სკოლებს შეიძლება დაეხმარონ საგანმანათლებლო რესურსცენტრის იურისტი და რეგიონებში მოქმედი უფასო იურიდიული ცენტრები (მაგალითად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის რეგიონული ოფისები).
5. სკოლაში უნდა ჩატარდეს საჯარო შეხვედრა, სანამ უსაფრთხო სკოლის პროგრამა დაამტკიცდება. მნიშვნელოვანია, გეგმა განხილულ იქნეს საჯარო შეხვედრაზე, სადაც მოიწვევენ მშობლებს, ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს.
6. სკოლამ გეგმა უნდა განაახლოს წელიწადში ერთხელ, საჭიროების მიხედვით.

დე, ბოლოს

რთულია წონასწორობის დაცვა უსაფრთხო სკოლასა და მზრუნველ სკოლას შორის. აუცილებელია ისეთი სასკოლო გარემოს შექმნა, რომელიც არ იქნება ტოლერანტული ბულინგის, ფიზიკური დაპირისპირების მიმართ. ამავე დროს სკოლამ უნდა შეძლოს ბავშვთა შრომისა და ადრეული ქორწინების მიმართ თემის დამოკიდებულების შეცვლა, მისი ცნობიერების ამაღლება.

უსაფრთხო სკოლის შექმნის პროცესი უწყვეტია. არ შეიძლება ითქვას, რომ უსაფრთხო სასკოლო გარემო შეიქმნა და პროცესი დასრულებულია. სკოლა მხარდაჭერის გარეშე უსაფრთხოების პრობლემას ვერ გაუმკლავდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაია ბარქაია, „საქართველო და ადრეული ქორწინება“, თბილისი, გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2013
2. სიმონ ჯანაშია, სოფიო გორგოძე; უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის დოკუმენტი, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2011
3. „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში, სტატისტიკური კრებული“, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2015
4. Balfanz R; Fox J, Early Warning Systems Foundational Research and Lessons from the Field Johns Hopkins Univ. National Governors Association, 2011
5. Education and Economic Growth E A Hanushek, Stanford University, Stanford, CA, USA L Wo¨ ßmann, University of Munich, Munich, Germany, ნანახია 2016 წლის 25 იანვარს
6. http://www.ilo.org/global/about-the-ilo/newsroom/news/WCMS_215170/lang--en/index.htm ნანახია 2016 წლის 25 იანვარს
7. http://dropoutprevention.org/effective-strategies/safe-learning-environments/ ნანახია 2016 წლის 25 იანვარს
8. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/Demografiuli%20Vitareba%20SaqartveloSi-Krebuli%202015.pdf ნანახია 2016 წლის 25 იანვარს
9. http://www.ilo.org/global/about-the-ilo/newsroom/news/WCMS_215170/lang--en/index.htm ნანახია 2016 წლის 25 იანვარს

წერის ათვისებისათვის ინკლუზიურ საკლასო ოთახში. მარია მონტესორის მეთოდი

მარიამ მოდუაძე

„ინკლუზიური განათლება“ იდეალური მიზნისკენ მავალი ჩართულობის განათლებაა, რომელიც ყველა ჩვენგანისაგან მუხლჩაუხრელ შრომას ითხოვს. თუმცა ინკლუზიური სასწავლო გარემო პედაგოგებს არაერთი გამოწვევის წინაშე აყენებს. მათ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოახერხონ არადისკრიმინაციული სასწავლო სივრცის შექმნა და ყველა მოსწავლისათვის თანაბარი განათლების მიცემა, რაც ნამდვილად არ არის იოლი პროცესი. განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის წერის უნარ-ჩვევების გამომუშავება და განვითარება.

აღიარებულია, რომ წერა რთულად ორგანიზებული ფსიქიკური ოპერაციაა, რომლის დაუფლება მრავალი უნარის კოორდინირებულ განვითარებას გულისხმობს და ამ უნარის ათვისება წარმოადგენს გაცნობიერებულ აქტს, რომლის დაუფლებაც სპეციალურად დაგეგმილი დასწავლის პროცესში ხორციელდება, ამავდროულად მოითხოვს წინდაწინ ტექნიკურ გავარჯიშებას და ავტომატიზებულ პროცესად იგი მხოლოდ გარკვეული დროისა და გაწაფვის შემდეგ გადაიქცევა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას წერის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული ტიპის სირთულეები იკვეთება. მაგალითისთვის განვიხილავთ რამდენიმე შემთხვევას (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა სახელდება პირობითობის პრინციპს ექვემდებარება):

გაგის შემთხვევა – დიაგნოზი: აუტისტური სპექტრის აშლილობა. ასაკი – 11 წლის. გაგის უჭირს ასოების გრაფიკული გამოსახულების სწორად მოხაზვა – ფორმის, ზომის, დახრილობის ზუსტად გადმოცემა; ეშლება მსგავსი ასოების „შ“ და „წ“, „ძ“ და „ხ“ ჩაწერა; სირთულეს აწყდება ასოების რვეულის სიბრტყესა და ბადეში მოთავსებისას (წერას იწყებს რვეულის შუაში, ასოები დიდი ზომისაა და არ ეტევა ბადეში, ყურადღებას არ აქცევს ბადეს, ასოებს შორის დიდია ინტერვალი, ან პირიქით, ასოები შეტყუპებულად არის მოცემული); სიტყვების ჩაწერისას ტოვებს, ანაცვლებს ცალკეულ ასოებს და მარცვლებს, სიტყვები დაუსრულებელია; წინადადების ჩაწერისას ტოვებს ცალკეულ სიტყვებს; წერისას აღენიშნება ჯდომის უცნაური პოზა, თვალში საცემია რვეულის უჩვეულო განლაგებაც; თუმცა გაგის შეუძლია კომპიუტერზე ტექსტის თავისუფლად აკრეფა. მას მშობლებისაგან დამოუკიდებლად შეუსწავლია ინგლისური და რუსული ასოების ვიზუალური ხატები, აქვე უნდა ითქვას, რომ გაგი არკვევს მოსმენილი სიტყვების მნიშვნელობებს, საუბრობს უაქცენტოდ რუსულად, ხარვეზებით – ინგლისურად, მაგრამ მოსმენილის ან ნათქვამის ფურცელზე გადატანა არასდროს უცდია და თვლის, რომ არ შეუძლია.

ლუკას შემთხვევა – დიაგნოზი: ქცევითი აშლილობა; ასაკი – 7 წლის. ლუკა მძიმე მოტორული უნარების მქონე ბავშვია. უჭირს ასოების გრაფიკული გამოსახულებების სწორად

> სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას წერის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული ტიპის სირთულეები იკვეთება.

მოხაზვა – ფორმის, ზომის, დახრილობის ზუსტად გადმოცემა; ეშლება მსგავსი ასოების ჩაწერა; სირთულეს აწყდება ასოების რვეულის სიბრტყესა და ბადეში მოთავსებისას (ასოები დიდი ზომისაა და არ ეტევა ბადეში, ყურადღებას არ აქცევს ბადეს, ასოებს შორის ინტერვალი დიდია); სიტყვების ჩაწერისას ტოვებს, ანაცვლებს ცალკეულ ასოებს და მარცვლებს, სიტყვები დაუსრულებელია; წინადადების ჩაწერისას ტოვებს ცალკეულ სიტყვებს; წერისას აღენიშნება ჯდომის უცნაური პოზა, თვალში საცემია რვეულის უჩვეულო განლაგებაც; შეუძლია ნებისმიერი სიტყვის გადაწერა, თუმცა ყურადღებას არ აქცევს ნაწერის მნიშვნელობას.

მართას შემთხვევა – დიაგნოზი: სმენადაქვეითებულობა (მესამე ხარისხის), გონებრივი ჩამორჩენა. ასაკი – 8 წლის. მართას ასოების გრაფიკული გამოსახულებების სწორად მოხაზვა არ უჭირს, თუმცა მისთვის რთულია ასოების დამახსოვრება; სიტყვების გადაწერისას ტოვებს, ანაცვლებს ცალკეულ ასოებს და მარცვლებს, სიტყვები დაუსრულებელია; წინადადების ჩაწერისას ტოვებს ცალკეულ სიტყვებს; უჭირს განსაზღვრა, თუ რა სიტყვა ჩაწერა, შესაბამისად, მისი წერის პროცესი სიტყვის შემადგენელი ცალკეული ასოს გადახატვას უფრო ჰგავს, ვიდრე წერით აქტივობას, რამდენადაც არ ხდება ჩაწერილი სიტყვისთვის შინაარსის მინიჭება).

როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევათა განზოგადება შესაძლებელია. ზემოთ დასახელებული თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი ხშირად განსაკუთრებულ მხარდაჭერას და სავარჯიშო პროგრამებს საჭიროებს როგორც წინადადების და სიტყვის ხმოვანი შემადგენლობის ანალიზის, ასევე ფონემების გრაფიკული გამოსახვის უნარების განვითარებისთვის. მათთან მუშაობისას მნიშვნელოვანია ჯდომის სწორი პოზის და საწერი საშუალების ხელში მოხერხებულად დაჭერის უზრუნველყოფა. მხოლოდ ცალკეული ასოების გრაფიკული გამოსახულების დასწავლაზე აქცენტი კი ამ ტიპის შემთხვევებში არასწორი იქნება. მოსწავლეს უნდა ავუხსნათ, რომ ასოების წერა იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც მისგან სიტყვა, სიტყვებისგან კი წინადადება იგება და რომ სწორედ მათი საშუალებითაა შესაძლებელი საკუთარი ნააზრევისა თუ განცდების გამოხატვა და გადმოცემა.

ინკლუზიური განათლების შესახებ არსებულ მასწავლებლის გზამკვლევში გამოყოფილია სიტყვის წერის პროცესის რამდენიმე ეტაპი:

1. სიტყვის შემადგენელ ერთეულთა ანალიზი – ხმოვანი ნაკადიდან მოსწავლემ უნდა გამოარჩიოს ის ერთეულები (მარცვლები და ბგერები), რისგანაც შედგება სიტყვა. მან უნდა განსაზღვროს, რომელია პირველი ბგერა, მომდევნო და ა.შ.
2. წინადადების და სიტყვის ხმოვანი შემადგენლობის ანალიზი – ხმოვანი ერთეულების გარჩევის შემდეგ მნიშვნელოვანია ამ ერთეულების ცალკეულ ფონემებად იდენტიფიცირება და მსგავსი ჟღერადობის ფონემებისგან განსხვავება. მაგ., დაზუსტება, რომ სიტყვის „ქალი“ შემადგენელი ფონემებია ქ, ა, ლ, ი და არა ბ, ა, ლ, ი.

3. **ფონემების გრაფიკულ გამოსახულებებად (გრაფემებად) გადაყვანა** – ამისთვის მოსწავლეს კარგად უნდა ჰქონდეს დასწავლილი ფონემების შესაბამისი გამოსახულებები. მოსწავლემ უნდა აღიდგინოს ფონემის სურათ-ხატი და ხელის შესაბამისი მოძრაობით გამოსახოს საჭირო ასო ანუ შეძლოს ფონემების ჩაწერა.
4. **სიტყვის შემადგენელი ერთეულების თანმიმდევრობის დამახსოვრება** და მათი რიგის სწორად ჩაწერა. წინადადების წერისას კი სიტყვების თანმიმდევრობის დაცვაც არის საჭირო.

აღიარებული ფაქტია, რომ ასოს სწორად გამოსაყვანად საჭიროა ნატიფმოტორული უნარი და აღნიშნულ გზამკვლევში ამ უნარების განვითარებისათვის, ასევე წერისა და ფონემატური ანალიზისთვის სხვადასხვა რჩევაა მოცემული, თუმცა გვერდი ვერ აევლება დიმიტრი უზნაძის თეორიას, რომლის თანახმად, ადამიანის (ჩვენს შემთხვევაში – **ბავშვის) ქცევას საფუძვლად უდევს განწყობა, რომელიც გაცნობიერებული, წარმოსახული სიტუაციაა**. მაშასადამე, ბავშვისთვის წერის განწყობის შესაქმნელად მოგვეთხოვება მის მიერ წარმოსახული სიტუაციის რამდენადმე მსგავსი რეალობის შექმნა.

სწორედ ამგვარი რეალობის შექმნა სცადა **მარია მონტესორიმ**, რომლის მეთოდი, იმ აზრიდან გამომდინარე, რომ აღზრდის ამოცანა მოსწავლის მთელი ძალების ამოქმედებაა, უყურადღებოდ არ ტოვებს შეგრძნებათა, აღქმის და მოტორული პროცესების ერთობლიობას. მის ე.წ. „ნომენკლატურის გაკვეთილებში“ ერთიანდება გეომეტრიულ ფორმებსა და ფერებზე ვარჯიში, რომელიც თანდათანობით რთულდება მასწავლებლის მეთვალყურეობით გარე სამყაროზე დაკვირვებით, ასევე ამოჭრილ გეომეტრიულ ფიგურებსა და ხატვით წინასწარ შემუშავებული სისტემის თანახმად (მაგ.: შავი, შემდეგ კი ფერადი დაშტრიხვის მეთოდით), ფერთა სახელდებაზე თამაშით. ეს ყველაფერი თავს იყრის არითმეტიკული მიზნისკენ მავალ სავარჯიშოებში (ციფრებით, „ნულით“, რომელსაც აქვს მნიშვნელობა და არაფერი სულაც არ არის, ციფრების დამახსოვრებაზე ვარჯიშით) და საბოლოოდ გადაიზრდება ასე ფართოდ ცნობილ **წერა-კითხვის მეთოდში**, რომლის ფსიქოლოგიურ საფუძვლად მოიზრება წერის ფსიქოფიზიოლოგიური ბუნება და ანალიზი იმ მოტორული მექანიზმებისა, რომლებიც წერის პროცესში მონაწილეობენ. აღნიშნული ანალიზი მიგვითითებს, რომ ბავშვებს წერა ასო-ბგერათა არცოდნის გამო კი არ უჭირთ, არამედ იმიტომ, რომ მათ ჯერ კიდევ არასაკმარისად აქვთ განვთარებული წერის პროცესში მონაწილე ორგანოები (მაგალითად, შესაბამისი კუნთები ხელის მტევნისა). შესაბამისად, წერის საწყისი ამოცანაა, რომ წინასწარ შერჩეული სავარჯიშოებით წერის პროცესისთვის სწორედ ისინი განვაწყოთ. ამისათვის კი აი, რას აკეთებს მონტესორი:

- მოცემული მეთოდით წერის სწავლებას იწყებს გეომეტრიული ფიგურების ხატვით;
- ბავშვი გადადის მათ დაშტრიხვა-შეფერადებაზე;
- ბავშვი იწყებს წინასწარ დაწერილ ზუმფარის ქაღალდზე ამოჭრილ, შემდეგ კი მუყაოზე დაკრულ ასო-ბგერებზე თითების შემოყოლებას, რითაც მას მხედველობითთან ერთად უყალიბდება კუნთოვან-ტაქტილური ასოციაცია;

კითხვა წმინდა მექანიკური პროცესია, რომელიც მხედველობით აღქმას ბგერად გარდაქმნის. და იგი, აღქმის გაგებით, დაწერილი სიტყვების დახმარებით იწყება მას შემდეგ, რაც წერა-კითხვის შესწავლის ერთიანი პროცესი ხორციელდება. ამ მეთოდის თავისებურება არის ის, რომ წერას ბავშვები წერის გზით კი არ სწავლობენ, არამედ წერისთვის მოსამზადებელი სავარჯიშოებით.

- მხოლოდ ამის შემდეგ ვასახელებთ შესაბამის ასო-ბგერებს, შედეგად კი მხედველობითი და კუნთოვან-ტაქტილური შეგრძნება ერწყმის სმენით შეგრძნებას;
- ბოლოს კი სათითაოდ გამოჭრილი ასოებისაგან ბავშვები სიტყვების შედგენაზე ვარჯიშობენ.

ამ გზით წერის შესწავლის პროცესი მჭიდროდ უკავშირდება კითხვის შესწავლას. კითხვა წმინდა მექანიკური პროცესია, რომელიც მხედველობით აღქმას ბგერად გარდაქმნის. და იგი, აღქმის გაგებით, დაწერილი სიტყვების დახმარებით იწყება მას შემდეგ, რაც წერა-კითხვის შესწავლის ერთიანი პროცესი ხორციელდება. **ამ მეთოდის თავისებურება არის ის, რომ წერას ბავშვები წერის გზით კი არ სწავლობენ, არამედ წერისთვის მოსამზადებელი სავარჯიშოებით** (უმეტესად – ხატვისა და დაშტრიხვის მეთოდით). ისინი წერას კალმის ხელში აღებამდე ეუფლებიან. ამიტომაც წერენ მოულოდნელად ანდა თვითშემოქმედებითად, მას შემდეგ, რაც მასწავლებელი დაშტრიხვის სავარჯიშოებზე დაკვირვებით დარწმუნდება, რომ მათი კუნთოვანი მექანიზმი საკმარისად არის მომზადებული წერის პროცესისათვის და ბავშვებს შესთავაზებს ასო-ბგერის ან სიტყვის ჩაწერას. წერა-კითხვის შესწავლის მთელი პროცესი კი, მოსამზადებელი სავარჯიშოებით დაწყებული და დამოუკიდებელი წერით დამთავრებული, მოითხოვს საოცრად მცირე დროს. მარია მონტესორის მტკიცებით, ოთხ წლამდე ასაკის, სხვებისგან მოძულებულმა და მის მიერ შეკედლებულმა ორმა პატარამ წერა ისე ისწავლა, რომ სულ რაღაც თვე-ნახევარში შეძლეს, ყველა თავისი თანატოლის სახელით ყოველივე საუკეთესო ესურვებინათ და მადლობა გადაეხადათ ინჟინერ ტალამოსათვის. მონტესორის წიგნში არსებული ფოტომასალა და ილუსტრაციები მკითხველს სავსებით არწმუნებს წერილების კალიგრაფიული სიზუსტით შესრულებაში მაშინ, როდესაც სხვა დაწყებითი სკოლების 6-7 წლის მოსწავლეები მანამდე არსებული მეთოდებით მთელი წლის მანძილზე ეუფლებიან გამართულად წერასა და კითხვას.

უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ასაკობრივი განსხვავებებისა, აღნიშნული მეთოდები წარმატებით ერგება ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ჩვენს შემთხვევას, ასე რომ, ამ საშუალებათა გამოყენება სავსებით შესაძლებელია დღევანდელ სასწავლო სივრცეში, რომელსაც გვიქმნის და გვთავაზობს ინკლუზიაზე დაფუძნებული მიდგომა, თანამედროვე რესურსოთახების არსებობის პირობებში ხომ – მით უფრო. ზუმფარის ქაღალდი კი ბევრი სხვა ტიპის, მაგ., ფერადი ხავერდის ან გოფრირებული ქაღალდებით, პლასტილინით, შეფერილი თეთრი თიხით ან თაბაშირით შეიძლება ჩანაცვლდეს და მათ გამოყენებაში საგნის პედაგოგს სპეცმასწავლებელი დაეხმაროს. შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისთვის, საინტერესო, სახალისო და ეფექტური წერის პროცესის შექმნისთვის კი აუცილებელია რაც შეიძლება მეტი პოზიტიური ემოცია, სხვადასხვა საგნების ჩვენებით ან ამბის მოსმენით წარმოსახვის განვითარება, მრავალმხრივი ხედვის ჩამოყალიბება და მოსწავლეთათავის იმის შთაგონება, რომ შემოქმედება ყველაზე უძლეველი ძალაა, რომელიც ჩვენში ცხოვრობს და ზღაპრული უკვდავებისთვის გვამზადებს.

წერის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის დღესდღეობით არსებული სხვა არაერთი საინტერესო რჩევა ზემოხსენებულ გზამკვლევშია მოთავსებული.

საკლასო მენეჯმენტი

ცვეტა ბერძენიშვილი

იმ კვლევის შემდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეთა მიღწევებთან დაკავშირებული ფაქტორების შესწავლას, საკლასო მენეჯმენტი გამოიყოფა როგორც ცვლადი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს. საკლასო მენეჯმენტის ცოდნა და მისი სათანადოდ გამოყენება მნიშვნელოვანი ფაქტორებია მასწავლებლის საქმიანობის დასაუფლებლად. მენეჯმენტთან დაკავშირებული პრობლემებით გამოწვეული სტრესი და გადაღლილობა გამოფიტვის წინაპირობაა მოსწავლისთვის.

რა ხდის მენეჯმენტს ესოდენ საბედისწეროს?

კლასი გარემოს განსაკუთრებული ტიპია. მას განსხვავებული თავისებურებები აქვს, რომლებიც გავლენას ახდენს კლასის წევრებზე, განურჩევლად იმისა, როგორაა განლაგებული მერხები ან რა მოლოდინი აქვს მასწავლებელს განათლებასთან დაკავშირებით. კლასები მრავალგანზომილებიანია. გადატვირთულია ადამიანებით, ამოცანებით, დროის წნეხით. განსხვავებული მიზნების, საშუალებების, უნარების მქონე მრავალმა ადამიანმა უნდა გაიზიაროს ერთი და იგივე რესურსები, შეასრულოს სხვადასხვა ამოცანა, სრულყოფილად გამოიყენოს მასალა, შევიდეს ოთახში, გავიდეს ოთახიდან და ა.შ. გარდა ამისა, სხვადასხვა გავლენას ახდენს აქტივობებიც. სუსტი უნარების მქონე მოსწავლეებზე კონცენტრირებამ შესაძლოა გაზარდოს მათი მონაწილეობა და ჩართულობა, მაგრამ იმავდროულად გამოიწვიოს დისკუსიის შენელება და მიგვიყვანოს მენეჯმენტთან დაკავშირებულ პრობლემებამდე, თუ ეს ბავშვები კითხვებზე პასუხის გაცემას ვერ ახერხებენ. ყველაფერი ერთდროულად ხდება და ტემპიც ძალიან მაღალია. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ყოველდღიურად უზარმაზარი ინფორმაციის მიმოცვლა მიმდინარეობს.

სისწრაფისა და ინტენსივობის გამო მოვლენების პროგნოზირება შეუძლებელია. მაშინაც კი, როცა ყველაფერი დაგეგმილი და გაწერილია და პროექტორიც ადგილზეა, პროექტორის ნათურის გადაწვამ ან კლასის გარეთ ატეხილმა ხმაურმა შესაძლოა ჩაშალოს გაკვეთილი. ვინაიდან საკლასო ოთახი საზოგადოებრივი ადგილია, როგორ უმკლავდება მასწავლებელი ასეთ მოულოდნელობებს, საყოველთაო განსჯის საგანი ხდება. მოსწავლეები ყოველთვის ამჩნევენ, როცა მასწავლებელს „ეშინია“, ამჩნევენ ტენდენციურობასა და „ფავორიტიზმს“. დაბოლოს, ყველა კლასს აქვს ისტორია. მასწავლებლისა თუ მოსწავლის ქმედება ნაწილობრივ იმაზეცაა დამოკიდებული, რა ხდებოდა წინათ. გაკვეთილზე მოსწავლის მეთხუთმეტე დაგვიანებას მასწავლებლის სულ სხვაგვარი რეაქცია მოჰყვება, ვიდრე პირველს. და კიდევ, სასწავლო წლის პირველი კვირები გავლენას ახდენს მთელ წელზე.

არც ერთი აქტივობა არ იქნება წარმატებული მისი წევრების თანამშრომლობის გარეშე. მაშინაც კი, როცა ზოგიერთი წევრი აქტივობაში არ მონაწილეობს, მათ უნდა მისცენ დანარჩენებს მუშაობის საშუალება (ყველას გვინახავს ისეთი მოსწავლეები, მთელ კლასს რომ აფერხებენ). ასე რომ, მასწავლებლებისთვის მენეჯმენტის მთავარი ამოცანა კლასში წესრიგისა და ჰარმონიის დამყარებაა საკლასო აქტივობისას მოსწავლეთა თანამშრომლობის შენარჩუნების გზით. კლასის მრავალგანზომილებიანობის, სპონტანურობის, სწრაფი ტემპის, არაპროგნოზირებადობის, საჯაროობისა და ისტორიების

საკლასო მენეჯმენტის ცოდნა და მისი სათანადოდ გამოყენება მნიშვნელოვანი ფაქტორებია მასწავლებლის საქმიანობის დასაუფლებლად. მენეჯმენტთან დაკავშირებული პრობლემებით გამოწვეული სტრესი და გადაღლილობა გამოფიტვის წინაპირობაა მოსწავლისთვის.

გათვალისწინებით, ეს საკმაოდ რთული ამოცანაა.

მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა გაცილებით მეტია, ვიდრე ცუდ ქცევასთან ეფექტური გამკლავება. ის გულისხმობს აქტივობათა დაგეგმვას, მასალის მომზადებას, მოსწავლისთვის ადეკვატური ქცევითი და აკადემიური მოთხოვნების წაყენებას, მკაფიო სიგნალის გაცემას, ცვლილებათა უმტკივნეულოდ განხორციელებას, პრობლემების წინასწარ განსაზღვრას და თავიდან აცილებას, აქტივობათა შერჩევას და ისეთი თანმიმდევრობით განხორციელებას, რომ ინტერესი არ განელდეს და ა.შ. ამასთან, სხვადასხვა აქტივობა სხვადასხვა სახის მენეჯერულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. მაგალითად, ახალი და რთული აქტივობა უფრო საშიში იქნება კლასისთვის, ვიდრე კარგად ნაცნობი და მარტივი. აქტივობიდან აქტივობამდე მოსწავლეთა ადეკვატური მონაწილეობაც იცვლება.

რა თქმა უნდა, დაწყებითი კლასის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობის დამყარება სულ სხვა ამოცანა, ვიდრე მაღალი კლასების მოსწავლეებს შორის. საბავშვო ბაღში და დაწყებითი სკოლის პირველ კლასებში მნიშვნელოვანია წესებისა და პროცედურების პირდაპირი სწავლება. მომდევნო კლასებში საკლასო რუტინა თითქოს ავტომატურად ხორციელდება, მაგრამ ახალი პროცედურები შეიძლება პირდაპირ ისწავლებოდეს, ხოლო მთლიანად სისტემა მონიტორინგს და განმტკიცებას მოითხოვს.

დაწყებითი სკოლის დამთავრებისას ზოგიერთი მოსწავლე უარყოფითადაა განწყობილი ხელმძღვანელობის მიმართ, ეჭვის თვალით უყურებს მას. ამ ეტაპზე მენეჯმენტი ნაყოფიერად უნდა გაუმკლავდეს ამ ხელის შემშლელ ფაქტორებს და გაზარდოს იმ მოსწავლეთა მოტივაცია, რომლებიც ნაკლებად ემორჩილებიან მასწავლებლებს და უფრო მეტად საკუთარ სოციალურ ცხოვრებაზე არიან კონცენტრირებულნი. საშუალო სკოლის დამამთავრებელ კლასებში მთავარი საკითხები კურიკულუმის შედგენა, აკადემიური მასალის მოსწავლის ინტერესებსა და უნარებზე მორგება და თვითმენეჯერებად გახდომაში მათი დახმარებაა. ყოველი სემესტრის პირველი გაკვეთილები უნდა დაეთმოს კონკრეტული პროცედურების სწავლებას მასალისა და ინვენტარის ასათვისებლად, დავალებების შესასრულებლად. თუმცა მოსწავლეთა უმრავლესობამ იცის, რას ელიან მათგან.

საკლასო მენეჯმენტის მიზანი პოზიტიური, ნაყოფიერი სასწავლო გარემოს შენარჩუნებაა. თუმცა წესრიგი თავისთავად არ შეიძლება იყოს მიზანი. არაეთიკურია საკლასო მენეჯმენტის ტექნიკების გამოყენება მხოლოდ იმისთვის, რომ მოსწავლეები მორჩილად და ჩუმად ისხდნენ. რა საჭიროა ასეთი მუხლჩაუხრელი შრომა საკლასო მენეჯმენტის განსახორციელებლად? ამას, სულ მცირე, სამი მიზეზი აქვს:

მეტი დრო – სწავლას. თუ განსაზღვრავთ დღის განმავლობაში თითოეული აქტივობისთვის დათმობილ დროს, გაგიკვირდებათ, როცა აღმოაჩენთ, რა ცოტა დრო ეთმობა აქტუალურ სწავლებას. ყოველდღიურად უამრავი დრო იკარგება შეწყვეტინების, ხელის შემშლელი ფაქტორების, დაგვიანებული დასაწყისის, უხეში ცვლილებების გამო.

რეალურად, მოსწავლეები სწავლობენ მაშინ, როცა მეტი გზა არ აქვთ. სწავლისა და მასზე დახარჯული დროის შემსწავლელმა თითქმის ყველა კვლევამ აღმოაჩინა მკაფიო კავშირი დახარჯულ დროსა და მოსწავლის სწავლას შორის. ნასწავლ შინაარსსა და მოსწავლის სწავლას შორის კორელაცია, ფაქტობრივად, უფრო მაღალია, ვიდრე მასწავლებლის სპეციფიკურ ქცევასა და მოსწავლის სწავლას შორის. ამდენად, საკლასო მენეჯმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია, გაზარდოს სწავლისთვის რეალურად დათმობილი დრო. ამას ზოგჯერ დაწესებულ დროს უწოდებენ.

უბრალოდ სწავლისთვის მეტი დროის გამოყოფა ავტომატურად ვერ მიგვიყვანს წარმატებამდე. იმისთვის, რომ ღირებული იყოს, დრო ეფექტურად უნდა იქნეს გამოყენებული. მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის გადასამუშავებლად არჩეული გზა ცენტრალური ფაქტორია იმ საკითხის განსაზღვრისას, რას სწავლობენ და

იმახსოვრებენ ისინი. როგორც წესი, მოსწავლეები სწავლობენ იმას, რაშიც ვარჯიშობენ და რაზეც ფიქრობენ. სპეციფიკურ სასწავლო ამოცანებზე დახარჯულ დროს ხშირად უწოდებენ ჩართულობის ან ამოცანისთვის განკუთვნილ დროს.

თუმცა ჩართულობის დრო მაინც არ იძლევა სწავლის გარანტიას. მოსწავლეები შესაძლოა ძალიან წვალობდნენ რთული მასალის ათვისებისას ან არასწორ სასწავლო სტრატეგიებს იყენებდნენ. როდესაც ისინი წარმატებით მუშაობენ, ნამდვილად სწავლობენ და ესმით საკითხი, დახარჯულ დროს აკადემიურ სასწავლო დროს ვუწოდებთ.

საკლასო მენეჯმენტის მეორე მიზანია აკადემიური სასწავლო დროის გაზრდა ღირებულ და ადეკვატურ აქტივობებში მოსწავლეების აქტიური ჩართვით.

სწავლაში მოსწავლეების ჩართულობა დაწყებითი კლასებიდანვე იძლევა ეფექტს. რამდენიმე კვლევამ ცხადყო: პირველ კლასში მასწავლებლის ზრუნვა იმაზე, რომ მოსწავლე სამუშაოზე იყოს კონცენტრირებული, გაიზარდოს მისი შეუპოვრობა, მე-4 კლასამდე და უფრო მაღალ კლასებშიც მაღალი მიღწევების საწინდარია.

სწავლაში ჩართულობა. თითოეულ საკლასო აქტივობას მონაწილეობის თავისი წესი აქვს. ზოგჯერ ამ წესებს მკაფიოდ განსაზღვრავს მასწავლებელი, მაგრამ ხშირად ისინი იმპლიციტური და განუსაზღვრელია. მასწავლებლები და მოსწავლეები შესაძლოა ვერც კი აცნობიერებდნენ, რომ სხვადასხვა აქტივობის დროს სხვადასხვა წესს მისდევენ. მაგალითად, კითხვის დროს მოსწავლეს ევალება, ხელი ასწიოს და ისე გააკეთოს კომენტარი, სხვა დროს კი შეიძლება უბრალოდ თვალით ანიშნოს მასწავლებელს.

წესებს, რომლებიც ადგენს, ვინ უნდა ილაპარაკოს, რაზე და როდის, ვისთან და რამდენ ხანს, ხშირად მონაწილეობის სტრუქტურას უწოდებენ. იმისთვის, რომ განსაზღვრულ საქმიანობაში მათი მონაწილეობა წარმატებული იყოს, მოსწავლეები უნდა ჩასწვდნენ მონაწილეობის სტრუქტურას.

ზოგიერთ მოსწავლეს მონაწილეობის ნაკლები უნარი აქვს. მონაწილეობის სტრუქტურა, რომელსაც ისინი შინ სწავლობენ მშობლებთან, და-ძმასა და სხვებთან ურთიერთობისას, არ შეესატყვისება სასკოლო საქმიანობაში მონაწილეობის სტრუქტურას, მაგრამ მასწავლებლები ყოველთვის ვერ აცნობიერებენ ამ განსხვავებას. მათ ჰგონიათ, რომ ბავშვი ვერ ერგება სკოლას, არ იცის, როდის რა თქვას, უხალისოდ მონაწილეობს საკლასო აქტივობებში და ვერ ხვდებიან, რისი ბრალია ეს.

რა შეგვიძლია დავასკვნათ აქედან? იმისთვის, რომ შევასრულოთ საკლასო მენეჯმენტის მეორე მიზანი – ჩავრთოთ მოსწავლეები სწავლაში, უნდა დავრწმუნდეთ, რომ თითო-

მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა გაცილებით მეტია, ვიდრე ცუდ ქცევასთან ეფექტური გამკლავება. ის გულისხმობს აქტივობათა დაგეგმვას, მასალის მომზადებას, მოსწავლისთვის ადეკვატური ქცევითი და აკადემიური მოთხოვნების წაყენებას, მკაფიო სიგნალის გაცემას, ცვლილებათა უმტკივნეულოდ განხორციელებას, პრობლემების წინასწარ განსაზღვრას და თავიდან აცილებას, აქტივობათა შერჩევას და ისეთი თანმიმდევრობით განხორციელებას, რომ ინტერესი არ განელდეს.



ეულმა მოსწავლემ იცის, როგორ მიიღოს მონაწილეობა საკლასო აქტივობაში. საკვანძო საკითხია გაცნობიერება. როგორია თქვენი წესები და მოლოდინები? გასაგებია თუ არა ისინი თქვენი მოსწავლეებისთვის, შეესაბამება თუ არა მათ კულტურულ და ოჯახურ გამოცდილებას? რა დაუწერელი როლები და ღირებულებები შეიძლება მოქმედებდეს? მკაფიოდ უჩვენებთ თუ არა მონაწილეობის გზებს? ზოგიერთი მოსწავლისთვის, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას ქცევითი და ემოციური პრობლემები აქვს, შესაძლოა საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ქცევების პირდაპირი სწავლება და გავარჯიშება.

თვითმენეჯმენტის მენეჯმენტი. მენეჯმენტის სისტემის მესამე მიზანია, დავეხმაროთ მოსწავლეებს საკუთარი თავის უკეთ მართვაში. თუ მასწავლებლები ფოკუსირებას მოახდენენ მოსწავლეთა წესებისადმი მორჩილებაზე, ისინი მეტისმეტად ბევრ დროს დახარჯავენ სწავლება-სწავლის დროის მონიტორინგისა და შესწორებისთვის. მოსწავლეებს სკოლის დანიშნულებად და სკოლაში საკუთარ მოვალეობად მიაჩნიათ წესების დაცვა და არა აკადემიური ცოდნის სიღრმისეული წვდომა. კომპლექსური სწავლის სტრუქტურები, ისეთები, როგორებიცაა თანამშრომლობით ან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, მოსწავლის მხრივ თვითმენეჯმენტს მოითხოვს. წესებისადმი მორჩილება არ არის საკმარისი, რათა სწავლის ამ სტრუქტურებმა იმუშაოს.

მორჩილების მოთხოვნიდან თვითრეგულირებისა და თვითკონტროლის სწავლებაზე გადასვლა მნიშვნელოვანი წინ წადგმული ნაბიჯია საკლასო მენეჯმენტში. თვითკონტროლით მოსწავლეები პასუხისმგებლობის დემონსტრირებას ახდენენ – უნარისა, რომელიც გულისხმობს საკუთარი მოთხოვილებების დაკმაყოფილებას სხვათა უფლებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით. მოსწავლეები თვითკონტროლს არჩევანის გაკეთებით და ამ არჩევანის შედეგებთან გამკლავებით, მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრით, დროის მენეჯმენტის, სწავლისთვის კოლაბორაციით, დაპირისპირებათა მოგვარებითა და მშვიდობის დამყარებით, მასწავლებლებსა და თანაკლასელებთან ნდობის დამყარებით სწავლობენ.

თვითმენეჯმენტის განვითარების ხელშეწყობა ბევრ დროს მოითხოვს, მაგრამ მოსწავლეთათვის იმის სწავლება, როგორ იკისრონ პასუხისმგებლობა, გარჯად ღირს. როდესაც დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებლები კლასების ეფექტურ მენეჯმენტს კი ახდენენ, მაგრამ მოსწავლეთა თვითმენეჯმენტის განვითარებას არ ისახავენ მიზნად, როცა მათი მოსწავლეები ამ კარგად ორგანიზებულ კლასებში აღარ სხედან, დამოუკიდებლად მუშაობისას პრობლემები ექმნებათ.

ანა ჯანელიძე

წესები და პროცედურები კლასში

დაწყებით კლასებში მასწავლებლებს 20-30 მოსწავლის ხელმძღვანელობა უწევთ. ცხადია, ყველა პედაგოგს ერთნაირად არ შეუძლია, ბავშვებს განსხვავებული აქტივობები შეასრულებინოს. შესაბამისი წესებისა და პროცედურების გარეშე დიდი დრო იკარგება ერთსა და იმავე კითხვებზე პასუხის გაცემაში: „ფანქარი გამიტყდა, როგორ დავწერო?"; „დავამთავრე წერა, ახლა რა ვქნა?"...

საშუალო კლასებში მასწავლებლებს ასობით მოსწავლესთან აქვთ ურთიერთობა. ამ ასაკის მოსწავლეები უდიდეს მასალას გადიან; ხშირად ეჭვქვეშ აყენებენ მასწავლებლის ავტორიტეტს. წარმატებული მენეჯერები გეგმავენ პროცედურებს, აყალიბებენ წესებს, რათა ასეთ სიტუაციებს გაუმკლავდნენ.

პროცედურები. როგორ უნდა მოხდეს მასალისა და დავალებების განაწილება და შეგროვება? რა პირობებში შეუძლიათ მოსწავლეებს დატოვონ ოთახი? როგორ განისაზღვრება მათი შეფასება და ქულები? ინვენტარის გამოყენების რა წესები არსებობს ბუნებისმეტყველებისა თუ ხელოვნების გაკვეთილებზე? პროცედურა (ხშირად მას რუტინას უწოდებენ) აღწერს, როგორ უნდა შესრულდეს მოქმედება კლასში. პროცედურა კლასში რაიმე ქმედების შესრულების გზაა. მასწავლებლებს, წესრიგის დასამყარებლად, შემდეგი რუტინების განსაზღვრა სჭირდებათ:

1. **ადმინისტრაციული რუტინა** – დასწრება;
2. **მოსწავლეთა გადაადგილება** – კლასში შესვლა და კლასის დატოვება; მაგალითად, ტუალეტში წასვლა;
3. **საკლასო ოთახის დალაგება** – მცენარეების მორწყვა ან პირადი ნივთების შენახვა;
4. **გაკვეთილების წარმართვის რუტინა**, მაგალითად, როგორ უნდა შეგროვდეს მოსწავლეების ნამუშევრები და როგორ უნდა დაუბრუნდეთ ისინი მათ;
5. **ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის**, მაგალითად, როგორ უნდა მიიპყრო მასწავლებლის ყურადღება, როცა დახმარება გჭირდება;
6. **საუბარი მოსწავლეთა შორის** – დახმარება ან სოციალიზაცია.

ეს ექვსი რუტინა უნდა გამოიყენოთ როგორც ერთგვარი ჩარჩო საკლასო პროცედურებისა და რუტინების დაგეგმვისას.

წესები. წესები ეხება კლასში დაშვებულ და აკრძალულ აქტივობებს, ანუ რა შეიძლება გაკეთდეს და რა არ უნდა გაკეთდეს კლასში. პროცედურებისაგან განსხვავებით, წესები ყოველთვის დაწერილია და თვალსაჩინოდ არის გამოფენილი. წესების შემუშავებისას უნდა გაითვალისწინოთ, როგორი ატმოსფეროს შექმნა გსურთ. მოსწავლეთა რომელი ქცევა გამოგადგებათ მათი ეფექტიანად სწავლებისთვის? რა შეზღუდვები შეიძლება იყოს საჭირო მოსწავლეთა ქცევის სამართავად? თქვენ მიერ დადგენილი წესები უნდა შეესაბამებოდეს მთელ სკოლაში მოქმედ წესებსა და სწავლის პრინციპებს. მცირე ჯგუფების კვლევებიდან ვიცით, რომ მოსწავლეთათვის სასარგებლოა, როცა ისინი თანაკლასელებს უხსნიან მასალას. მოსწავლეები სხვათა სწავლებით სწავლობენ.

ურთიერთდაუხმარებლობის წესი შეიძლება არ შეესაბამებოდეს კარგად სწავლის პრინციპებს; ან, მაგალითად, წესმა „არ წაშალოთ წერისას!“ შეიძლება უბიძგოს მოსწავლეებს იმისკენ, რომ მეტი ყურადღება გაამახვილონ შეცდომების არდაშვებაზე, ვიდრე აზრის ნათლად გადმოცემაზე.

წესები პოზიტიური უნდა იყოს, ასევე მათ შესრულებაზე დაკვირვება უნდა შეიძლებოდეს. უმჯობესია, შეიმუშაოთ მრავალი საკითხის მომცველი რამდენიმე ზოგადი წესი, ვიდრე ჩამოწეროთ უამრავი ნებადართული თუ აკრძალული ქცევის სია. თუ აკრძალვა ეხება სპეციფიკურ ქცევას, მაგალითად, შენობის დატოვებას ან ტუალეტში მოწევას, წესებში ეს უნდა აისახოს.

წესები დაწყებითი კლასებისთვის. ფსიქოლოგები იძლევიან ზოგადი წესების ოთხ მაგალითს დაწყებითი კლასებისთვის:

1. **პატივი ეცით და ზრდილობიანად მოექეცით ყველა ადამიანს.** ახსენით ნათლად, რას გულისხმობთ სიტყვაში „ზრდილობიანი“ – რომ ეს გამორიცხავს ჩხუბს, დაცინვას, ხელით შეხებას. ზრდილობიანი ქცევის მაგალითია შენი რიგის დალოდება; გამოყენება სიტყვებისა: „თუ შეიძლება“, „გმადლობთ“..., შეურაცხმყოფელი მიმართვებისგან თავის შეკავება. ეს წესი ეხება როგორც უფროსებთან, ასევე თანატოლებთან ქცევას.
2. **იყავით მომართული და მომზადებული.** ეს წესი ხაზს უსვამს კლასში აკადემიური მუშაობის მნიშვნელობას. მომართულობა ნიშნავს დღის ენერგიულად დაწყებას და ადეკვატურ გადასვლას აქტივობიდან აქტივობაზე.
3. **მშვიდად მოუსმინეთ სხვების საუბარს.** ეს ეხება მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც. ამ წესის დაცვა აუცილებელია როგორც დიდ კლასებში, ასევე მცირე ჯგუფებში დისკუსიებისას.



საშუალო კლასებში მასწავლებლებს ასობით მოსწავლესთან აქვთ ურთიერთობა. ამ ასაკის მოსწავლეები უდიდეს მასალას გადიან; ხშირად ეჯვქვეშ აყენებენ მასწავლებლის ავტორიტეტს. წარმატებული მენეჯერები მეგმავენ პროცედურებს, აყალიბებენ წესებს, რათა ასეთ სიტუაციებს გაუმკლავდნენ.

4. **დაემორჩილეთ სასკოლო წესებს.** ეს შეახსენებს მოსწავლეებს, რომ კლასში მოქმედებს სკოლის საერთო წესები. მოსწავლე ვერ იტყვის, რომ კლასში საღეჭი რეზინის ღეჭვა ან ტელეფონზე თამაში ნებადართული ეგონა, მაშინ როცა ეს სკოლაში აკრძალულია: „თქვენ არ გითქვამთ, რომ ეს ჩვენთვისაც აკრძალულია“.

ნებისმიერი წესის შემთხვევაში, მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ ამ წესის შესაბამისი ქცევა. საჭირო იქნება მაგალითების მოყვანა, გავარჯიშება, განხილვა.

როგორც ვნახეთ, სხვადასხვა აქტივობა სხვადასხვა წესს მოითხოვს. ეს შეიძლება დამაბნეველი იყოს დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის – სანამ ამ წესებს დაისწავლიან. იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ დაბნეულობა და უწესრიგობა, შეგიძლიათ მოიფიქროთ ნიშნები თითოეული აქტივობის წესებისათვის. საქმიანობის დაწყებამდე უჩვენეთ მოსწავლეებს ნიშანი, რომელიც შეახსენებს მათ წესებს. ეს იქნება ზუსტი და მუდმივი მინიშნება მონაწილეობის ფორმაზე – არა მხოლოდ სანიმუშო მოსწავლეებს, არამედ ყველას ეცოდინება, რა არის მოსალოდნელი. რა თქმა უნდა, წესები უნდა აიხსნას და განხილულ იქნეს, სანამ ნიშნების ეფექტი სრულად გამოვლინდება.

წესები საშუალო კლასებისთვის. ფსიქოლოგები გვაძლევენ წესების ექვს მაგალითს საშუალო სკოლებისათვის:

1. **მოიტანეთ კლასში ყველა საჭირო მასალა.** მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს კალმის, ფანქრის, ქაღალდის, რვეულის, ტექსტის და ა. შ. ტიპი.
2. **ზარი რომ დაირეკება, დასხედით თქვენს ადგილებზე და მოემზადეთ მუშაობის დასაწყებად.**
3. **პატივი ეცით სხვებს და ზრდილობიანი იყავით მათ მიმართ.** ეს წესი ეხება ჩხუბს, სიტყვიერ შეურაცხყოფას, ზოგადად, პრობლემების შექმნას. იგულისხმება, რომ წესის დაცვა აუცილებელია მასწავლებელთან მიმართებაშიც.
4. **პატივი ეცით სხვა ადამიანის საკუთრებას.** იგულისხმება ის ქონება, რაც სკოლის, მასწავლებლის ან სხვა მოსწავლის საკუთრებაა.
5. **მოუსმინეთ და იყავით წყნარად, როცა სხვა ლაპარაკობს.** იგულისხმება სიტუაცია, როცა ლაპარაკობს მასწავლებელი ან სხვა მოსწავლე.
6. **დაემორჩილეთ სასკოლო წესებს.** დაწყებითი კლასების მსგავსად, ეს წესიც მრავალ ქცევასა და სიტუაციას ეხება. არ არის საჭირო ყველა მათგანის გამეორება კლასში. ეს ასევე შეახსენებს მოსწავლეებს, რომ მათ თვალყურს ადევნებთ როგორც კლასში, ისე მის გარეთ. დარწმუნდით, რომ თავად იცით სკოლის ყველა წესი. ზოგიერთი მოსწავლე დახელოვნებულია მასწავლებლის დარწმუნებაში, რომ მისი კონკრეტული ქცევა „სინამდვილეში წესებს არ ეწინააღმდეგება“.

შედეგები. როცა უკვე განსაზღვრული გექნებათ წესები და პროცედურები, უნდა მოიფიქროთ, რას მოიმოქმედებთ, როცა მოსწავლე დაარღვევს წესს ან არ მიჰყვება პროცედურას. ძალიან გვიანია გადაწყვეტილების მიღება მაშინ, როცა წესი დაირღვევა.

მრავალი დარღვევის შემთხვევაში, ლოგიკური შედეგი უკან დაბრუნება და „სწორად მოქცევაა“. მოსწავლეები, რომლებიც უთავბოლოდ დარბიან დერეფანში, შეიძლება უკან მიაბრუნოთ და მოსთხოვოთ, ისე გამოვიდნენ, როგორც საჭიროა. დაუსრულებელი დავალება შეიძლება ხელახლა შესრულდეს. დაფანტული ნივთები შეიძლება მილაგდეს. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ბუნებრივი ან ლოგიკური შედეგები, რათა ხელი შეუწყოთ მოსწავლეების ემოციურ და სოციალურ განვითარებას შემდეგი ღონისძიებების გატარებით:

- თქვენი რეაქცია უნდა განასხვავებდეს ერთმანეთისაგან საქციელსა და მის ჩამდენს – პრობლემა ქცევაშია და არა მოსწავლეში.
- ხაზგასმით აღნიშნეთ მოსწავლეებთან, რომ მათ აქვთ მოქმედების არჩევის და კონტროლის დაკარგვის თავიდან აცილების ძალა და უნარი.
- ხელი შეუწყვეთ აზროვნებას, საქციელის შეფასებას, პრობლემის გადაჭრას – თავი აარიდეთ მორალის კითხვას.
- დაეხმარეთ მოსწავლეებს, რაციონალურად შეაფასონ საკუთარი ქმედებები და განსაზღვრონ, როგორ მოიქცევიან ანალოგიურ სიტუაციაში.

მთავარი აქ ის არის, რომ გადაწყვეტილებების მიღება სასჯელთან (და ჯილდოსთან) დაკავშირებით უნდა ხდებოდეს უფრო ადრე, ანუ მოსწავლემ უნდა იცოდეს, რა არის მოსალოდნელი წესის დარღვევის ან არასწორი პროცედურის გამოყენების შემთხვევაში და რა მნიშვნელობა აქვს ამას მისთვის.

ნებისმიერი წესის შემთხვევაში, მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ ამ წესის შესაბამისი ქცევა. საჭირო იქნება მაგალითების მოყვანა, გავარჯიშება, განხილვა.

თამთა ჯობახიძე

შეფასება – მიდგომები და ზოგადი სტრატეგია

აღიარებულია, რომ სწავლების სხვადასხვა სტრატეგია, კლასის ორგანიზების ფორმები და გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობები სწავლის შედეგზე დიდ გავლენას ახდენს. მაგრამ ხშირად უპასუხოდ რჩება მთავარი კითხვა: როგორ გავიგოთ, სწავლობენ თუ არა მოსწავლეები იმას, რაც ჩვენ დავგეგმეთ? ამის გასარკვევად მასწავლებელი შეფასებას ეყრდნობა.

არსებობს შეფასების ტრადიციული და ალტერნატიული მეთოდები და შეფასების საგანი მხოლოდ ნიშნის დაწერა არ არის – ის მოიცავს პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებას, საგაკვეთილო შეფასებას, საშინაო დავალებას და მშობლებთან კომუნიკაციას.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები პროფესიული დროის მესამედს შეფასებისთვის ხარჯავენ. მიუხედავად ამისა, მრავალი პედაგოგისთვის შეფასება მაინც აქილევსის ქუსლად რჩება. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ შეფასებას საკლასო დონეზე, ფორმალურ და არაფორმალურ შეფასებას, შეფასების სისტემის ფუნქციებს, ეფექტური შეფასების დამახასიათებელ ნიშნებს. მასალა მომზადებულია Don Kauchak-ისა და Paul Eggen-ის წიგნის „learning and Teaching: Research-Based Methods"-ზე დაყრდნობით. ავტორები მიმოიხილავენ შეფასების პროცესს, გვაცნობენ სხვადასხვა კვლევის შედეგებსა და საკუთარ მოსაზრებებს. წიგნში ყურადღება გამახვილებულია შეფასების ისეთ სახეებსა და მიდგომებზე, რომლებიც დეტალური რუბრიკების არსებობას არ მოითხოვს. ვფიქრობ, ყოველივე ეს განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ქართველი მასწავლებლებისთვის.

სანამ შეფასების სისტემის სპეციფიკურ თვისებებს შევეხებოდეთ, უნდა გავეცნოთ ფუნქციებს, რომლებსაც შეფასების სისტემა ასრულებს. ავტორები მათ ორ ფართო კატეგორიად ყოფენ – ინსტრუქციულად და ინსტიტუციურად. ჩვენ ვაფასებთ მოსწავლეს, რათა ხელი შევუწყოთ სწავლას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუქციული ფუნქციაა. ურთიერთდამოკიდებულება სწავლასა და შეფასებას შორის აშკარაა. მოსწავლეები უფრო მეტს სწავლობენ, როდესაც შეფასება დღიური რეჟიმის განუყოფელი ნაწილია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის უკუკავშირითაც უზრუნველყოფს მოსწავლეებს. ამ ურთიერთკავშირის მიზეზები ადვილი გასაგებია. პრაქტიკა და უკუკავშირი ეფექტური სწავლების აუცილებელი კომპონენტებია და საკლასო დავალებები, ქვიზები, ტესტები და ალტერნატიული შეფასებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, მოახდინონ საკუთარი გაგების დემონსტრირება და მიიღონ მასწავლებლის კომენტარი. ასეთი უკუკავშირი ძალზე სასარგებლოა არა მხოლოდ მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის, არამედ სხვა დაინტერესებული მხარეებისთვისაც, მაგალითად,

არსებობს შეფასების ტრადიციული და ალტერნატიული მეთოდები და შეფასების საგანი მხოლოდ ნიშნის დაწერა არ არის — ის მოიცავს ჰედაგოგიური პრაქტიკის შეფასებას, საგაკვეთილო შეფასებას, საშინაო დავალებას და მშობლებთან კომუნიკაციას.

მშობლებისა და სკოლის ადმინისტრაციისთვის.

მასწავლებლებს შეფასება აწვდის ინფორმაციას სწავლის შედეგების ეფექტურობის შესახებ. თუ მოსწავლეები ვერ სწავლობენ, მასწავლებელმა უნდა შეცვალოს მიდგომები და სწავლების მეთოდები. თუ სწავლობენ, მას შეუძლია განაგრძოს მუშაობა და განავითაროს და განავრცოს მოსწავლეთა ცოდნა. შეფასების შედეგები აგრეთვე მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის მშობლებს, ხელს უწყობს მათ, მიიღონ გადაწყვეტილებები სკოლასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. გარდა ინსტრუქციული ფუნქციებისა, შეფასება ემსახურება ინსტიტუციურ საჭიროებებსაც. სკოლამ და გადაწყვეტილების მიმღებმა უწყებებმა უნდა იცოდნენ, რამდენად შეესაბამება მოსწავლეთა შედეგები არსებულ სტანდარტებს.

შეფასების სისტემის მიმოხილვისას ავტორები გამოყოფენ შეფასებას საკლასო, ფორმალურ და არაფორმალურ დონეზე. ეს ცნებები არც ქართველი მასწავლებლებისთვისა უცხო.

სიტუაცია 1. წარმოვიდგინოთ, რომ ქართული ენის გაკვეთილზე მოსწავლეები სწავლობენ მრავლობითი რიცხვის წარმოებას. მასწავლებელი აკვირდება მათ მუშაობას და ხედავს, სახელდობრ რა უჭირთ ბავშვებს. დაკვირვების შედეგად შეკრებილ მონაცემებს ის დაფაზე აღნუსხავს და სთხოვს მოსწავლეებს, ერთად განიხილონ ჩანაწერები.

სიტუაცია 2. ქიმიის მასწავლებელი აკვირდება კლასს და ამჩნევს, რომ უმრავლესობას შეუძლია მოლეკულების გრამებში გადაყვანა, საპირისპირო მოქმედების შესრულება კი უჭირს. ის მოსწავლეებს სთხოვს, თავად შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი.

პირველ ეტაპზე მასწავლებლები დაკვირვებით აგროვებენ ინფორმაციას. ეს **საკლასო დონეზე შეფასებაა**. შეფასება საკლასო ოთახში ინფორმაციის შეკრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესია, რომელშიც ეს მასწავლებლები არიან ჩართულნი. შეფასება სხვადასხვა პროცესს მოიცავს, მათ შორის – მოსწავლეების მუშაობაზე დაკვირვებას, მათი პასუხების მოსმენას დისკუსიის განმავლობაში და მასწავლებლისა და სტანდარტული ტესტის შედეგების შეფასებას.

მასწავლებელი აგროვებს ინფორმაციას, როდესაც ისმენს მოსწავლეთა პასუხებს, ამჩნევს, რომ ზოგიერთი მათგანი გაკვეთილში სათანადოდ არ არის ჩართული. ეს არაფორმალური შეფასებაა, რაც გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას შემთხვევითი გზებით. მისგან განსხვავებით, **ფორმალური შეფასება** ნიშნავს ინფორმაციის შეგროვებას სისტემურად, ტესტების, ქვიზებისა და საშინაო დავალებების მეშვეობით, რათა განისაზღვროს, რა ისწავლეს მოსწავლეებმა.

შეფასების ორივე ფორმა მნიშვნელოვანია, რადგან მასწავლებელს სხვადასხვა სახის ინფორმაციას აწვდის. გადაწყვეტილება ნიშნების დაწერის თაობაზე მიღებულ უნდა იქნეს ფორმალური შეფასების საფუძველზე, მაგრამ მასწავლებლის მიერ ყოველდღიურად მიღებული გადაწყვეტილებების უმრავლესობას საფუძვლად უდევს არაფორმალური შეფასება. მაგალითად, გადაწყვეტილება, გავიძახოთ უყურადღებო მოსწავლე, მოსწავლის საქციელზე დაკვირვებისგან გამომდინარეობს და მიეკუთვნება **შეფასების არაფორმალურ ტიპს.**

ავტორები გამოყოფენ ეფექტური შეფასების დამახასიათებელ სამ ნიშანს: მიზანთან **შესაბამისობას (ვალიდურობას), სანდოობასა და პრაქტიკულობას.** პროფესიულად სანდო და სასარგებლო შეფასება სამივე კომპონენტს უნდა აერთიანებდეს. მიზანთან შესაბამისობა (ვალიდურობა) ზუსტად უნდა ზომავდეს იმას, რის შესაფასებლადაც ის არის განსაზღვრული. იგი გვიჩვენებს ლოგიკურ კავშირს შეგროვებულ ინფორმაციასა და მის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას შორის. ვალიდურობის დადგენის ერთ-ერთი გზაა კითხვა: „შეესაბამება თუ არა შეფასება მიზანს, რომელიც უნდა შეფასდეს?“ ხშირად პირიქით ხდება. ხშირად თავად შევჯახებივართ არავალიდურ შეფასებას. ალბათ ჩვენთვისაც უსწავლებია მასწავლებელს, რომელსაც სულ სხვა რამ აუხსნია, შემაჯამებელი წერა კი სხვა თემაზე ჩაუტარებია. ეს არა მხოლოდ აღაშფოთებს მოსწავლეებს, არამედ ცოდნის შეჯამებასაც უსარგებლოს ხდის. ვალიდურობა ასევე უნდა შევაფასოთ ინსტრუქციული თანმიმდევრობის მიხედვით. ეს ნიშნავს, რომ სწავლება უნდა შეესაბამებოდეს მასწავლებლის მიზანს, ხოლო ტესტი – ორივეს. როდესაც არსებობს ლოგიკური კავშირი შეფასების პროცედურებს, სწავლების მიზანსა და ნასწავლებ მასალას შორის, ე.ი. ორივე კომპონენტი – თანმიმდევრულობაც და ვალიდურო-



მასწავლებლებს შეფასება აწვდის ინფორმაციას სწავლის შედეგების ეფექტურობის შესახებ. თუ მოსწავლეები ვერ სწავლობენ, მასწავლებელმა უნდა შეცვალოს მიდგომები და სწავლების მეთოდები. თუ სწავლობენ, მას შეუძლია განაგრძოს მუშაობა და განავითაროს და განავრცოს მოსწავლეთა ცოდნა. შეფასების შედეგები აგრეთვე მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის მშობლებს, ხელს უწყობს მათ, მიიღონ გადაწყვეტილებები სკოლასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

ბაც – სახეზეა. მასწავლებელი უნდა ეცადოს, თავიდან აიცილოს ფაქტორები, რომლებიც ვალიდურობას ამცირებს. ის არ უნდა აფასებდეს მოსწავლეს ისეთი ფაქტორების მიხედვით, რომელთა გაზომვაც ადვილია, მაგალითად, ქცევებისა და შესრულებული ამოცანების რიცხვის მიხედვით, ნაცვლად მათი ხარისხისა და სირთულის შემოწმებისა. გარდა ამისა, მასწავლებლები მიჯაჭვულნი არიან მოსწავლისგან მიღებულ პირველ შთაბეჭდილებას, რომელიც შესაძლოა მცდარი იყოს. ასეთი ტენდენციების განვითარება რომ არ დავუშვათ, უნდა შევქმნათ და დავნერგოთ „სისტემური შეფასების სისტემა“, რომელიც სანდოობის ხარისხისკენ წაგვიყვანს.

ვთქვათ, მასწავლებელი ხსნის კონკრეტულ თემას და სთხოვს მოსწავლეებს, მოიყვანონ მაგალითები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, გამოვიყენოთ იგი სხვა სიტუაციაში. რომელიმე მოსწავლე იწევს ხელს და მოჰყავს ძალიან კარგი მაგალითი. იმავეს აკეთებს რამდენიმე სხვა მოსწავლეც. ასეთ დროს მასწავლებელი ასკვნის, რომ კლასმა თემა კარგად გაიაზრა, მაგრამ ავიწყდება, რომ მან მხოლოდ რამდენიმე მოსწავლის პასუხი მოისმინა, თანაც მხოლოდ იმ მოსწავლეებისა, ვინც საკუთარი ინიციატივით აიწია ხელი. დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, რამდენად გაიგო ახალი თემა მთელმა კლასმა, განსაკუთრებით კი – შედარებით დაბალი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებმა. აქედან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია, მასწავლებლის დასკვნა მცდარი იყოს, რადგან იგი არასანდო ინფორმაციას ეფუძნება. შეფასების სანდოობა ნიშნავს, რომ საზომი კრიტერიუმები განმეორებადია. ვინაიდან მასწავლებელს ინფორმაცია ყველა მოსწავლისგან არ მიუღია, ე.ი. არ მომხდარა კითხვის გამეორებით დასმა, ამრიგად, შედეგი არ არის სანდო. არასანდო კრიტერიუმები არ შეიძლება იყოს ვარგისი, თუნდაც შეესაბამებოდეს მასწავლებლის მიზანს.

რამდენად გავრცელებულია ტენდენცია მასწავლებლის მიერ არასანდო შეფასების გამოყენებისა გადაწყვეტილების მიღების პროცესში? ავტორები აღნიშნავენ, რომ იმაზე ფართოდ, ვიდრე ვვარაუდობთ. როდესაც მასწავლებელი იღებს რუტინულ გადაწყვეტილებებს, რათა გაკვეთილის მიმდინარეობა გაგრძელდეს, ამ დროს ადგილი აქვს მონაცემთა შეგროვების მცდელობას. მაგალითად, ის ცდილობს გაითვალისწინოს მოსწავლეთა პასუხები და არავერბალური ქცევები, რათა გადაწყვიტოს, კიდევ ერთხელ ახსნას საკითხი თუ ახალ თემაზე გადავიდეს. სისტემატური მცდელობა, შევაგროვოთ მონაცემები ყველა მოსწავლისგან და არა მხოლოდ მათგან, ვინც საკუთარი ნებით პასუხობს, პროცესს უფრო სანდოსა და ვალიდურს ხდის.

ვალიდურობასა და სანდოობასთან ერთად პროცესი უნდა იყოს პრაქტიკულიც. შეფასება ეფექტური სწავლების ერთერთი კომპონენტია, მაგრამ არ შეიძლება, მას იმდენი დრო და ენერგია დაეთმოს, რამდენიც სხვა კომპონენტებს.

დაწყებითი კლასის მასწავლებლები პასუხისმგებელნი არიან კითხვაზე, წერაზე, ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკაზე, ხშირად – უცხო ენასა და ხელოვნებაზე, მუსიკასა და ფიზიკურ აღზრდაზეც. საშუალო და უფროსი კლასის მასწავლებლებს, ჩვეულებრივ, დღეში 5 გაკვეთილის ჩატარება უწევთ 25 მოსწავლისგან შემდგარ კლასში. ასე რომ, მასწავლებლები ძალიან დატვირთულები არიან და არ შეუძლიათ, მიმართონ შეფასების ისეთ პროცედურებს, რომლებიც არ არის პრაქტიკული და პროდუქტიული. შეფასება, რომელიც მასწავლებლებმა გამოიყენეს ზემოთ მოცემულ ორ მაგალითში, დროის თვალსაზრისით ძალზე ეკონომიური იყო. ქართულის მასწავლებელმა სწრაფად ჩამოწერა სიტყვები დაფაზე და ადვილად შეაფასა პასუხები. მას მხოლოდ ორი წუთი დასჭირდა პრობლემის განსაზღვრისთვის, ხოლო ქიმიის მასწავლებელმა მოსწავლეებს თავად შეაფასებინა ნამუშევარი. თითოეულ შემთხვევაში შეფასებაზე დაიხარჯა ცოტა დრო და მასწავლებლის მინიმალური ენერგია.

სტატიის მომდევნო ნაწილში ვისაუბრებთ შეფასების პრაქტიკულ გამოყენებაზე სწავლების ხელშეწყობისთვის, შეფასების სისტემათა საერთო ნიშნებზე და მოსწავლეთა ჩართულობის მნიშვნელობაზე.

ქეთევან ოსიაშვილი

როგორ დავეხმაროთ ბავშვს ძლიერი ნებისყოფის ჩამოყალიბებაში

ნებისყოფის როლი და მნიშვნელობა, როგორც სწავლის, ასევე პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში განუზომელია. ამდენად, ნებისმიერი აღმზრდელისთვის საინტერესო იქნება იმის ცოდნა, თუ რა გზას გადის ბავშვის ნებელობითი განვითარება და როგორ შეიძლება დავეხმაროთ აღსაზრდელს ძლიერი ნებისყოფის ჩამოყალიბებაში.

ძნელია, მოიძებნოს მშობელი, რომელსაც არ ექნება სურვილი, რომ მისი შვილი იყოს მტკიცე ხასიათის, ძლიერი ნებისყოფის, მიზანდასახული, მიზანსწრაფული და დამოუკიდებელი. მშობლის ჩივილები ყველაზე ხშირად სწორედ შვილის ნებისყოფას უკავშირდება: „უჭირს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა“, „უჭირს დასახული მიზნის შესაბამისად მოქმედება“, „ძალიან სუსტი ნებისყოფა აქვს“, „ჩემი დახმარების გარეშე ვერაფერს აკეთებს“. მშობლებისგან ამგვარი ფრაზების მოსმენა ჩვეულებრივი მოვლენაა. როგორც წესი, ისინი ნებისყოფასთან დაკავშირებული პრობლემებით დაინტერესებას და წუხილს ბავშვის სკოლაში შეყვანის შემდეგ იწყებენ. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან სასკოლო სწავლება ნებელობის განვითარების გარკვეულ დონეს მოითხოვს და პრობლემები, რომლებსაც ბავშვი სწავლის დროს აწყდება, არცთუ ისე იშვიათად სწორედ მისი განვითარების ხარვეზებით შეიძლება იყოს გამოწვეული.

ნებისყოფის როლი და მნიშვნელობა როგორც სწავლის, ასევე პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში განუზომელია. ამდენად, ნებისმიერი აღმზრდელისთვის საინტერესო იქნება იმის ცოდნა, თუ რა გზას გადის ბავშვის ნებელობითი განვითარება და როგორ შეიძლება დავეხმაროთ აღსაზრდელს ძლიერი ნებისყოფის ჩამოყალიბებაში.

ცნობილია, რომ ადამიანი არ იბადება ძლიერი ან სუსტი ნებისყოფით. ეს მემკვიდრეობით არ გადაეცემა მშობლისგან შვილს. ნებისყოფა ყალიბდება ბავშვის მიერ სოციალური ნორმების ათვისების პროცესში. მისი განვითარება ბევრად არის დამოკიდებული ცხოვრების პირობებსა და აღზრდაზე. თუ ბავშვი იზრდება ჰიპერმზრუნველობის პირობებში, მშობლები ზედმეტად მეურვეობენ, ნებისმიერ სურვილს, თხოვნას, კაპრიზს უსიტყვოდ უსრულებენ, საეჭვოა, რომ ის ძლიერი ნებისყოფის და მტკიცე ხასიათის ადამიანად ჩამოყალიბდეს. ასეთი ბავშვი იქნება განებივრებული, ჭირვეული და მშობლებს უამრავ პრობლემას შეუქმნის.

კარგი იქნება, თუ ნებისყოფის განვითარებაზე ზრუნვას ჯერ კიდევ სკოლამდელ პერიოდში, ადრეული ასაკიდანვე დავიწყებთ. როგორც კი შევამჩნევთ, რომ ბავშვს შეუძლია სიტყვების აზრის წვდომა და გაგება, შეგვიძლია, უკვე მისი შესაძლებლობების შესაბამისი მოთხოვნები წავუყენოთ და ვთხოვოთ მათი შესრულება; მაგალითად, სათამაშოების დამოუკიდებლად დალაგება თამაშის შემდეგ, ტანსაცმლის დამოუკიდებლად ჩაცმა, გახდა და ა. შ. უნდა ითქვას, რომ ადრეულ ასაკში ხშირად პატარები თავად ითხოვენ დამოუკიდებლად მოქმედებას, მაგალითად, სიტყვებით „მე თვითონ“ ბავშვი პროტესტს უცხადებს დედას და ხელიდან სტაცებს კოვზს, რომ დამოუკიდებლად ჭამოს. ასეთ სცენას შეიძლება ბავშვის ჩაცმის დროსაც წავაწყდეთ – ის ჭირვეულობს და ცდილობს, თვითონ ჩაიცვას ფეხსაცმელი, ტანსაცმელი. თუმცა, იმის გამო, რომ მისი მოძრაობები ჯერ კიდევ არ არის საკმარისად დახვეწილი, დიდი დრო ეხარჯება აღნიშნული მოქმედებების განხორციელებაზე, რაც დედას აღიზიანებს და ცდილობს, დაიმორჩილოს ბავშვი,

თვითონ აჭამოს და ჩააცვას. ყოველივე ეს დიდ ზიანს აყენებს ბავშვის ნებელობით განვითარებას.

ადრეული ასაკის ბავშვებთან ურთიერთობისას ხშირად ვაწყდებით სიტუაციებს, რომლებიც ნებისყოფის განვითარებისთვის კარგ საშუალებას იძლევა, რა თქმა უნდა, თუ სწორად ვიმოქმედებთ. მაგალითად, არის ხოლმე შემთხვევები, როცა კაშკაშა სათამაშოს დანახვისას პატარა მისკენ მიიწევს, რომ როგორმე ხელში ჩაიგდოს. სულ რამდენიმე თვის ბავშვს უკვე შეუძლია ამის გაკეთება დამოუკიდებლად, თუ გარკვეულ ძალისხმევას გამოიჩენს. კარგი იქნება, არ ვიჩქაროთ, არ მივაწოდოთ ბავშვს სასურველი სათამაშო და მივცეთ ნებელობის გამომჟღავნების

ბი შეზღუდულია და ძალიან ხშირად პრობლემის დაძლევა დახმარების გარეშე მას არ შეუძლია. თუ ვხედავთ, რომ ის თავს ვერ ართმევს ამოცანას, აუცილებლად უნდა დავეხმაროთ. თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ მხოლოდ ვეხმარებით, ამიტომ, მთელ პასუხისმგებლობას ნუ ავიღებთ ჩვენს თავზე და ბავშვის მაგივრად ნუ ვეცდებით პრობლემის გადაჭრას.

ორი წლის გიო ვერაფრით ახერხებს სათამაშო ფიგურების ყუთში ისე ჩალაგებას, რომ ყველა თავის ადგილას მოხვდეს და ყუთს თავსახურიც თავისუფლად დაეფაროს. ის ნერვიულობას იწყებს და დასახმარებლად დედას უხმობს. დედა სწრაფად ალაგებს ფიგურებს და თავსახურსაც ადვილად აფარებს ყუთს. გიო გახარებული და



შესაძლებლობა. ნუ მოვაკლებთ მიზნის მიღწევით და საკუთარი წარმატებით განცდილ სიხარულს. პატარა ძალიან ბედნიერად გრძნობს თავს, როცა დამოუკიდებლად აღწევს მიზანს. წინააღმდეგობების დამოუკიდებლად დაძლევა აქტიური, დამოუკიდებელი პიროვნების ფორმირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. რა თქმა უნდა, ასაკიდან გამომდინარე, ბავშვის შესაძლებლობე-

კმაყოფილია. გახარებულია დედაც – ბავშვმა ტირილი შეწყვიტა. რამდენიმე წუთის შემდეგ ყველაფერი მეორდება. თუმცა ამჯერად დედა გაღიზიანებული და უკმაყოფილოა – „როდემდე შეიძლება ამის გაგრძელება, სახლის საქმეებია გასაკეთებელი“. ამ შემთხვევაში დედის შეცდომა ის არის, რომ მან ბავშვის მაგივრად გააკეთა ყველაფერი, ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ

დახმარებოდა მას. უმჯობესი იქნებოდა, დედას ეჩვენებინა გიოსთვის, თუ როგორ უნდა ჩაელაგებინა ფიგურები ყუთში, შემდეგ კი თვალყური ედევნებინა, რამდენად მოახერხებდა ის ამის გაკეთებას. ამით ბავშვი ისწავლიდა რთული სიტუაციიდან გამოსვლას.

ნუ გავაკეთებთ ბავშვის მაგივრად იმას, რისი გაკეთების უნარიც მას უკვე აქვს, რისი გაკეთებაც უკვე შეუძლია. ვეცადოთ, ადრეული ასაკიდანვე ვასწავლოთ ბავშვს უმარტივესი „პრობლემებისთვის" დამოუკიდებლად თავის გართმევა: სათამაშოების ალაგება თამაშის შემდეგ, დამოუკიდებლად ხელ-პირის დაბანა, ჩაცმა, გახდა. ამით ის ისწავლის დამოუკიდებლობას, განუვითარდება ნებელობითი თვისებები. გარკვეულ პერიოდში ბავშვი დაჟინებით მოითხოვს ჩვენგან, მივცეთ დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება (ჩაცმა, გახდა, ჭამა). თუ ამ დროს ამის საშუალებას არ მივცემთ, ის მიეჩვევა ჩვენს მომსახურებას და მოგვიანებით, როცა მოგვინდება, რომ ბავშვმა დამოუკიდებლად აკეთოს ეს ყველაფერი, ადვილი შესაძლებელია, მას აღარ ჰქონდეს ამის სურვილი, რის გამოც უკმაყოფილებისა და სიბრაზის გრძნობა დაგვეუფლება. მაგრამ, თუ ბავშვთან ურთიერთობაში თავიდანვე გამოვიჩენთ მოთმინებას, არ დავზოგავთ დროს და გარკვეულ გასაქანს მივცემთ დამოუკიდებლობისკენ ბავშვის სწრაფვას, ის სწორად განვითარდება და მოგვიანებით გაცილებით გაგვიადვილდება მასთან ურთიერთობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნებელობითი თვისებები უცებ არ ჩნდება. მათი განვითარების გზა რთულია. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნებისყოფის განვითარება სკოლამდელ ასაკში – მნიშვნელოვანი წინაპირობაა სკოლაში სწავლის დასაწყებად. იმისათვის, რომ ბავშვმა სასკოლო პროცესში წარმატებას მიაღწიოს, ის უნდა დაემორჩილოს გარკვეულ წესებს, საკუთარი მოქმედება შეუსაბამოს წაყენებულ მოთხოვნებს, ასევე უნდა შეძლოს საკუთარი თავის და ქცევის მართვა. ნებელობითი განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სასკოლო სწავლისათვის ბავშვის ფსიქოლოგი-

პიროვნების სიძლიერე, უპირველეს ყოვლისა, ნებისყოფის სიძლიერით განისაზღვრება. ძლიერი ნებისყოფის ადამიანს აქვს საკუთარ თავში დარწმუნებულობის გრძნობა და შეუძლია სირთულეების ადვილად გადალახვა.

ური მზაობის კომპონენტებს შორის. არანაირი სისტემური სწავლება არ იქნება შესაძლებელი, თუ ბავშვი ვერ ფლობს საკუთარ თავს, თუ ის მოქმედებს მხოლოდ აქტუალური მოთხოვნილებების საფუძველზე და ვერ ახერხებს, რომ საკუთარი მოქმედება მასწავლებლის მითითებებს და სასკოლო პროგრამის მოთხოვნებს დაუქვემდებაროს. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ყველაზე ხშირად ბავშვის წარუმატებლობის მიზეზს სწავლების პროცესში ნებისყოფის განვითარების არასათანადო დონე წარმოადგენს – მას აკლია დამოუკიდებლობა, არ შეუძლია საქმის ბოლომდე მიყვანა, არა აქვს საჭირო მზაობა სასკოლო სწავლისათვის. ასეთი მოსწავლეები, როგორც წესი, ძალიან პასიურები არიან დავალებების შესრულების დროს. პასიურობას ხშირად ახლავს უარყოფითი ემოციები და უკმაყოფილების გამომხატველი ფრაზები: „რთულია“, „არ მინდა“, „მაიძულეს“ და ა. შ. ყოველივე აღნიშნულს სასწავლო მოტივაციის დაბალი დონეც ახლავს. ამ სირთულეების თავიდან ასაცილებლად ბავშვს აუცილებლად უნდა ვასწავლოთ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა არ ექნება რჩევის სხვისგან მიღების შესაძლებლობა.

ბევრი მშობელი ზრუნავს იმაზე, რომ მისმა შვილმა სასკოლო სწავლების დაწყებისთვის ბევრი რამ იცოდეს, იყოს ყურადღებიანი, რაც შეიძლება მეტ და მრავალფეროვან ინფორმაციას იმახსოვრებდეს, გამართულად ლაპარაკობდეს. რაც შეეხება ნებელობას, საკუთარი თავისა და ქცევის მართვას, ამაზე ნაკლებად ფიქრობენ და თვლიან, რომ ამ ასაკის ბავშვისთვის ნებელობის განვითარების ასეთი დონე ნაადრევია. და ეს მაშინ, როცა თვითკონტროლი სასკოლო სწავლებაში წარმატების მიღწევის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. იმისათვის, რომ კარგად ისწავლოს, ბავშვისთვის აუცილებელია, ყურადღებით და ბოლომდე მოუსმინოს, თუ რას ლაპარაკობს არა მხოლოდ მასწავლებელი, არამედ თანატოლიც, განურჩევლად იმისა, საინტერესოა ეს მისთვის თუ არა, უკვე იცის მან ეს მასალა თუ არა. ბავშვს უნდა შეეძლოს თავშეკავება, არ უნდა წამოიძახოს ადგილიდან პასუხი, უნდა აიწიოს ხელი და დაელოდოს, როდის შეეკითხებიან; უნდა ილაპარაკოს იმაზე, რაც გაკვეთილს უკავშირდება და არა იმაზე, რაც სურს; უნდა გააკეთოს ის, რასაც მასწავლებელი ავალებს და მიიყვანოს დაწყებული საქმე ლოგიკურ დასასრულამდე, მაშინაც კი, თუ ის ცუდად გამოსდის და საერთოდ არ უნდა ამის გაკეთება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბავშვმა არა მხოლოდ უნდა იცოდეს, როგორ მოიქცეს გაკვეთილზე, არამედ უნდა შეძლოს კიდეც ასე მოქცევა, ე. ი. უნდა ჰქონდეს საჭირო ძალა და მოთმინება. სწორედ ამისათვის არის საჭირო ნებისყოფის განვითარება.

პიროვნების სიძლიერე, უპირველეს ყოვლისა, ნებისყოფის სიძლიერით განისაზღვრება. ძლიერი ნებისყოფის ადამიანს აქვს საკუთარ თავში დარწმუნებულობის გრძნობა და შეუძლია სირთულეების ადვილად გადალახვა. ამდენად, აღზრდის პროცესში მთელი ჩვენი ძალისხმევა სწორედ ძლიერი ნებისყოფის ჩამოყალიბების ხელშეწყობისკენ უნდა იყოს მიმართული. იმისათვის, რომ ბავშვს ძლიერი ნებისყოფა განუვითარდეს, აუცილებელია, დავიცვათ შემდეგი პირობები:

- ნურასოდეს გავაკეთებთ ბავშვის მაგივრად იმას, რისი გაკეთებაც მას შეუძლია ან უნდა შეეძლოს;
- დავაინტერესოთ ბავშვი დამოუკიდებელი მოქმედებით და წავახალისოთ ამ მიმართულებით, გამოვიწვიოთ მიღწეულით სიხარულის გრძნობა;
- ვასწავლოთ ბავშვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება და ის, რომ იზრუნოს მის განხორციელებაზე.

არასოდეს დავივიწყოთ, რომ ბავშვი ისწავლის ნებისყოფის და დამოუკიდებლობის გამოვლენას, თუ ამისათვის შევუქმნით პირობებს და წავახალისებთ მის დამოუკიდებლობას.

დაბოლოს, მნიშვნელოვანია, არ გამოგვრჩეს ბავშვის განვითარების ის პერიოდი, როდესაც ყალიბდება ადამიანის ნებელობითი თვისებები. გავითვალისწინოთ, რომ გაცილებით ადვილია ბავშვის სწორად აღზრდა, ვიდრე აღზრდაში დაშვებული შეცდომების გამოსწორება. ბავშვის შეცვლა, ხელმეორედ აღზრდა დიდ ძალისხმევას, ცოდნას და მოთმინებას მოითხოვს, რასაც, სამწუხაროდ, ყველა ვერ ახერხებს და რაც ყოველთვის წარმატებით არ სრულდება.

ნინო ლომაძე

დისკუსიის ტექნიკა

ნებისმიერი საპროგრამო მასალის შესწავლის პროცესში მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება. სწავლების პროცესი რუტინულ, ოდენ ფაქტებისა და შინაარსების დამახსოვრების აქტად რომ არ იქცეს, საჭიროა განსხვავებული სტრატეგიის გამოყენება.

სხვადასხვა მიმართულების კითხვების დასმა (როგორც კონვერგენტული, ანუ ერთი სწორი პასუხის მომცველი, ფაქტის ამსახველი, ისე დივერგენტული, ანუ რამდენიმე სწორი პასუხის ან ვარაუდებისა და ჰიპოთეზების მაპროვოცირებელი) და დისკუსია ნებისმიერი გაკვეთილის უცილობელი შემადგენელია და მასწავლებლის მიერ გამოიყენება სამივე ფაზაზე (გამოწვევა, შინაარსის რეალიზება, რეფლექსია). დღეს სწორედ ამ აქტივობის რამდენიმე ალტერნატიულ ვარიანტს მიმოვიხილავთ.

დისკუსიის „ხიბლი"

სასწავლო დისკუსია, როგორც ერთობლივი სწავლების მეთოდი, ეხმარება მოსწავლეს უკეთ გაიაზროს შესასწავლი საკითხი, ჩამოაყალიბოს განსხვავებული მოსაზრებები, იმსჯელოს ყველა შესაძლო ვარიანტზე, ახლებურად გაიაზროს მასალა, მას უვითარდება კამათის და საკუთარი აზრის არგუმენტირების, დასაბუთების უნარი და ა.შ.

საკლასო დისკუსია ცოცხალი, დინამიკური, სახალისო პროცესია და მოსწავლეები, როგორც წესი, ინტერესით ერთვებიან მასში. დისკუსიის დადებითი მხარე ისიცაა, რომ იზრდება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი და აქტივობა. ვისაც უკვე აქვს ამ მეთოდის გამოყენების გამოცდილება, დამეთანხმება, რომ ხშირად დისკუსიაში პასიური მოწაფეებიც ხალისით და ინტერესით ერთვებიან. სწავლებისა და შემეცნების ეს ინტერაქტიული მეთოდი ცოდნის შეძენის და განმტკიცების, მასალის მრავალმხრივ დამუშავების და აუდიტორიის წინაშე თავისუფალი მსჯელობის უნარებს ხვეწს.

დისკუსიის ფორმები

არსებობს სასწავლო დისკუსიის რამდენიმე ფორმა. მათგან საკლასო ოთახსა და საგაკვეთილო ფორმატს ყველაზე მეტად შეეფერება:

„მრგვალი მაგიდა"

დისკუსია ემსახურება აქტუალური საკითხის განხილვას, მრავალმხრივ შესწავლას, ანალიზს. მონაწილეების ამოცანა არ გახლავთ პრობლემის/დასმული საკითხის გადაჭრა. ისინი ორიენტირებულნი არიან, სხვადასხვა კუთხით მიმოიხილონ თემა, გამოთქვან ვარაუდები, მოსაზრებები, ჰიპოთეზები, გაუზიარონ ერთმანეთს ინფორმაცია, ცნობები, ცოდნა, რაც აქვთ მოცემულ საკითხთან მიმართებით. მონაწილეები ეუფლებიან კონსტრუქციული დიალოგის წარმოების ტექნიკას, საკუთარი შეხედულებების შეჯერებას, მრავალმხრივ გააზრებას. დისკუსიაში ყველა მონაწილე თანაბარი უფლებით სარგებლობს.

საკლასო ოთახის ორგანიზება აუცილებელი პირობაა. მერხები წრიულად განვალაგოთ, რათა მონაწილეებს საშუალება ჰქონდეთ, ვიზუალური კონტაქტი დაამყარონ ნებისმიერ წევრთან. მასწავლებელი ამ შემთხვევაში არა დომინანტი, არამედ „რიგითი" მონაწილეა. შესაძლებელია, მან მხოლოდ „დამკვირვებლის" ფუნქცია შეითავსოს.

თუ კლასში ბევრი მოსწავლეა, შესაძლებელია ორი ან სამი „მრგვალი მაგიდის" ორგანიზებაც. მონაწილეები ჯერ მცირე ჯგუფებში განიხილავენ საკითხს, აჯერებენ მოსაზრებებს, შემდეგ კი სხვა ჯგუფებს აცნობენ თეზისებს.

ჯვარედინი დისკუსია

ჯვარედინი დისკუსია საკითხის შესწავლის და დამუშავების იმგვარი მეთოდია, რომელსაც მოსწავლეები თავად წარმართავენ. მასწავლებლის ამოცანაა, მოამზადოს ე.წ. დივერგენტული კითხვა (თეზისი), რომელიც არაერთგვაროვან პასუხს მოითხოვს. (მაგალითისთვის, „გამართლებულია თუ არა სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა – თანამედროვე სამყაროში". „მისაღებია თუ არა კონფორმიზმი/საკუთარ პრინციპებზე უარის თქმა სიცოცხლის შესანარჩუნებლად". „ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ქალი და მამაკაცი თანასწორი უფლებებით უნდა სარგებლობდნენ" და ა.შ.).

მოსწავლეები პირველ ეტაპზე წყვილდებიან. წყვილის ამოცანაა, შეადგინოს ე.წ. „სადისკუსიო ცხრილი". ერთი მონაწილე მოიფიქრებს, ჩამოწერს და გაუზიარებს მეწყვილეს თეზისის დამადასტურებელ არგუმენტებს, მეორე კი უარმყოფელს. წყვილი მუშაობს ექვსი-შვიდი წუთის განმავლობაში. ამ დროისთვის თითოეულს მინიმუმ 3 დამადასტურებელი

საკლასო დისკუსია ცოცხალი, დინამიკური, სახალისო პროცესია და მოსწავლეები, როგორც წესი, ინტერესით ერთვებიან მასში. დისკუსიის დადებითი მხარე ისიცაა, რომ იზრდება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი და აქტივობა.

და 3 უარმყოფელი არგუმენტი უნდა ჰქონდეს მომზადებული და საკუთარ სამუშაო ფურცელზე ჩამოწერილი. ფურცელი ორ ნაწილადაა გაყოფილი. დიახ/არა – ცხრილის ორივე სვეტი ივსება მუშაობის პროცესში. თეზისის/კითხვის დასაბუთება მოცემულია სვეტში „დიახ“, უარყოფა – სვეტში „არა“. როდესაც წყვილი შეავსებს ორივე სვეტს, ის უერთდება სხვა წყვილს და ჯგუფები მუშაობენ წრიულად განლაგებულ მერხებთან. თითოეულ ჯგუფს მასწავლებელი აძლევს ერთ სამუშაო ფურცელს, რომელზეც შესწავლილი თემის ერთი საკითხია მოცემული. მასწავლებელს შეუძლია როგორც ბინარული(ორმაგი, რომელიც საჭიროებს სწორია/არასწორია ან ვეთანხები/არ ვეთანხები ტიპის პასუხს) ისე დივერგენტული ან ინფორმაციული კითხვის დასმა. უკანასკნელ შემთხვევაში მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ და აღიდგინონ ყველა ის მნიშვნელოვანი ცნობა, ფაქტი, ინფორმაცია, რაც შესწავლილ საკითხზე იციან. ჯგუფებს ეძლევათ გარკვეული დრო საკითხის დასამუშავებლად (8-10 წუთი). მიკროჯგუფში დისკუსია სრულდება საერთო ჩანაწერით, რომელშიც შეჯერებულია ჯგუფის მუშაობის შედეგი.

შემდეგ ეტაპზე სამუშაო ფურცლები საათის ისრის მიმართულებით გადაეცემა „მეზობელ“ ჯგუფს. მიკროჯგუფები ამჯერად ახალ, წინა ჯგუფის მიერ უკვე დამუშავებულ საკითხს ეცნობიან, განიხილავენ, აფიქსირებენ საკუთარ შეხედულებებს, მოსაზრებებს ამავე ფურცელზე. 8-10 წუთის შემდეგ მეორდება იგივე და ასე გრძელდება მანამდე, სანამ თითოეული ჯგუფი გაეცნობა და დაამუშავებს ყველა სამუშაო ფურცელს. საბოლოოდ, ჯგუფებს უბრუნდებათ საკუთარი (პირველი) სამუშაო ფურცლები – შევსებული და გავრცობილი. ჯგუფს კვლავ ეძლევა მცირე დრო კონსოლიდაციისა და შეჯამებისთვის.

სასწავლო დისკუსია, როგორც ერთობლივი სწავლების მეთოდი, ეხმარება მოსწავლეს უკეთ გაიაზროს შესასწავლი საკითხი, ჩამოაყალიბოს განსხვავებული მოსაზრებები, იმსჯელოს ყველა შესაძლო ვარიანტზე, ახლებურად გაიაზროს მასალა, მას უვითარდება კამათის და საკუთარი აზრის არგუმენტირების, დასაბუთების უნარი.

უზიარებს ნამუშევარს, ნააზრევს. ახლა უკვე ოთხეული განიხილავს, ავსებს ან ამოაკლებს ცხრილის არგუმენტებს. ოთხეული გარკვეულ დასკვნამდეც უნდა მივიდეს. შედეგი ცალკე ფურცელზე მუშავდება და მზადდება აუდიტორიის წინაშე წარსადგენად.

დისკუსია ესტაფეტა

დისკუსია იმართება ვრცელი თემის, საკითხის შესწავლის შემდგომ ეტაპზე. საკითხი მრავლისმომცველი და/ან მრავალასპექტიანი უნდა იყოს. დისკუსია განსხვავებული შეხედულებების სიღრმისეულად გაცნობას, გააზრებას და გაზიარება/უარყოფას უწყობს ხელს.

კლასი იყოფა რამდენიმე ჯგუფად (თითოეულში მაქსიმუმ 5 მოსწავლეა).

დასასრულ, ჯგუფები საკუთარი მუშაობის შედეგებს წარმოადგენენ აუდიტორიის წინაშე.

მოცემული სადისკუსიო მეთოდების გარდა, ცხადია, არსებობს ინტერაქტიური სწავლების უამრავი სხვა მეთოდიც, რომლებსაც კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად იყენებენ გამოცდილი მასწავლებლები. გაგვიზიარეთ ეს გამოცდილება კომენტარებში – რომელი მეთოდია ყველაზე „მუშა“, რომელ მეთოდს რა დადებითი ან უარყოფითი მხარე აქვს. გამოცდილების გაზიარება ხომ მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.